
საცდელი მცენარეები იმყოფებოდა მოვლის ერთნაირ პირობებში.

ცდისთვის საჭირო მცენარეების გამოსაზრდელად 1964 წ. კვალსათბურში თესვა ჩატარდა მარტის შუა რიცხვებში და აღმოცენდა იმავე თვის დასასრულს. ღია გრუნტში მცენარეები მაისის პირველ დეკადაში გადაირგო.

ყვავილობა დაიწყო 28 მაისიდან, ხოლო პირველი კრევა ჩატარდა 22 ივლისს. მოსავლის აღრიცხვა ჩატარდა ცალკეული დანაყოფების მიხედვით (ცბრ. 1).

ცხრილი 1.

ვარიანტი	1 მცენარის საშუალო მოსავალი (კგ-ში)	1 ნაყოფის საშუალო წონა (გ-ში)	ვარიანტიდან მიღებული მოსავალი		მოსავლის ნამატმა 1 ჰა-ზე ც-ში	მოსავლის ნამატმა 1 ჰა-ზე (%)
			კგ-ში	ც-პა		
1. გაუსხლავი მცენარეები 60X60 სმ კვების არეზე. 1 ჰა-ზე 28000 მცენარე	1,42	64	355,0	394,4	—	—
2. გაუსხლავი მცენარეები 50X60 სმ კვების არეზე. 1 ჰა-ზე 33000 მცენარე	1,53	59	381,0	423,3	+ 28,9	+ 7,3
3. 2 ღეროზე გასხლული მცენარეები 50X60 სმ კვების არეზე. უჰიგოოდ	0,96	75	288,0	320,0	- 74,4	- 19,1
4. 2 ღეროზე გასხლული მცენარეები 50X60 სმ კვების არეზე ჰიგოს საყრდენით.	0,97	80	292,0	324,4	- 70,4	- 17,9

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მაღალი მოსავალი მიღებულია II ვარიანტზე, სადაც მცენარეები დარგული იყო 50X60 სმ-ზე, ე. ი. 1 ჰა-ზე დაახლოებით 30.000 მცენარე. მოსავლის ნამატმა საკონტროლოსთან შედარე-



ბით 28,9 ც, ანუ 7,3% შეადგინა ჰა-ზე. რაც შეეხება გასხვულ და აკრულ მცენარეებს, მათი მოსავალი დაბალია.

ასეთი შედეგი გამოწვეულია პირველ რიგში თვით ჭიშის ბიოლოგიური თავისებურებით. პერემოგა სუსტად მოზარდი მცენარეა და გასხვლაზე მაინცდამაინც არ რეაგირებს. ამასთან, დიდძალ პირობებში გაბატონებული ძლიერი ქარები საყრდენზე აკრულ მცენარეს შექანიკურად აზიანებს, გავითვალისწინეთ რა აღნიშნული გარემოება, 1965 წლიდან ცდიდან გამოვითიმეთ მეოთხე ვარიანტი და შევიტანეთ გაუსხლავი მცენარეები დარგული 50X50 და 50X40 სმ-ზე. ამრიგად, ცდის სქემა 1965 წელს ასეთი იყო: 1. გაუსხლავი მცენარეები, ჰა-ზე 30.000 მცენარე, კვების არე 60X60 სმ.

2. გაუსხლავი მცენარეები, ჰა-ზე 40.000 მცენარე კვების არე 50X50 სმ.

3. გაუსხლავი მცენარეები, 1 ჰა-ზე 50.000 მცენარე, კვების არე 50X40 სმ. ცდის დანაყოფის ფართობი 30 მ<sup>2</sup>, განშვორება 3.

სავეგეტაციო პერიოდში ჩატარდა მეთოდით გათვალისწინებული ყველა დაკვირვება.

ცხრილი 2

ვარიანტი	1 მცენარის საშუალო მოსავალი (კგ)	მცენარეების რაოდენობა (მ <sup>2</sup> ფართობზე)	მოსავალი (კგ/მ <sup>2</sup> )	მოსავლის ნაშთი	
				ც	%
1. გაუსხლავი მცენარეები ჰა-ზე 30000, კვების არე 60X60 სმ (საკონტროლო)	1,29	344,5	387,9	—	10
2. გაუსხლავი მცენარეები, ჰა-ზე 40000, კვების არე 50X50 სმ	1,2	415,5	460,8	72,9	119,0
3. გაუსხლავი მცენარეები ჰა-ზე 50000, კვების არე 50X40 სმ.	1,03	466,3	518,0	130,0	133,0

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1965 წელს ფართობის ერთეულზე მცენარეთა რაოდენობის გარკვეულ ზრდასთან ერთად მატულობს მოსავლიანობაც. კერძოდ, საკონტროლოზე მივიღეთ 387,9 ც მოსავალი, II ვარიანტზე 460,8 და III ვარიანტზე—518 ც.

მართალია, საკონტროლოზე თითოეული მცენარიდან უფრო მეტი მოსავალი (1,29 კგ) მივიღეთ, ვიდრე მეორე (1,2 კგ) და მესამე (1,03 კგ) ვარიანტებზე, მაგრამ საერთო მოსავალი მაინც მეტია საცდელ ვარიანტებზე, რადგან ფართობის ერთეულზე მცენარეთა მეტი რაოდენობა განლაგებულია.

როგორც მე-3 ცხრილიდან ჩანს, 1966 წელს ჰა-ზე 30.000 მცენარის გაადგილებისას მოსავალმა შეადგინა 300 ც/ჰა, 40.000 მცენარის აღზრდისას 372 ც/ჰა, ხოლო 50.000 მცენარის შემთხვევაში 340 ც/ჰა. მაშასადამე, საკონტროლოსთან შედარებით ფართობის ერთეულზე 10.000 მცენარით გადიდებით პამიდორის მოსავალი მატულობს 72 ც-ით, ანუ 24,0%-ით, ხოლო 20.000 მცენარით გაზრდის შემთხვევაში—40 ც-ით, ანუ 13,2%-ით.



ვარიანტი	1 მცენარის საშუალო ნოსავალი (ცმ)	ვარიანტიდან აღებული სა- ერთო მოსა- ვალი (ცმ)	მოსავალი ც/ჰა-ზე	მოსავლის ნამატი	
				ც/ჰა-ზე	%
1. გაუსხლავი მცენარეები ჰა-ზე 30000. კვების არე 60x60 სმ (საკონტროლო)	1,0	270	300	—	—
2. გაუსხლავი მცენარეები ჰა-ზე 40000. კვების არე 50x50 სმ	0,88	316,8	372	72	24,0
3. გაუსხლავი მცენარეები ჰა-ზე 50000. კვების არე 50x40 სმ.	0,68	306,0	340	40	13,2

სამი წლის საშუალო მონაცემების მიხედვით კი (ცხრ. 4), ყველაზე მაღალი მოსავალი—428,8 ც მივიღეთ მესამე ვარიანტზე, სადაც ჰა-ზე დარგული იყო 50 ათასი მცენარე. რაც შეეხება მეორე ვარიანტს—ჰა-ზე 40 ათასი მცენარე, აქ მოსავლის ნამატმა შეადგინა 52 ც/ჰა-ზე.

ცხრილი 4

ვარიანტი	1 მცენარის საშუალო ნოსავალი (ცმ)	ვარიანტიდან აღებული სა- ერთო მოსა- ვალი (ცმ)	მოსავალი ც/ჰა-ზე	მოსავლის ნამატი	
				ც/ჰა-ზე	%
1. გაუსხლავი მცენარეები ჰა-ზე 30000. კვების არე 60x60 სმ	1,24	323	358,88	—	—
2. გაუსხლავი მცენარეები ჰა-ზე 40000. კვების არე 50x50 სმ	1,2	369,7	410,7	52	14,2
3. გაუსხლავი მცენარეები ჰა-ზე 50000. კვების არე 50x40 სმ	0,85	386	428,8	70,0	16,3

ფართობის ერთეულზე მცენარეთა რაოდენობის გადიდებით მოსავლიანობის მატეების გარდა აღინიშნა საკვები არეს უკეთ ათვისება, სარეველების განვითარების შეზღუდვა და სტოლბურათი დაავადების მნიშვნელოვანი შემცირება.

ჩვენ მიერ მიღებული შედეგები დაახლოებით ემთხვევა პროფ. ვ. ედელშტეინის მონაცემებს ფართობის ერთეულზე ჰამილორის მცენარეთა რაოდენობის გარკვეულ ზღვრამდე გადიდების კვალობაზე მოსავლიანობის მატეების შესახებ.

წარმოებისათვის ცდის რენტაბელობის დადგენის მიზნით მოვახდინეთ მიღებული შედეგების ეკონომიური გაანგარიშება (ცხრ. 5).

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1 ჰა-ზე 50.000 ათასი მცენარის გაადვილები-სას, მართალია, უფრო მეტი მოსავალი მიიღება, მაგრამ ეკონომიურად შედა-

ვარიანტი	პროდუქციის ნაშტი ჰა/ც	ზედმეტი რაოდენობის ჩითობის აღზრდაზე გაწეული ხარჯები (მან.)	ზედმეტი რაოდენობის ჩითობის დაზღვევაზე გაწეული ხარჯები (მან.)	დანახარჯები ზედმეტი მოსავლის აღებაზე. (მან.)	სულ ზედმეტი დანახარჯები (მან.)	პროდუქციის ნაშტის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი (მან.)	სულ შემოსავალი (მან.)
1. გაუსხლავი მცენარეები ჰა-ზე 30 ათასი, კვების არე 60x60 სმ	—	—	—	—	—	—	—
2. გაუსხლავი მცენარეები 1. ჰა-ზე 40 ათასი, კვების არე 50x50 სმ	51,82	350	11	34	394	780	386
3. გაუსხლავი მცენარეები 1. ჰა-ზე 50 ათასი, კვების არე 50x40 სმ	70,0	700	22	46	768	1050	282

რებით ხელსაყრელია 1 ჰა-ზე 40 ათასი მცენარის დარგვა, რადგან ამ შემთხვევაში უფრო მცირეა ხარჯები.

1 ჰა-ზე 50 ათასი მცენარის გაადგილებისას ზედმეტმა დანახარჯებმა შეადგინეს 768 მანეთი, ხოლო 40 ათასი მცენარის აღზრდის შემთხვევაში — 349 მანეთი. ნაჭარბი პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი პირველ შემთხვევაში შეადგენს 1050, ხოლო მეორე შემთხვევაში — 780 მანეთს, ე. ი. სხვაობა მათ შორის უდრის 270 მანეთს. ამდენად მეურნეობისათვის უფრო ხელსაყრელია ფართობის ერთეულზე 40 ათასი მცენარის აღზრდა-გაადგილება.

### დასკვნები

1. თბილისის საგარეუბნო ზონაში პამიდორის წარმოებისას საჭიროა მოცემული ჯიშის ბიოლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინება და მის საფუძველზე კვების არეს კონფიგურაციისა და სიდიდის დადგენა.

2. პამიდორის საადრეო ჯიშების შემჭიდროებული დარგვისას მცირდება მზისაგან მცენარეთა მექანიკური დაზიანება და მათი დაავადება სტოლბურათი. 60 X 60 სმ კვების არეზე მცენარეები ავადდებიან 9,3%-ით, ხოლო 50 X 40 სმ კვების არეზე — 2,5%-ით.

3. ფართობის ერთეულზე მცენარეთა რაოდენობის გადიდებით იზრდება მოსავლიანობა: 50.000 მცენარის დარგვისას 70 ც-ით, ანუ 16%-ით, ხოლო 40.000 მცენარის აღზრდა-გაადგილებს შემთხვევაში — 52-ც-ით.

4. წარმოებისათვის ეკონომიურად ხელსაყრელია 1 ჰა-ზე 40 ათასი მცენარის დარგვა-აღზრდა, რადგან შედარებით მცირეა ზედმეტი დანახარჯები, ხოლო ნაშატი მოსავლიდან მიღებული დამატებითი წმინდა შემოსავალი შეადგენს საკონტროლოსთან შედარებით 386 მანეთს. ხოლო 50 ათასი მცენარის გაადგილების მიმართ — 104 მანეთს.

## ВЛИЯНИЕ ЗАГУЩЕННОЙ ПОСАДКИ НА УРОЖАЙНОСТЬ ТОМАТОВ

### Резюме

Культура томатов в овощеводстве пригородной зоны гор. Тбилиси занимает ведущее место. Для лучшего обеспечения населения г. Тбилиси необходимо повышение урожайности этой культуры, улучшение качества и снижение себестоимости продукции.

Когда растение томата не полностью занимает площадь питания и остается между ними неиспользованные места, замечается распространение вирусного заболевания—столбура, а также—механическое повреждение листьев от прямой радиации солнца, что вызывает снижение урожайности и ухудшение качества продукции.

С целью выяснения влияния загущенной посадки на урожайность ранних сортов томатов в 1964—1966 гг. в Дигомском учхозе были произведены опыты на сорт перемога.

Размещение 40—50 тыс. растений на га увеличивает урожай на 14—16%. Уменьшается распространение вирусного заболевания столбура на 20—22%. Прирост урожая при посадке 40 тысяч растений на га увеличивает денежный доход на 386 рублей.

### საზოგადოებრივი ლიტერატურა

1. ვ. კვციანი—მეცნიერება, თბ., 1964.
2. В. И. Эдельштейн—Овощеводство, М., 1944.
3. А. Ф. Агапов—Высокие урожаи томатов, М., 1954.
4. Культура томатов в странах Народной демократии, под редакц. Д. Д. Брежнева.
5. А. Алпатыев—Томаты, М., 1958 г.



Труды Грузинского ордена Трудового Красного Знамени  
Сельскохозяйственного Института, т. LXXIII, 1967 г.

ბ. გოგელია

### თუთის თესლისა და აღმონაცემის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი

ჩვენ შევისწავლეთ საქართველოს ნებაბრუნებების რაიონებში თუთის თესლისა და აღმონაცემების დაღუპვის მიზეზები. დადგენილია, რომ რაიონების მიხედვით თუთის თესლსა და აღმონაცემებზე ძირითადად გავრცელებულია *Alternaria tenuis* Nees, *Aspergillus niger* Tiegh, *Aspergillus glaucus* Link., *cladosporium herbarum* (Pers.) Link., *Monosporium* sp., *Mucor racemosus* Fres., *Rhizopus nigricans* Ehb., *Penicillium glaucum* Link, *Penicillium* sp., *Myrothecium roridum*, *Penicillium crustaceum*, *Penicillium candidum* Link, *Fusarium oxysporum schlecht emend Snyder et Hans Bilai* *Fusarium Schlecht emend Snyder et Hans var. orthoceras* (App. et Wr) Bilai, *Fusarium moniliforme* Sheld Bilai, *Fusarium gibbosum* (App. et Wr), emend Bilai, *Fusarium solani* (Mort). მათგან ყველაზე მეტად გავრცელებული და პათოგენური ფორმებია *Fusarium solani*, *Fusarium gibbosum* და *Myrothecium roridum*.

აღნიშნულ სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ ლიტერატურაში მასალები არ არსებობს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ნ. ჭანტუიას და მ. კაკულიას მონაცემებს თუთის თესლის სოკოვანი ინფექციის წინააღმდეგ ზოგიერთი პრეპარატის გამოცდის შედეგების შესახებ.

ამიტომ გადავწყვიტეთ დაგვედგინა თუთის თესლისა და აღმონაცემებზე გავრცელებულ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ღონისძიებანი. ამ მიზნით გამოვეცადეთ კომბინირებული სინთეზური პრეპარატები: 20%-იანი ტრიქლორფენოლიატსპილენცი, 50%-იანი ტმტდ + 15%-იანი გენტაქლორი, 50%-იანი ტმტდ + 20%-იანი დილდრინი, 50%-იანი ტმტდ + 12%-იანი გამაიზომერი ვტკვ. 50%-იანი ტმტდ + 10%-იანი ალდრინი და მერკურანი + 2%-იანი ემს. ეტალონად ავიღეთ გრანოზანი, 50%-იანი ტმტდ და ფორმალინი წარმოებაში რეკომენდებული დოზებით.

ვსწავლობდით აღნიშნული პრეპარატების ოპტიმალურ დოზებს, მათ გავლენას თუთის თესლის გაღვივების ენერჯიასა და აღმონაცემებზე, პრეპარატის ტოქსიკურ თვისებებს და აქროლადი ფრაქციების მოქმედებას.

ლიტერატურაში [1, 2, 3, 4, 5, 6, 7] აღნიშნულია სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ სხვადასხვა პრეპარატით თესლის წინასწარ შეწამვლის შესახებ. მათგან ყველაზე მეტად მითითებულია გრანოზანი.



ლიტერატურული მონაცემების მიხედვით [1, 5, 8, 9, ტეტიკე ტქელფეთის თესლისა და აღმონაცენების სოკოვან დაავადებათა შეწავლაჲს ექსპერტულ შედეგს იძლევა და საგრანობლად ზრდის თესლის აღმოცენების ენერგიას და თესლნერგების ზრდა-განვითარებას გრანოზანი და 50%-იანი ტმტდ.

### მუშაობის მეთოდია

კომბინირებულ პრეპარატებს თუთის თესლისა და აღმონაცენების საწინაღობდეგოდ ვცდიდით ლაბორატორიულ, ვეგეტაციურ და საველე პირობებში.

პრეპარატის ოპტიმალური დოზის დადგენის მიზნით თესლს ეწამლავდით სხვადასხვა დოზით (1,0—1,5... 5,0 კგკ-ზე).

თესლის გაღივების ენერგია და აღმოცენების პროცენტის დასადგენად, პრეპარატების სხვადასხვა დოზით შეწამლულ თესლს ვათავსებდით ბაქტერიოლოგიურ ჯამებში ფილტრის ნოტიო ქალაღზე. ცვალებადი ტემპერატურის პირობებში—6 საათის განმავლობაში 37—40°-ზე, ხოლო დანარჩენ დროს 25—27°-ზე (თესლის საკონტროლო ლაბორატორიის მეთოდია). თითოეული ვარიანტისათვის ვიღებდით 100—100 ცალ თესლს ოთხ განშორებად. თესლის გაღივების ენერგიის აღრიცხვას ვაწარმოებდით მე-6 დღეს, ხოლო აღმოცენების პროცენტს—მე-10 დღეს და პერიოდულად რამდენიმე თვის მანძილზე. საკონტროლო ვარიანტებში თესლს ვამუშავებდით ფორმალინის 1:300 ხსნარში 5 წუთის განმავლობაში, ხოლო ყოველი კგ თესლისათვის ვიღებდით 2 გ გრანოზანს და 2,5 გ 50%-იან ტმტდ-ს.

თესლის შეწამვლას ვაწარმოებდით მშრალი მეთოდით. თესლს და შხამს ვყრიდით მინის კოლბში და ერთმანეთში კარგად არევის მიზნით 5 წუთის განმავლობაში ვანჯღრევდით მას ერთი მიმართულებით.

პრეპარატის ტოქსიკური თვისებების დასადგენად გამოვიყენეთ როგორც ბუნებრივად დაავადებული, ისე ხელოვნურად, სხვადასხვა სოკოს კულტურით დასენიანებული თესლი, რომელთაც ვთესავდით ბაქტერიოლოგიურ ჯამებში ლუდ-აგარის ზედაპირზე და მე-3—4 დღეს ვაწარმოებდით დაკვირვებას დაავადებაზე. შესაბამისი საკონტროლო ვარიანტის შეუწამლავ თესლს ასევე ვთესავდით ბაქტერიოლოგიურ ჯამებში.

პრეპარატის აქროლადი ფრაქციების დადგენის მიზნით კი გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები:

1. სხვადასხვა გამოსაცდელი პრეპარატით შეფრქვეულ ან შესუბრებულ 5 მმ ზომის ფილტრის ქალაღის დისკოებს ვათავსებდით ბაქტერიოლოგიური ჯამების ცენტრში ლუდ აგარის ზედაპირზე, რომელშიც წინასწარ ჩათესილი იყო გამოსაცდელი სოკო.

2. ლუდ აგარის ცენტრში, რომელზეც წინასწარ ვთესავდით ამა თუ იმ სოკოს კულტურას, ვყრიდით მწკრივებად სხვადასხვა გამოსაცდელი პრეპარატით შეწამლულ თესლს. ორივე შემთხვევაში დაკვირვებას ვაწარმოებდით სოკოს ზრდის შეზღუდული ზონის წარმოქმნაზე.

ჯამებს ვათავსებდით სოკოს ზრდის ოპტიმალური ტემპერატურის (23—27°) პირობებში.



პრეპარატების ტოქსიკურობის დადგენის მიზნით სოკოს გარკვეული სხეობის მიმართ, თესლს ვასენიანებდით ამა თუ იმ სოკოს სუსპენზიების რაობის შემდეგ თესლს ვწამლავდით სხვადასხვა პრეპარატით და ბაქტერიოლოგიურ ჯამებში ლუდ-აგარის ზედაპირზე. ჯამებს ვათავსებდით თერმოსტატში სოკოს შესადგურის ოპტიმალურ ტემპერატურაზე და ვაწარმოებდით დაკვირვებას თესლის გაუსენიანებაზე.

ლაბორატორიულ პირობებში გამოვლინებულ ეფექტურ პრეპარატებს შემდგომში ვცდიდით ვეგეტაციურ და საველე პირობებში, ამ მიზნით თესლს წინასწარ ვწამლავდით სხვადასხვა პრეპარატის ოპტიმალური დოზით შშრალი მეთოდის გამოყენებით. შეწამვლიდან ერთი კვირის შემდეგ ვახდენდით თესლის დათესვას სავეგეტაციო პირობების შემთხვევაში ქოთნებში, ხოლო საველე პირობებში დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის სათეს სკოლაში. წინასწარ ვამოწმებდით შეწამვლილი თესლის ვალიეების ენერგიისა და აღმოცენების პროცენტს.

როგორც ვეგეტაციურ, ისე მიწის დონეზე ცდაში ყოველი ვარიანტი ოთხ განმეორებად იყო აღებული.

სისტემატურ დაკვირვებას ვაწარმოებდით თესლის აღმოცენებაზე, თესლ-ნერგების ზრდა-განვითარებასა და დაავადებათა მიმართ გამძლეობაზე.

**მიღებული შედეგები**

პრეპარატი—20% ტრიქლორფენოლიატსპილენძის შემთხვევაში, დონის გაზრდა თესლის ვალიეების ენერგიისა და აღმოცენების პროცენტზე დადებითად მოქმედებს, კერძოდ 1 კგ თესლზე 5 გ აღნიშნული პრეპარატი საკონტროლოსთან შედარებით ვალიეების ენერგიას 21,2%-ით ზრდის, გრანოზანთან და 50% ტმტდ-სთან შედარებით 12,6—13,4%-ით, ხოლო ფორმალინის მიმართ 30,7%-ით (ცხრ. 1).

50%-იან ტმტდ+12% გამაიზომერ გხცგ-ს დონის ვალიეებისა კი უარყოფით გავლენას ახდენს თესლის ვალიეების ენერგიისა და აღმოცენების პროცენტზე. კერძოდ, საკონტროლოსთან შედარებით ვალიეების ენერგია და აღმოცენების ხარისხი 22,9 და 8,1%-ით, ხოლო ტმტდ-ს და გრანოზანის მიმართ შესაბამისად 15,9 და 31,5%-ით და 25,5 და 39,8%-ით მცირდება. ფორმალინთან შედარებით კი ვალიეების ენერგიის ხარისხი ზოგიერთ დონაში (5გ 1 კგ-ზე) 13,4%-ით ეცემა (ცხრ. 1).

რაც შეეხება პრეპარატ 50% ტმტდ+10% ალდრინს, მისი არც ერთი დონა საკონტროლოსთან და ეტალონებთან შედარებით სასურველ ეფექტს არ იძლევა.

მე-2 ცხრილში მოცემულია პრეპარატ 50% ტმტდ+15% გენტაქლორით და მერკურანი+2 ემხ-თი თუთის თესლის შეწამვლის შედეგები. ამ შემთხვევაშიც ეტალონად აღებულია გრანოზანი, 50% ტმტდ და ფორმალინი, ხოლო საკონტროლოდ—შეუწამლავი თესლი.

პრეპარატი 50% ტმტდ+15% გენტაქლორის მაღალი დოზები (4,5—5,0 გ 1 კგ თესლზე) საკონტროლოსთან შედარებით ვალიეების ენერგიას ზრდის 6,8—7,3%-ით, ხოლო გრანოზანის მიმართ—1,8%-ით. აღმოცენების





სხვადასხვა პრეპარატის გავლენა თუთიის თესლის გაღვივების ენერჯიასა და მისი ენერჯიის

ვალიანტი	დოზა	პ რ ე პ ა რ ა ტ ი						საკონტროლო	
		20% ტრიქლორფენოლიატსპილენძი		50% ტმტდ+12% გამაიზომერი გსცგ.		50% ტმტდ+10% ალდრინი			
		გალივების ენერჯია	ალმოცენების ხარისხი (%)	გალივების ენერჯია	ალმოცენების ხარისხი (%)	გალივების ენერჯია	ალმოცენების ხარისხი (%)	გალივების ენერჯია	ალმოცენების ხარისხი
1	1,0	52,9	73,1	44,0	45,0	50,7	62,3		
2	1,5	59,8	73,6	36,1	37,2	49,9	55,8		
3	2,0	60,4	74,2	34,8	36,8	48,8	55,7		
4	2,5	64,3	74,4	34,7	36,4	48,7	55,6		
5	3,0	64,3	75,4	32,4	33,8	48,4	51,3		
6	3,5	63,9	76,3	31,4	33,0	48,0	49,2		
7	4,0	69,6	78,6	31,2	33,0	44,2	48,5		
8	4,5	69,4	80,1	30,5	32,3	38,0	40,3		
9	5,0	73,3	82,8	29,2	30,7	30,3	33,6		
10	საკონტროლო (შეუწამლავი)							52,1	61,4
		გრანოზანი		50% ტმტდ		ფორმალინი			
11	2,0	60,7	70,5						
12	2,5			59,9	70,5				
13	1:300					42,6	55,4		

ზარისხს კი იგივე დოზები კიდევ უფრო მეტად ზრდის. კერძოდ, საკონტროლოსთან შედარებით 18,6—19,2%-ით, გრანოზანის მიმართ 11,8—12,4%-ით, 50% ტმტდ-სთან შედარებით 8,8—9,4%-ით და ფორმალინთან შედარებით 23,5—24,1%-ით.

პრეპარატის დოზის გადიდების შესაბამისად იზრდება ეფექტიანობა.

ასევე კარგი შედეგი მივიღეთ პრეპარატ მერკურანი+2%-იანი ემბ-ით თესლის შეწამვლისას. მისი ყველა გამოყენებული დოზა საკონტროლოსთან შედარებით თესლის გაღვივების ენერჯიას ზრდის 1,2—13,1%-ით, ხოლო ეტალონებთან—გრანოზანთან (1 კგ თესლზე 4,5—5 გ), 50%-იან ტმტდ-სთან და ფორმალინთან შედარებით შესაბამისად 4,8—7,6; 5,9—9,3 და 21,7—25,1%-ით.

ამრიგად ჩვენ, მიერ გამოცდილი პრეპარატებიდან ყველაზე კარგ შედეგს იძლევა: მერკურანი+2% ემბ; 50% ტმტდ+15% გენტაქლორი და 20% ტრიქლორფენოლიატსპილენძი.

ჩვენ მიერ გამოყენებული ეტალონების ერთმანეთთან შედარებისას ირკვევა, რომ გრანოზანის და 50% ტმტდ-ს ეფექტიანობა თითქმის თანაბარია. საკონტროლოსთან შედარებით ორივე ზრდის თუთიის თესლის გაღვივების ენერჯიასა და ალმოცენების პროცენტს, ხოლო ფორმალინი დაბლა სცემს.

ჩვენ შევისწავლეთ აგრეთვე აღნიშნული პრეპარატების ტოქსიკურობა

პ რ ე პ ა რ ა ტ ი

ვარიანტი	დოზა	პ რ ე პ ა რ ა ტ ი					
		50% ტმტდ+15% გენტა-კლორი		მერკურანი+20% ემბ.		საკონტროლო	
		გაღვივების ენერჯია	აღმოცენების ხარისხი (%)	გაღვივების ენერჯია	აღმოცენების ხარისხი (%)	გაღვივების ენერჯია	აღმოცენების ხარისხი (%)
1	1,0	43,1	60,4	49,2	69,2		
2	1,5	46,7	67,8	51,6	72,8		
3	2,0	47,0	70,5	53,7	74,7		
4	2,5	48,3	72,7	54,1	76,2		
5	3,0	50,6	73,0	56,0	76,9		
6	3,5	51,6	73,5	56,3	78,8		
7	4,0	52,2	75,5	56,7	81,1		
8	4,5	55,3	80,7	57,7	82,0		
9	5,0	54,8	81,3	61,1	82,0		
10	საკონტროლო (შეუწყობილი)					48,0	62,1
		გრანოზანი		50% ტმტდ		ფორმალინი	
11	2,0	53,5	68,9				
12	2,5			51,8	71,9		
13	1:300					36,0	57,2

თუთის თესლის დაავადებათა მიმართ. ამ შემთხვევაში დაკვირვებას ვაწარმოებდით ბუნებრივად დაავადებული თესლის სოკოების მიმართ პრეპარატების მოქმედებაზე (ცხრ. 3).

გამოიკვია, რომ პრეპარატი 20%-იან ტრიქლორფენოლიატსპილენძი არასაკმარის ეფექტიანია თუთის თესლის სოკოვანი ინფექციის გაუსენიანების მიმართ. მართალია, მისი ზოგიერთ დოზა (1 კგ თესლზე 4,5—5 გ) საკონტროლოსთან შედარებით, გარკვეულ ეფექტს იძლევა, მაგრამ იგი ეტალონებს წინაშეწელოვნად ჩამორჩება. ანალოგიური სურათი მივიღეთ პრეპარატ 50% ტმტდ+12% გამაიზომერ გბცგ-ს და 50% ტმტდ+10% აღდრინის შემთხვევაშიც. მაღალეფექტიანი აღმოჩნდა პრეპარატი 50% ტმტდ+15% გენტაქლორი. მისი მცირე დოზებიც კი საკონტროლოსთან და ეტალონებთან შედარებით საკმარის მაღალეფექტიანია—გაუსენიანება 95,0—99,3%-ს აღწევს, ხოლო მაღალი დოზების შემთხვევაში (1 კგ თესლზე 4,5—5 გ) სრულიად მოისპო სოკოვანი ინფექცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს პრეპარატი მინიმუმამდე ამცირებს ბაქტერიულ დაავადებას.

მაღალი ტოქსიკური თვისებებით გამოირჩევა პრეპარატი მერკურანი+2% ემბ., რომლის დაბალი დოზების გამოყენების შემთხვევაშიც კი საკონტროლოსთან შედარებით გაუსენიანება 96,4—99,4%-ს აღწევს, ხოლო მაღალი დოზების შემთხვევაში სრულიად მოისპო თესლის სოკოვანი ინფექცია და

სხვადასხვა პრეპარატის მოქმედება თუთის თესლის სოკოვან ინფექციურ დაავადებაზე

ვაკცინა	დოზა	პ რ ე პ ა რ ა ტ ი					საკონტროლო
		20% ტრიქლორფენოლი-ატსპილენძი	50% ტმტდ+12% ვაიზოლერი გსკვ	50% ტმტდ+10% ალდრინი	50% ტმტდ+15% გენტაქლორი	მერკურანი+2% ემზ.	
1	1,0	53,0	45,0	35,0	5,0	3,6	
2	1,5	51,0	46,0	34,0	4,0	3,3	
3	2,0	48,0	46,0	32,0	2,3	2,6	
4	2,5	45,0	47,0	32,0	1,3	2,0	
5	3,0	43,0	37,0	32,0	1,3	0,6	
6	3,5	43,0	39,0	31,0	0,7	—	
7	4,0	41,8	42,0	31,0	—	—	
8	4,5	37,0	42,0	31,0	—	—	
9	5,0	35,0	40,0	28,0	—	—	
10	საკონტროლო (შეუწამლავი)						53,6
		გრანოზანი	50% ტმტდ	ფორმალინი			
11	2,0	10,5					
12	2,5		1,4				
13	1:300			15,0			

საგრძნობლად შემცირდა ბაქტერიული ინფექცია.

აღნიშნული პრეპარატის შემდეგ მოდის 50% ტმტდ+15% გენტაქლორი.

ჩვენ მხედველობაში მივიღეთ ის გარემოება, რომ ახალი სინთეზური ორგანული პრეპარატები სპეციფიკურად მოქმედებენ სხვადასხვა სოკოს მიმართ და ამიტომ ჩავატარეთ თუთის თესლის ხელოვნური დასენიანება ყველაზე მეტად გავრცელებული და მაღალპათოგენური სოკოების წმინდა კულტურებით (ცხრ. 4).

ცდისათვის გამოვიყენეთ ის პრეპარატები, რომლებიც ბუნებრივად დასენიანებულ თესლზე გამოირჩეოდნენ თავისი მაღალი ტოქსიკურობით და ამავე დროს დადებითად მოქმედებდნენ თესლის გაღივების ენერგიასა და აღმოცენების პროცენტზე. დამატებით გამოვცადეთ აგრეთვე 50% ტმტდ+20% დიალდრინი.

გამოცდილი პრეპარატებიდან 50% ტმტდ+15% გენტაქლორის, მერკურანი+2% ემზ-ის, 50% ტმტდ+20% დიალდრინის იგივე დოზების (1 კგ თესლზე 4,5—5 გ). გამოყენებისას სოკო *Myroth. roridum*-ისაგან თესლი სრულიად გაუსენიანდა, ხოლო ბაქტერიული ინფექცია მინიმუმამდე შემცირდა (ცხრ. 4).

იმავე პრეპარატებზე დადებითი ეფექტი მოგვცა სოკო *Fus. Gibbosum*-ის მიმართაც. სრული გაუსენიანება მივიღეთ 50% ტმტდ+15% გენტაქლორისა და 50% ტმტდ+20% დიალდრინის გამოყენებისას დოზით 1 კგ თესლზე

5 ვ. დანარჩენი დოზები და მერკურანი+2% ემბ დაავადების პრევენციული გეგმის მიხედვით  
 ხიზნელოდ ამცირებს.

საქართველოს  
 სოფლის მეურნეობის  
 მეცნიერებათა აკადემია

სხვადასხვა პრეპარატის მოქმედება სოკო Fus. Gibbosum და Myroth. roridum-ით  
 თესლის დასენიანების დროს

დოზა	სოკო Myroth roridum-ით დასენიანებული თესლი			სოკო თესლის რაოდენობა (%)	სოკო Fusarium Gibbosum-ით დასენიანებული თესლი		
	დაავადება (%)		სოკო თესლის რაოდენობა (%)		დაავადება (%)		სოკო თესლის რაოდენობა (%)
	სოკოვანი	ბაქტერიული			სოკოვანი	ბაქტერიული	
50% ტმტლ+	4,0	0	1,25	98,75	0,25	1,50	98,25
15% გენტაქლორი		0	0,75	99,25	0	0	100,0
მერკურანი+ +2% ემბ.	4,0	0	2,25	97,75	1,00	0	99,0
	5,0	0	1,00	99,0	0,25	0	99,75
50% ტმტლ+ +20% დიალდრინი	4,0	0	3,25	96,75	0,75	1,25	98,00
	5,0	0	0,75	99,25	0	0,25	99,75
გრანოზანი		0,25	2,50	97,25	1,25	1,0	97,75
50% ტმტლ		0,75	0,75	98,50	6,50	0,75	91,75
ფორმალინი		6,25	4,00	87,75	54,75	33,75	11,50
საკონტროლო (დასენიანებული, შეუწამლავი)		100,0	0	0	100,0	0	0

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრეპარატების ტოქსიკურ მოქმედებას ვსწავლობდით აგრეთვე მანილზე, ქალაღის დისკოების მეთოდით და სხვადასხვა პრეპარატით შეწამლული თესლის ბაქტერიულ ჯამებში მწკრივებად ჩათესვით, რომელშიც წინასწარ დათესილი გვექონდა ამა თუ იმ სოკოს კულტურა.

მიღებული შედეგებით გამოირკვა, რომ გამოცდილი პრეპარატებიდან მერკურანი+2% ემბ; 50% ტმტლ+15% გენტაქლორი და 50% ტმტლ+20% დიალდრინი ტოქსიკურია მანილზეც—გაუსენიანების ზონა დისკოების მეთოდის შემთხვევაში 0,7—2,37 სმ-ს, ხოლო ბაქტერიულ ჯამებში იმავე პრეპარატებით შეწამლული თესლის მწკრივებად ჩათესვის შემთხვევაში—0,2—2,0 სმ აღწევს. დანარჩენი პრეპარატები კი არავითარ ეფექტს  
 15. შრომები, ტ. LXXIII, 67 წ.



არ იძლევიან და ისევე, როგორც საკონტროლოში ჯამების მთელი ზედპერიოდში ორივე ცდაში დაიფარა სოკოს მიცელიუმით.

რაც შეეხება გრანოზანს და 50% ტმტდ-ს, მათი მოქმედება არა მანძილზე და ვლტბულობით გაუსენიანების ზონას.

ამგვარად, 50% ტმტდ+15% გენტაქლორით და მერკურანი+2% ემზ-ით და 50% ტმტდ+20% დიალდრინით თესლის შეწამვლისას გაუსენიანება ხდება არა მარტო თესლისა, არამედ დისკოების გარშემო სოკოვანი ინფექციისაც, ე. ი. აღნიშნული პრეპარატები ფუნგიციდურ მოქმედებას იჩენენ არა უშუალოდ სოკოს სპორებთან შეხებისას, არამედ მანძილზეც. ამიტომ ეს პრეპარატები ნიადაგში თესლის გარშემო ქმნიან სტერილურ ზონას, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ისინი ეფექტური იქნებიან არა მარტო თესლის ლპობის საწინააღმდეგოდ, არამედ ლივების და ახალგაზრდა აღმონაცენების სოკოვანი დაავადებისაგან დაცვის მხრივაც.

ჩვენს მიერ გამოცდილი პრეპარატებიდან მერკურანი+2% ემზ; 50% ტმტდ+15% გენტაქლორი და 50% ტმტდ+20% დიალდრინი მაღალეფექტიანია როგორც ტოქსიკური მოქმედების, ისე თესლის გაღივების ენერჯისა და აღმოცენების პროცენტის გადიდების მხრივ.

იგივე პრეპარატები გამოვცადეთ ვეგეტაციურ და საველე პირობებში, ვეგეტაციურ ცდებს ვატარებდით ინსტიტუტის საცდელ პლანტაციაში. ქოთნებში, ხოლო საველე პირობებში პრეპარატებს ვცდიდით დიღმის სასწავლო-საცდელი მურნეობის სათეს სკოლაში. დაკვირვებას ვატარებდით თესლის აღმოცენებაზე, დაავადებისა და თესლნერგების ზრდა-განვითარებაზე (ცხრ. 5).

როგორც მე 5 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ჩვენს მიერ გამოცდილი პრეპარატებით თესლის აღმოცენების ხარისხი, საკონტროლოსთან შედარებით 9,0—25%-ით გაიზარდა. მათგან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მივიღეთ 50% ტმტდ+15% გენტაქლორით და 50% ტმტდ+20% დიალდრინით (დოზა 1 კგ თესლზე 5 გ) თესლის დამუშავების შემთხვევაში; ასევე აღმოცენების კარგ მაჩვენებლებს იძლევა მერკურანი+2% ემზ-ით დამუშავებული თესლი.

ეტალონებს შორის თესლის აღმოცენების ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს იძლევა 50% ტმტდ.

ჩვენი დაკვირვებით, გამოცდილ პრეპარატებს, საკონტროლოსთან შედარებით, თესლის აღმოცენების დაჩქარებაზე გავლენა არ მოუხდენია. თესლის აღმოცენება ყველა შემთხვევაში დაიწყო დათესვიდან მე-10 დღეს.

როგორც ცხრილის მასალებიდან ჩანს, საცდელი ვარიანტების მიხედვით, საკონტროლოსთან შედარებით აღმონაცენების დაავადება 27,8-დან 83,3-ით შემცირდა.

ყველაზე მცირე რაოდენობის დაავადება პრეპარატ მერკურანი+2% ემზ-ის დოზის გამოყენების შემთხვევაში დოზით 1 კგ-ზე 5 გ.

გამოცდილმა პრეპარატებმა ეტალონებთან შედარებით დაავადების პროცენტი საგრძნობლად შეამცირა.

იგივე პრეპარატები გამოვცადეთ სათეს სკოლაში და საკონტროლოს-

სხვადასხვა პრეპარატის გავლენა თუთიის თესლის აღმოცენებასა და დაავადებაზე (ვეგეტაციური ცდა)

პრეპარატი	დოზა (გ/კგ-ზე)	აღმოცენების ხარისხი (%)	დაავადების ხარისხი (%)	დაავადება საკონტროლოსთან შედარებით (%)
საკონტროლო	შეუწყამლოვი	72,0	18,0	100
50% ტმტლ+15% გენტაქლორი	4,0	85,0	13,0	72,2
	5,0	97,0	12,0	66,6
მერკურანი -2% ემზ.	4,0	81,0	6,0	33,3
	5,0	88,0	3,0	16,7
50% ტმტლ+20% დიალდრინი	4,0	72,0	7,0	39,0
	5,0	92,0	7,0	39,0
50% ტმტლ	2,5	95,0	13,0	72,2
გრანოზანი	2,0	77,0	12,0	66,6
ფორმალინი	1:300	88,0	15,0	83,3

თან შედარებით თესლნერგების ზრდა-განვითარებაზე დადებითი გავლენა მოახდინა.

ყველაზე კარგი შედეგი როგორც საკონტროლოსთან, ასევე ეტალონებთან შედარებით მივიღეთ პრეპარატ მერკურანი+2% ემზ-ის და 50% ტმტლ+20% დიალდრინის გამოყენების შემთხვევაში დოზით 1 კგ თესლზე 5 გ. ამავე ვარიანტებში აღინიშნა ფესვთა სისტემის უფრო ძლიერი განვითარება.

აღმონაცენები ყველაზე მცირედ აღმოჩნდნენ დაავადებული პრეპარატ მერკურანი+2% ემზ-ის და 50% ტმტლ+2% დიალდრინის გამოყენების დოზით 1 კგ თესლზე 5 გ.

ამგვარად, ჩვენს მიერ გამოცდილი პრეპარატებიდან ყველაზე კარგ შედეგს თესლის გაღვივების ენერჯის, აღმოცენების პროცენტის, თესლნერგების ზრდა-განვითარებისა და დაავადებათა მიმართ გამძლეობის მხრივ როგორც ლაბორატორიულ, ასევე ვეგეტაციურ და საველე ცდებში იძლევა მერკურანი +2% ემზ, 50% ტმტლ+15% გენტაქლორი და 50% ტმტლ+ 20% დიალდრინი.



**სხვადასხვა პრეპარატის მოქმედების გავლენა თუთიის თესლის აღმოცენების, თესლურგების ზრდა-განვითარების, აღმონაცენების დაავადებათა წინააღმდეგობის (საველე ცდა)**

პრეპარატი	დოზა (გ/კვ-ზე)	თესლურგის ტანის სიმაღლე (სმ)	თესლურგის ფესვი 30 დღის დასაბუტ. (მმ)	თესლურგის ფესვის სიგრძე (სმ)	თესლურგის წონა (გ)	დაავადება (%)	დაავადების ხარისხი საკონტრ. მედიკამენტ. არეობით (%)
საკონტროლო	შეუწამლავი	24,45	0,38	30,16	7,35	20,0	100
50% ტმტ	4,0	25,71	0,44	36,22	9,10	13,8	69,0
+15% გენტაქლორი	5,0	26,47	0,44	36,23	9,88	13,3	66,6
მერკურანი + 2% ემბ.	4,0	24,07	0,41	35,42	8,08	6,6	33,3
50% ტმტ + 20% დიალდრინი	5,0	29,09	0,45	38,87	10,79	3,3	16,6
50% ტმტ	4,0	25,19	0,43	37,55	8,66	8,0	40,0
გრანოზანი	5,0	28,59	0,47	39,72	12,52	8,6	40,0
ფორმალინი	2,5	26,30	0,42	36,08	8,04	14,3	71,5
	2,0	26,71	0,45	37,22	10,08	13,3	66,5
	1:300	27,42	0,46	38,97	9,91	16,6	83,0

**დასკვნები**

1. ჩვენს მიერ გამოცდილ პრეპარატებიდან თესლის გაღივების ენერჯისა და აღმოცენების პროცენტზე ყველაზე მეტ გავლენას აიღენს მერკურანი +2% ემბ., 50% ტმტ +15% გენტაქლორი და 20% ტრიქლორფენოლიატ-სპილენძი.

სამივე პრეპარატის დოზის გადიდება უარყოფითად არ მოქმედებს გაღივების ენერჯის პროცენტზე. მიღებულია აღნიშნული პრეპარატების მაღალი (4,5-5, გ/კვ-ზე) დოზა.

2. პრეპარატები 50% ტმტ +12% გამაიზომერი გხცგ, 50% ტმტ +10% ალდრინი, თუთიის თესლის გაღივების ენერჯიას ამცირებს.

3. ყველაზე მაღალი ტოქსიკური თვისებებით ხასიათდება პრეპარატი მერკურანი +2% ემბ. 50% ტმტ +15% გენტაქლორი და 50% ტმტ +20 დიალდრინი.

აღნიშნული პრეპარატები იწვევს თესლის სოკოვანი ინფექციის სრულ გაუსენიანებას და მინიმუმამდე ამცირებს ბაქტერიულ ინფექციას.

პრეპარატი 20% ტრიქლორფენოლიატ-სპილენძი, 50% ტმტ +12% გამაიზომერი გხცგ, 50% ტმტ +10% დიალდრინი ნაკლებ ტოქსიკურია.

4. პრეპარატები 50% ტმტ +15% გენტაქლორი, მერკურანი +2% ემბ, და 50% ტმტ +20% დიალდრინი ფუნგიციდურ მოქმედებას იწვევენ არა უშუალოდ სოკოსთან შეხებისას, არამედ მანძილზეც. ამ თვისების გამო ეს პრეპარატები ნიადაგში თესლის გარშემო კმნიან სტერილურ ზონას, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ისინი ეფექტური იქნება არა მარტო თესლის ლპობის საწინააღმდეგოდ, არამედ სოკოვანი დაავადებისაგან დაცვის მიზნითაც.

5. ვეგეტაციურ ცდაში პრეპარატები მერკურანი +2% ემბ, 50% ტმტ



+15% გენტაქლორი და 50% ტმტდ +20% დიალდრინი თესვის დღიდან 9,0-დან 25,0%-მდე ზრდას უზარს საკონტროლოსთან შედარებით

ყველაზე მაღალი აღმოცენების პროცენტს იძლევა 50% ტმტდ +15% გენტაქლორით, 50% ტმტდ +20% დიალდრინით დამუშავებული თესლი.

6. ვეგეტაციურ ცდამი ყველაზე მცირე რაოდენობითაა დაავადებული პრეპარატ მერკურან+2% ემბ.ით დამუშავებული თესლის აღმონაცენები.

7. სათეს სკოლაში როგორც საკონტროლოსთან, ასევე ეტალონებთან შედარებით თესლნერგების ზრდა-განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს მერკურანი+2% ემბ და 50% ტმტდ+20% დიალდრინი.

8. სათეს სკოლაში დაავადების შემცირების მხრივ ყველაზე კარგ შედეგს იძლევა პრეპარატები მერკურანი+2% ემბ. და 50% ტმტდ+20% გენტაქლორი.

ГОГЕЛИЯ И. Ф.

## БОРЬБА С ЗАБОЛЕВАНИЯМИ СЕМЯН И ВСХОДОВ ШЕЛКОВИЦЫ

### Резюме

В условиях Грузии семена и всходы шелковицы подвержены грибковым заболеваниям, что приводит к существенному изреживанию всходов и возникает необходимость в повторных посевах.

Против заболевания семян и всходов шелковицы нами испытывались некоторые новые синтетические органические препараты, изготовленные «Ниуиф»-ом—20% трихлорфенолят меди, 50% ТМТД + 15% гентахлор 50% ТМДТ + 20% диальдрин, 50% ТМТД + 10% аальдрин, 50% ТМТД + 12% гаммаизомер ГХЦГ, и меркуран + 2% ЭМХ.

В качестве эталонов были использованы гранозан, 50% ТМТД и формалин.

Перечисленные препараты испытывались в лабораторных, вегетационных и полевых условиях, методом сухого протравливания семян.

В лабораторных условиях установлен процент прорастания и всхожести обработанных и необработанных препаратами семян, изучено их токсическое действие на, выявленные нами, патогенные для шелковицы грибы. Опыты проведены как на искусственно зараженном, так и на естественно провокационном фоне.

Установлено также токсическое действие летучих фракции испытанных препаратов.

В вегетационных и полевых условиях учитывались всхожесть семян, основные показатели роста и развития сеянцев и их заболеваемость.

В лабораторных условиях из испытанных нами препаратов наилучшие результаты получены от применения Меркурана +2% ЭМХа, 50% ТМТД + 15% гентахлора и 20% трихлорфенолята меди. Обработка ими семян шелковицы значительно повышает энергию прорастания и всхожесть семян, по сравнению с контролем и эталонами, ранее рекомендованными





для протравливания семян шелковицы—гранозаном, 50% ТМТД + 15% гентахлора, 50% ТМТД + 20% диальдрин и ртуран + 2% ЭМХ, обеззараживают семена до 95—99,4%, а в вегетационных и полевых условиях на 31—83%.

Против грибковой инфекции, из испытанных препаратов в лабораторных опытах оказались наиболее эффективными—50% ТМТД + 15% гентахлора, 50% ТМТД + 20% диальдрин и ртуран + 2% ЭМХ, обеззараживают семена до 95—99,4%, а в вегетационных и полевых условиях на 31—83%.

Эти же препараты оказались высоко токсичными для широко распространенных патогенных грибов *Fusarium Gibbosum* и *Myrothecium goidum*, поселяющихся на семенах и всходах шелковицы. Одновременно при их применении доводится до минимума и бактериальная инфекция.

Лучшие фракции указанных препаратов создают вокруг семян стерильную зону и предохраняют молодые всходы шелковицы от инфекции как грибковой, так и бактериальной.

Ртуран + 2% ЭМХ и 50% ТМТД + 20% диальдрин рекомендуются нами для предпосевной обработки семян, как высокоэффективные препараты против заболеваний семян и всходов шелковицы и одновременно повышающие рост и развитие сеянцев.

დაბრუნების ლიტერატურა

1. Чантурия Н. Н. и Какулия М. А.—Испытание некоторых препаратов для протравливания семян шелковицы. Тр. инст. защиты растений, т. XI, 1956.
2. Запраметов И. Г.—Обработка семян шелковицы гранозаном. Жри. «Лес и степь», № 9, 1951.
3. Кучура Т. А.—Эффективность протравителей против плесневания прорастающих семян кукурузы. Жри. «Защита растений», № 5, 1961.
4. Порженко В. В.—Новые протравители в борьбе с загниванием семян и гибелью всходов хлопчатника на Украине. Реф. ж. № 20, 1957.
5. Запраметов И. Г.—Болезни шелковицы. Ташкент, 1953.
6. Огиевская Е. В. и Гаврилова В. А.—Дезинфекция семян арбуза против заболевания фузориальным увяданием. Жри. «Овощеводство», № 2, 1940.
7. Швер Е. В.—Обработка семян сухими препаратами. Реф. ж. № 14, 1959.
8. Шаши А.—Оценка протравливания семян хлопчатника гранозаном в производственных условиях. Жри. «Хлопководство», № 3, 1952.
9. Мушников К.—Гранозан. Жри. «Колхозное право», № 6, 1952.
10. Жукова К. П.—ТМТД против болезней кукурузы. Защ. раст. от вредителей и болезней. 1958, № 3, 57—58. Реф. жур. № 3, 1958, № 4, 1959.
11. Русакова А. А., Шевченко Ф. П.—Новый препарат ТМТД для борьбы с болезнями растений. Реф. ж. № 14, 1957.
12. Калашников К. Я.—Комбинированный препарат ТМТД для протравливания семян. Реф. ж. № 1, 1959.



თუნუქის ტარის ხარისხი, მისი ფორიანობა, დასაფასოებელი პროდუქციის ქიმიურა შედგენილობა, კონსერვის შენახვის დრო და პირობები, მისი მნიშვნელობა ბული სტერილიზაციის მეთოდი და სხვა. ამის გამო კონსერვების შენახვის დროებიდან მცირე რაოდენობით შეიძლება მოხვდეს ტყვია, სპილენძი, კალა და სხვა. მათი რაოდენობა კონსერვებში მკაცრად შეზღუდულია სახელმწიფო სტანდარტით (ტყვია არ დაიშვება, სპილენძი დაიშვება 5—10 მგ-მდე 1 კგ პროდუქტში, ხოლო კალა 100—200 მგ-მდე 1 კგ პროდუქტში). ჩამოთვლილი მინიმე შეტარებებიდან თუნუქის ტარაში დაფასოებულ პროდუქტში შედარებით ყველაზე მეტი რაოდენობით გვხვდება კალა. ამიტომ ძირითადად სვადასხვა ასორტიმენტის და ამა თუ იმ მეთოდით დამზადებულ ხილის კონსერვებში განვსაზღვრეთ კალას რაოდენობა.

საცდელად დავამზადეთ შემდეგი ასორტიმენტის ხილის კონსერვები: ვაშლის წვენი, ვაშლის პოვიდლო, კომშის ჯემი, კომშის პოვიდლო, ვაშლის პიურე.

ვაშლის პოვიდლო, კომშის პოვიდლო და კომშის ჯემი დავაფასოეთ № 13 თუნუქის ქილებში და ნაწილის სტერილიზაცია ჩავატარეთ თერმული მეთოდით—პასტერიზაციით, ხოლო ნაწილისა ათერმულად—მაიონიზებელი სხივებით შემდეგი ინტეგრალური დოზებით: 0,5. 10<sup>6</sup>P, 1,0. 10<sup>6</sup>P, 1,5. 10<sup>6</sup>P, 2,0. 10<sup>6</sup>P, დანადგარის სიმძლავრე 584P/წმ.

ქიმიური ანალიზები კალას განსაზღვრაზე ჩავატარეთ ნიმუშების გასტერილიზებისა და შენახვიდან 3 და 9 თვის შემდეგ (ცხრ. 1, 2 და 3) კოლაროგრაფიული მეთოდით.

ნორიგი ანალიზებისათვის დავამზადეთ ვაშლის წვენი, ვაშლის პიურე. საანალიზო ნიმუშები დავამზადეთ ტექნოლოგიური ინსტრუქციის მიხედვით და დავაფასოეთ 200 მლ-იან ქილებში. თითოეულ ქილაში წინასწარ ჩავდეთ საკონსერვო მრეწველობაში დასაფასოებლად გამოყენებული 4×10 სმ ზომის თუნუქის ფურცლის ფირფიტები მოკალსული ზედაპირით და გვერდებით. დაფასოების შემდეგ ნიმუშების ნაწილი გადაეცა თერმოსტერილიზაციას, ხოლო დანარჩენის სტერილიზაცია ჩატარდა გასხივებით შემდეგი ინტეგრალური დოზებით: 0,5. 10<sup>6</sup>P, 1,0. 10<sup>6</sup>P, 2,0. 10<sup>6</sup>P.

ნიმუშებში კალა განვსაზღვრეთ კონსერვების დამზადებისას და დამზადებიდან 3 თვის შემდეგ (ცხრ. 4).

მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თუნუქის ტარაში დაფასოებულ ხილის კონსერვებში კალას გადასვლა თუნუქიდან პროდუქტში უფრო ინტენსიურია რადიაციული სტერილიზაციის შემდეგ. ამასთან კალას გადასვლის ინტენსივობა იზრდება კონსერვის გასხივების ინტეგრალური დოზის გადიდების შესაბამისად.

კალას რაოდენობა თერმოსტერილურთან შედარებით უფრო მეტია რადიაციულად გასტერილებულ პროდუქტებში.

ამრიგად, მიზანშეუწონელია თეთრი თუნუქის ტარაში ისეთი პროდუქციის დაფასოება, რომლის სტერილიზაცია უნდა ჩატარდეს მაიონიზებელი სხივებით.

ვაშლის პოვილოში კალას გადასვლის დინამიკა თერმული და  
 რადიაციული სტერილიზაციის შემდეგ

ანალიზის ჩატარების დრო ნიმუშის დამზადებიდან	№ 13 ქილაში დაფასოებული პროდუქციიდან ნიმუში აღებულია	კალას შემცველობა (მგ) თერმოსტერილურ 1 კგ ვაშლის პოვილოში	კალას შემცველობა (მგ) სხვადასხვა დონის მაიონიზებული სხივებით სტერილურ 1 კგ ვაშლის პოვილოში			
			0,5X10 <sup>6</sup> P	1,0X10 <sup>6</sup> P	1,5X10 <sup>6</sup> P	2,0X10 <sup>6</sup> P
დამზადებისა და სტერილიზაციის შემდეგ	სახურაეთთან ახლოს	87,5		105,22		
	შუა ფენიდან გვერდითი ფენიდან	76,8	74,5	105,22	111,1	130,6
		88,7	74,5	109,2	112,7	133,0
შენახვიდან 3 თვის შემდეგ	სახურაეთთან ახლოს	86,7		110,0	120,0	145,0
	შუა ფენიდან გვერდითი ფენიდან	75,6	75,0	107,0	115,0	125,0
		83,5	73,0	111,0	117,0	128,0
შენახვიდან 9 თვის შემდეგ	საშუალოდ	78,8	73,4	110,37	118,6	130,4

ცხრილი 2  
 კომპის ჯემში კალას გადასვლის დინამიკა თერმული და  
 რადიაციული სტერილიზაციის შემდეგ

ანალიზების ჩატარების დრო ნიმუშის დამზადებიდან	№ 13 ქილაში დაფასოებული პროდუქციიდან ნიმუში აღებულია	კალას შემცველობა (მგ) თერმოსტერილურ 1 კგ კომპის ჯემში	კალას შემცველობა (მგ) სხვადასხვა დონის მაიონიზებული სხივებით სტერილურ 1 კგ კომპის ჯემში			
			0,5X10 <sup>6</sup> P	1,0X10 <sup>6</sup> P	1,5X10 <sup>6</sup> P	2,0X10 <sup>6</sup> P
დამზადებისა და სტერილიზაციის შემდეგ	სახურაეთთან ახლოს	98,2	94,2	101,1	120,0	131,8
	შუა ფენიდან გვერდითი ფენიდან	85,7	74,4	88,9	102,8	120,5
		97,0	93,0	99,5	107,7	120,5
შენახვიდან 3 თვის შემდეგ	სახურაეთთან ახლოს	89,9	89,8	105,6	131,0	142,5
	შუა ფენიდან გვერდითი ფენიდან	88,9		99,8	121,4	127,4
			85,7		126,6	133,5
შენახვიდან 9 თვის შემდეგ	საშუალოდ	92,2	129,15	190,67	258,3	313,65



კომპის პოვიდლოში კალას გადასვლის დინამიკა თერმული და რადიაციული სტერილიზაციის შემდეგ

ქართული  
საბჭოთავო  
საბუნებისმეტყველო  
აкадеიის  
საქონლათმშენებელი  
სპეციალური  
სტერალიზაციის  
სამეცნიერო  
სამსახური

ანალიზის ჩატარების დრო ნიმუშის დამზადებიდან	№ 13 ქილაში დადისოებული პროდუქტიდან ნიმუში იღებულა	კალას შემცველობა (მგ) თერმოსტერილურ 1 კგ კომპის პოვიდლოში	კალას შემცველობა (მგ) სვადოსხვა დონის მიოინიზებული სპეცებით სტერილურ 1 კგ კომპის პოვიდლოში			
			0,5X10 <sup>6</sup> P	1,0X10 <sup>6</sup> P	1,5X10 <sup>6</sup> P	2,0X10 <sup>6</sup> P
დამზადებისა და სტერილიზაციის შემდეგ	სახურავთან ახლოს	82,5	83,4	90,4	106,8	110,7
	შუა ფენიდან გვერდითი ფენიდან		78,9	89,5		
შენახვიდან 3 თვის შემდეგ	სახურავთან ახლოს	88,7	83,6	92,8	110,7	120,8
	შუა ფენიდან	82,5	81,1	90,5	104,5	
	გვერდითი ფენიდან	84,2		94,9	109,9	
შენახვიდან 9 თვის შემდეგ	საშუალოდ	86,1	110,7	123,0	178,3	209,1

ცხრილი 4

ვაშლის წვენა და პიურეში კალას გადასვლის დინამიკა თერმული და რადიაციული სტერილიზაციის შემდეგ

ნიმუში	ანალიზის ჩატარების დრო ნიმუშის დამზადებიდან	კალას საშ. შემცველობა (მგ) 1 კგ თერმოსტერილურ პროდუქტში	კალას საშუალო შემცველობა (მგ) სვადოსხვა დონის მიოინიზებული სპეცების სტერილურ 1 კგ პროდუქტში		
			0,5X10 <sup>6</sup> P	1,0X10 <sup>6</sup> P	2,0X10 <sup>6</sup> P
ვაშლის წვენი	დამზადებისა და სტერილიზაციის შემდეგ	16,9	13,87	21,52	19,06
ვაშლის წვენი	დამზადებიდან 3 თვის შენახვის შემდეგ	18,25	15,95	24,05	24,50
ვაშლის პიურე	დამზადებისა და სტერილიზაციის შემდეგ	16,12	16,40	18,10	17,60
ვაშლის პიურე	3 თვის შენახვის შემდეგ	16,25	14,75	18,85	19,45

## ПЕРЕХОД ОЛОВА В ПРОДУКТ ПРИ РАДИАЦИОННОЙ СТЕРИЛИЗАЦИИ КОНСЕРВОВ

### Резюме

В консервной промышленности используется тара из различного материала, в том числе из белой жести.

Белая жесть представляет собой листовое железо, покрытое оловом. В консервные банки изготавливаемые из белой жести, расфасовываются как фруктовые, так и овощные рыбные и местные консервы.

В последнее время публикуются много материалов о возможности использования для стерилизации консервов ионизирующей радиацией.

Целью настоящей работы явилось изучение динамики количественного изменения олова в продукте, расфасованного в консервной таре из белой жести после радиационной стерилизации.

Были исследованы натуральные фруктовые, овощные соки, пюре, джем и повидло.

Установлено, что переход олова в продукт зависит от интегральной дозы и продолжительности хранения.

В заключении надо сказать, что не является целесообразным расфасовка продуктов в жестяную тару с последующей стерилизацией ионизирующей радиацией.

---

**ბ. ბადრიშვილი**

**მათალოს და პანტის საძირების დაჭარბებით აღზრდა,  
თესვის სისხირა, ნორმები და წესები**

დღემდე არსებული წესით ორწლიანი ვარჯიხასხეული ნამყენის მისაღებად საჭიროა საძირის ამოღება, დახარისხება, შენახვა, ნიადაგის დამატებით დამუშავება, საძირის კვლავ დარგვა და ა. შ., რაც საკმაოდ შრომატევადი საშუალოა და მოთხოვს ფულადი სახსრების დიდ დანახარჯებს. აღნიშნულის გამო ჩვენ ცდებში თესვა წარმოებდა სხვადასხვა სიხირით, მწკრივად და ბუდობრივად, სულ შვიდი კომბინაციით არა საძირეთა სანერგეში, არამედ სანამყენე სანერგის პირველ მინდორზე, რომელსაც სათეს-სამყნობ მინდორს ვუწოდებთ (რადგან თესვა და მყნობა აღნიშნულ მინდორზე წარმოებს ერთი ვეგეტაციის პერიოდში). თესვის დროს მცენარეთა შორის მანძილი იყო 1; 5; 10; 20; და 30 სმ, ხოლო რიგთშორის 80 სმ. თესლის ჩათესვის სიღრმე არ აღემატებოდა 3—4 სმ-ს. 1 და 5 სმ მანძილზე თესვა წარმოებდა მწკრივად, ხოლო 10-დან 30 სმ-მდე მანძილებზე ბუდობრივად. მანძილის ყოველი 5 სმ-ით გადიდების შემთხვევაში ბუდნაში თითო თესლს ვუმატებდით.

საძირეები სხვადასხვა სიძლიერის ზრდის უნარს იჩენენ, რაც ნათესარი-სათვის მეტად დამახასიათებელია. ამის გამო სტანდარტული, სამყნობად ვარგისი საძირეების მიღება და მყნობის ერთდროული ჩატარება ფერხდება.

ბუდობრივი თესვა სამყნობად ვარგისი, თანაბარი ზრდის საძირეების შერჩევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ამასთან მინიმუმამდე დაყვანილი მეჩხერიანობა და არ იზღუდება მექანიზაციის გამოყენების საშუალება.

ცდის შედეგების მიხედვით მაქალოს და პანტის თესლის ბუდობრივი თესვის წესი შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს. ერთი, როდესაც ბუდნაში 1—2 და მეორე, როდესაც ბუდნაში 3—5 თესლი ითესება.

პირველ შემთხვევაში თესლის აღმოცენების უნარიანობა დაბალია და მაქალოსთვის შეადგენს 69—70%-ს, პანტისათვის 55—65%-ს, ხოლო მეორე შემთხვევაში მაღალია და შესაბამისად უდრის 81—91 და 72—75%-ს. ბუდნაში 6 და მეტი თესლის ჩათესვას მაღალი აღმოცენებისათვის რაიმე მნიშვნელობა არა აქვს. აღმოცენების მხრივ ყველაზე უკეთეს შედეგს იძლევა ბუდნაში 3—4 თესლით თესვა, 15—20 სმ მანძილზე დაშორებით. ამ შემთხვევაში 1 ჰა-ზე საკმარისია 6 კგ მაქალოს ან 8 კგ პანტის თესლი. თესვის დროს ბუდნებს შორის უფრო მეტი მანძილის დატოვება, როგორც ჩვენს მიერ მიღებული მონაცემე-



ბიდან ჩანს, არაა მიზანშეწონილი, რადგან მცირდება მცენარეთა როდენობა ფართობის ერთეულზე და, მაშასადამე, ნამყენის გამოსავლიანობა. მცენარეები სხვადასხვა კვების არეზე გარემო ფაქტორებზე (სიმაღლე, სიჩქარე) ლა წელს ზრდის განსხვავებულ მაჩვენებლებს იძლევა. საძირეთა დაჩქარებით აღზრდის მიზნით ვსწავლობდით მაქალოს და პანტის საძირეების ზრდის დინამიკას ყოველ ათ დღეში ერთხელ როგორც ფეხებჩაჭრილ, ისე ფეხებჩაუჭრელ საძირეებზე კვების ცალკეულ არეზე დაწყებული 2—3 ნამდვილი ფოთლის ფაზიდან (იენისი) მყნობის დამთავრებამდე. შევისწავლეთ მცენარის სიმაღლე და ღეროს სისქე ნიადაგიდან 5 სმ სიმაღლეზე. ფესვთა სისტემის ზომა და წონა ცალკეული ფრაქციების მიხედვით. დაკვირვებას ვატარებდით ფენოლოგიური ფაზების მსვლელობაზე.

გორის ზონაში ცდის წარმოების 4 წელი ხეხილოვან მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის საშუალო ნალექიანობით (578 მმ) და ხელსაყრელი ტემპერატურულ რეჟიმით (12, 9°) ხასიათდებოდა, რაც თავის მხრივ სასურველ პირობას ქმნიდა საძირეთა დაჩქარებით აღზრდისათვის. იენისისათვის მაქალოსა და პანტის საძირეები შესაბამისი კვების არეების მიხედვით სიმაღლითა და სისქით დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მყნობის ვადისათვის (25/VIII—20/IX) ფესვებჩაუჭრელი მაქალოს და პანტის საძირეების სიმაღლე იყო 1X80 სმ კვების არეს პირობებში შესაბამისად 24 და 18 სმ, 20X80 სმ კვების არეზე 51 და 44 სმ, ხოლო 30X80 სმ კვების არეზე—65 და 44 სმ, ფესვებჩაჭრილი საძირეების კი 23 და 26 სმ, 55 და 47 სმ, 63 და 51 სმ. რაც შეეხება საძირეების სისქეს 20X80 სმ და 30X80 სმ კვების არეზე, იგი სავსებით ვარგისი იყო კვირტით მყნობისათვის—მაქალოს საძირეების სისქე მერყეობდა 8—9, ხოლო პანტის საძირეების სისქე—7—9 მმ-ის ფარგლებში.

**ფესვების ჩაჭრის გავლენა საძირეების ზრდაზე**

თესლიდან განვითარებული მაქალოს და პანტის ერთწლიანი საძირეები ფესვებს ძირითადად ვერტიკალურად ივითარებს, ღრმად მიდის ნიადაგში და სუსტად იტოტება. მაქალოს ნათესარების ღერძა ფესვი ნიადაგში 60 სმ სიღრმეზე ჩადის, ხოლო პანტისა 80 სმ-მდე. მათი მთავარღერძა ფესვის დატოტვა ნიადაგში იწყება 8—12 სმ სიღრმეზე. პანტის პორიზონტალურ ფესვთა სისტემის რადიუსი ნიადაგში 15 სმ-ს უდრის, ხოლო მაქალოსი 20—25 სმ-ს. მაქალოს ნათესარი პანტასთან შედარებით გაცილებით მეტი როდენობით და 10-ჯერ უფრო დიდი ზომის ბუსუსა ფესვებს ივითარებს, მაგრამ პანტის ფესვი უფრო მეტი სიციცხლისუნარიანია.

ფესვთა სისტემის ყველაზე აქტიური მასა ახალგაზრდა ფესვები, რომლებიც დაფარულია მრავალრიცხოვანი ბუსუსა ფესვებით.

მაქალოს და პანტის ფესვების დატოტვით და ბუსუსა ფესვების წარმოქმნით მკვეთრად იზრდება სანერგეში საძირისა და ნამყენის გამოსავლიანობა, მისი ხარისხი.

ახალგაზრდა ფესვთა სისტემის ნიადაგის ზედაფენაში განვითარება, განსა-



კუთრებით მაქალის ნათესარებზე. შეიძლება გამოწვეული იყოს საძირები-სათვის საუკეთესო ნიადაგური პირობების შექმნით და ფესვის წვეტარების წესით, რაც რამდენიმე ხერხით ტარდება. მათგან შედარებით ყველაზე უკეთესია ნიადაგში ფესვების ჩაჭრა, რასაც ცდაში ვატარებდით მაქალის და პანტის 100—100 საძირზე. საკონტროლოდ აღებული იყო ამდენივე მაქალის და პანტის ფესვებჩაუჭრელი საძირე.

ფესვების ჩაჭრა ტარდებოდა გაზაფხულზე (15—20 მაისი), 2—3 ნამდვილი ფოთლის ფაზაში, ნიადაგის ზედაპირიდან 5—7 სმ სიღრმეზე, როდესაც ფესვის საშუალო სიგრძე 10—12 სმ-ს არ აღემატებოდა. ამ ოპერაციის ჩატარების დროს დანამ შეიძლება ყველა ფესვი არ შეჭრას, მაგრამ ბუდობრივი თესვის ერთ-ერთი უპირატესობა სწორედ იმაშია, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელია მათ შორის ძლიერ მოზარდი საძირის შერჩევა. ფესვებჩაჭრილი საძირეები პიკირების შემდეგ ისევე, როგორც ფესვებჩაუჭრელი საძირეები, ირწყვებოდა 10 დღის განმავლობაში, ფესვებჩაჭრილი საძირეები 10—12 დღის განმავლობაში კრიტიკულ მომენტში იმყოფება და ზრდაში ჩამორჩება ფესვებჩაუჭრელ საძირეებს, მაგრამ უვითარდებათ ახალი დატოტვილი ფესვთა სისტემა. როდესაც ნათესარები ღეროს ზრდის ფაზაში შევიდა და 5—6 ფოთლი განვითარა, ხოლო სიმალლით 7—8 სმ-ს მიაღწია, ჩავატარეთ აზოტის სისტემით გამოცემა.

მაქალის და პანტის ფესვებჩაჭრილ საძირეებზე ახალი ფესვების წარმოქმნა ინტენსიურად მიმდინარეობს მაისის ბოლო რიცხვებიდან ივნისის პირველ ნახევრამდე, როდესაც საძირის ღერო ჯერ კიდევ ნორჩია.

ვეგეტაციის დამთავრების შემდეგ, მაქალის და პანტის ფესვებჩაჭრილი და ფესვებჩაუჭრელი საძირეების აღრიცხვის შედეგად გამოირკვა, რომ პიკირებული საძირე ერთიორად მეტი დატოტვილ ფესვებს ივითარებს, ვიდრე არაპიკირებული საძირე.

ფესვებჩაჭრილი საძირე უფრო უხვად ივითარებს გვერდით ფესვებს და ფესვების საერთო სიგრძით მნიშვნელოვნად აღემატება ფესვებჩაუჭრელს, თუმცა ამ გარემოებაზე არსებით გავლენას ახდენს კვების არეს სიდიდეც—კვების დიდ არეზე აღზრდილ საძირეზე ფესვები მეტი რაოდენობით წარმოიშვება, რაც ხელს უწყობს საასიმილაციო ფართის გადიდებას და საძირეების ინტენსიურ განვითარებას.

1-ელი ცხრილიდან ჩანს, რომ მაქალის პიკირებული ნათესარი, რომელიც 5X80 და 10X80 სმ კვების არეზე აღიზარდა. უკეთესად დაიტოტა, მაგრამ ფესვთა სისტემის საერთო ზომით ჩამორჩა ფესვებჩაუჭრელ საძირეებს, ხოლო 15X80 და 20X80 სმ კვების არეზე მოზარდი საძირეების ფესვების სიგრძე თითქმის ერთმანეთის ტოლია: 25X80 სმ და 30X80 სმ კვების არეზე ფესვთა სისტემა კიდევ უფრო ინტენსიურად იზრდება.

პანტის საძირეებზე ფესვების ჩაჭრა ყველა კვების არეზე მკვეთრად მოქმედებს. ჩატარებული გამოცვლებებით მაქალის ნათესარებზე 3 მმ-მდე სისქის ფესვები მთელი ფესვების 65%-ს შეადგენდა, ხოლო პანტის ნათესარებზე ასეთი სიდიდის ფესვები 43%-ს უდრიდა. მაქალის ერთწლიანი ფესვებჩაუჭ-





რელი ნათესარების ფესვების საერთო სიგრძე 8 მ-ს აღწევდა, ხოლო პანტისა-  
 4, 6 მ-ს. ფესვებჩაჭრილ ერთწლიანი მკალოს ფესვების სიგრძე 6,3 მ-ს.  
 წია, პანტისამ კი 6,3 მ-ს.

მაღალი აგროტექნიკის ფონზე, როგორც ცდის შედეგებიდან ჩანს, მკა-  
 ლოს საძირეთა დაჩქარებით აღზრდისას სათანადო კვების არეზე (15X80;  
 20X80; 25X80 და 30X80 სმ). ფესვების ჩაჭრის გარეშე შეიძლება ხარისხო-  
 ვანი, სტანდარტული საძირეების მიღება.

ოპტიმალური კვების არეს დადგენის სრულყოფისათვის წარმოებდა ფეს-  
 ვების წონითი ანალიზი. ფესვების ჩაჭრის დადებითი გავლენა ფესვთა წონის  
 მატებაზე შედარებით მცირედ, 2—5 გ-ით, მაგრამ მინც ვლინდება თითქმის  
 ყველა ვარიანტში (ცხრ. 1). ასევე უკეთესი შედეგი მოგვცა პანტის საძირეთა

მკალოს და პანტის ფესვების ზრდა  
 (1961—1964 წწ. საშუალო)

ცხრილი 1

მცენარეთა შორის შანხილი (სმ)	მ კ ა ლ ო						პ ა ნ ტ ა					
	ფესვებჩაუჭრელი			ფესვებჩაჭრილი			ფესვებჩაუჭრელი			ფესვებჩაჭრილი		
	ძირითადი ფესვების რა- ოდენობა	სიგრძე (სმ)	წონა (გ)	ძირითადი ფესვების რა- ოდენობა	სიგრძე (სმ)	წონა (გ)	ძირითადი ფესვების რა- ოდენობა	სიგრძე (სმ)	წონა (გ)	ძირითადი ფესვების რა- ოდენობა	სიგრძე (სმ)	წონა (გ)
1	1	180	1,9	3,4	229	3,1	1	160	2,2	2—3	152	3,4
5	1	335	8,1	5	266	8,2	1	201	3,3	2	210	7,2
10	1—2	434	12	5	297	11,2	1	248	7	4	200	8,9
15	2—3	335	11	5	494	13,3	1—2	238	9,2	4	239	11,5
20	3	642	14,2	5	623	16,1	2	364	10,5	4—5	372	13,9
25	3	599	16,6	5—6	830	20,6	2	357	15,7	4—5	507	26,1
30	3	802	20,5	6	1197	22,9	2—3	464	20,1	4—5	634	24,9

ფესვების ჩაჭრამ მცენარეთა სისქეზე და სიმაღლეში ზრდის მიხედვით. განს-  
 ხვავება ცალკეულ კვების არეს შორის 6—9 სმ-ს აღემატება სიმაღლეში  
 ზრდის მიხედვით, ხოლო სისქის მიხედვით 1—1,5 მმ-ს. ასევე მეტს იწონის  
 ფესვებჩაჭრილი საძირეების მიწისზედა ნაწილები ფესვებჩაუჭრელთან შედარ-  
 რებით (ცხრ. 2).

პანტის საძირეთა ზრდის მაჩვენებლების მიხედვით ფესვებჩაჭრილი საძი-  
 რეები ფესვებჩაუჭრელზე უკეთესია. ფესვების ჩაჭრა სიგრძეში ზრდაზე ისეთ  
 მკვეთრ გავლენას ვერ ახდენს, როგორც ფესვთა სისტემის დატოტვასა და სიმ-  
 სხოში ზრდაზე. ეს უკანასკნელი კი აუცილებელია სტანდარტული, სამყონობად  
 ვარჯისი საძირის მისაღებად. ამიტომ, როგორც წესი, პანტის საძირეებზე უნდა  
 ჩატარდეს ფესვების ჩაჭრა. მკალოს და პანტის I და II ხარისხის საძირეები  
 უფრო მეტი ზაოდენობით მიიღება ფესვების ჩაჭრის შემთხვევაში (ცხრ. 3).



კვების არეს გავლენა საძირის ზრდაზე

ეროვნული  
ცენტრალიზაცია

საძირის დაჩქარებით აღზრდა და ფართობიდან მისი გამოსავლიანობა მოკლებულია საძირის კვების არესზე. მცენარეთა სიხშირეზე, ნოყიერი ნიადაგი, მაღალხარისხოვანი თესვა, დროული თესვა, საუკეთესო აღმოცენება და ფესვების ჩაჭრა ვერ უზრუნველყოფს ზარისხოვანი და დიდი რაოდენობის გამოსავლიანობას თუ მცენარე უზრუნველყოფილი არ იქნა ოპტიმალური კვების არეთი.

ჩვენი ქვეყნის სანერგე მეურნეობებში ორწლიანი ნამყენების მისაღებად ფართოდ იყენებენ 90—100 სმ მანძილს რიგთშორის და 30 სმ-ს მცენარეთა შორის. ეს მანძილები შეფარდებულია ცხენის კულტივატორის მუშაობასთან და არა თვით მცენარის ბიოლოგიურ მოთხოვნილებასთან. კვების ასეთი არე ვერ უზრუნველყოფს ნერგის მაღალ გამოსავლიანობას: 1 ჰა-ზე ირგებდა საშუალოდ 33—37 ათასი საძირე. შეჯალოს და პანტის საძირეთა აღზრდასათვის და ერთწლიანი ვარჯჩასახელი ნამყენის მისაღებად კვების არე შეიღება უფრო ნაკლები იყოს. ამ მიზნით ცდაში ისწავლებოდა საძირისა და ნამყენის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის ოპტიმალური კვების არეს დასადგენად მცენარეთა შორის შემდეგი მანძილები: 1X80 სმ, 5X80 სმ, 10X80 სმ, 15X80 სმ, 20X80 სმ, 25X80 სმ და 30X80 სმ. ჩატარებული ცდებით დადგინდა იქნა, რომ გარკვეულ ზღვრამდე მცენარეთა კვების არეს გაადიდებით საძირე ნასათღება უკეთესი ზრდა-განვითარებით (ცხრ. 1 და 2).

ცხრილი 2

საძირის მიწისზედა ნაწილის ზრდა (1961—1964 წწ. ხანალო)

მცენარეთა შორის მანძილი (სმ)	მ ა ე ა ლ ო						პ ა ნ ტ ი					
	ფესვებჩაჭრელი			ფესვებჩაჭრილი			ფესვებჩაჭრელი			ფესვებჩაჭრილი		
	სიმაღლე (სმ)	სისქე (გ)	წონა (გ)	სიმაღლე (სმ)	სისქე (გ)	წონა (გ)	სიმაღლე (სმ)	სისქე (გ)	წონა (გ)	სიმაღლე (სმ)	სისქე (გ)	წონა (გ)
1	24	3,0	1	23	3,5	1,0	18	3,5	1,0	26	3,0	1
5	25	4,5	2	28	5,0	2,5	18	4,0	2,0	26	4,0	2
10	34	6,0	3	37	6,0	6,0	24	5,0	2,5	24	5,0	3
15	46	7,0	5	50	7,0	10,0	36	7,0	6,0	37	7,0	7
20	51	8,0	6	55	8,0	11,0	44	7,0	9,0	47	8,5	11
25	54	8,0	10	63	8,5	12,0	44	7,5	13,0	50	9,0	14
30	65	8,0	15	63	9,0	16,0	44	8,0	13,0	51	9,0	17

ერთ სავეგეტაციო პერიოდში სმენობად ვარჯისი საძირე მიიღება 5X80; 20X80; 25X80 და 30X80 სმ კვების არეს შემთხვევაში. სტანდარტულ საძირეთა და ერთწლიანი ვარჯჩასახელი ნამყენების წარმოებისათვის უპერსპექტივოა 1X80; 5X80 და 10X80 სმ კვების არე.

1X80 და 5X80 სმ კვების არესზე აღზრდილი მაეალოს და პანტის საძირეები ივითარებენ დაუტოტავ მთავარ ფესვს, სხვადასხვა საძირეთა ფესვები ხშირ შემთხვევაში გადახლართულია ერთმანეთში და ღრმად მიდის ნიადაგში. 16. შრიფტი, ტ. LXXIII, 67 წ.



მაქალოს და პანტის საძირეები, აღზრდილი 20X80; 25X80 და 30X80 სმ კვების არეზე, ზრდის სიძლიერით დიდად არ განსხვავდებიან ურთიერთში. მაქალოს საძირის სიმაღლე 51—65 სმ-ს აღწევს, სისქე 8 მმ-ს. ხაზის სიგრძე 3 ძირითადი დატოტვილი ფესვი. აღნიშნულ კვების არეებზე მკვეთრი განსხვავება მხოლოდ ფესვთა სისტემის მასაშია. ანალოგიური შედეგებია მიღებული პანტის საძირეებზეც, რომელიც მაქალოს საძირეს შესაძინევად ჩამორჩება ზრდაში, განსაკუთრებით ფესვთა სისტემის მხრივ (ცხრ. 1 და 2).

ჩატარებული კვლევის შედეგად მაქალოს და პანტის საძირეები 30X80 სმ კვების არეზე უკეთესი ზრდით ხასიათდება, ვიდრე 15X80 და 20X80 სმ კვების არეზე. მართალია, საძირის ზრდა-განვითარების ოპტიმალური კვების არეა 15X80 სმ, მაგრამ ერთწლიანი ვარჯჩასაბუღი ნამყენისათვის იგი მცირეა. 20X80 სმ კვების არე სრულიად საკმარისია როგორც მალახარისხოვანი სტანდარტული საძირის, ისე ნამყენის აღზრდისათვის.

არსებული წესის მიხედვით, 90X30 სმ კვების არეზე აღზრდილი მაქალოს და პანტის საძირე და ნამყენი კიდევ უფრო მეტი ზრდის სიძლიერით ხასიათდება, მაგრამ ფართობის ერთეულზე მცენარეთა ნაკლები რაოდენობის გამო ნამყენის გამოსავლიანობა მცირდება.

საძირეები მათი ფესვთა სისტემის განვითარების და მიწისზედა ნაწილების სიძლიერის მიხედვით იყოფა ორ ხარისხად. მე-3 ცხრილში მოცემულია ცალკეული კვების არეს მიხედვით მაქალოს და პანტის საძირეების ხარისხობრივი გამოსავლიანობა.

ცხრილი 3

სტანდარტულ საძირეთა გამოსავლიანობა (%)  
(1961—1964 წწ. საშუალო)

მცენარეთა შორის მანძილი (სმ)	მაქალოს						პანტის					
	ფესვებზეაპირი			ფესვებზეაპირი			ფესვებზეაპირი			ფესვებზეაპირი		
	I	II	სტანდარტი	I	II	სტანდარტი	I	II	სტანდარტი	I	II	სტანდარტი
5	11	16	73	3	14	83	17	23	60	20	18	62
10	22	19	59	19	19	62	30	31	39	43	22	35
15	26	33	44	36	29	25	65	23	12	72	20	8
20	75	15	10	79	18	3	76	13	11	80	16	4
25	80	12	8	84	14	2	86	12	2	86	11	3
30	86	11	3	82	13	5	84	13	3	89	8	3

მაქალოს პირველი ხარისხის საძირეების გამოსავლიანობა 20X80 სმ კვების არეზე 75%-ს, ხოლო მეორე ხარისხისა 15%-ს უდრის, პანტისა კი შესაბამისად 76 და 13%-ს.

საძირეთა დაჩქარებით აღზრდისას მყნობისათვის მზადება ზაფხულის მეორე ნახევრიდან იწყებოდა, როდესაც საძირეები 8—9 მმ სისქეს აღწევდნენ. მეთოდით გათვალისწინებული ვაშლისა და მსხლის სამრეწველო ჯიშების კვირტით მყნობა წარმოებდა 25 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე 20X80 სმ კვების არეზე აღზრდილ საძირეებზე.



Труды Грузинского ордена Трудового Красного Знамени  
Сельскохозяйственного Института, т. LXXIII, 1967 г.

დოკ. მ. ზელიძე

### საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის ზოგადი საკითხი

ჩვენი ქვეყნის უდიდეს რევოლუციურ გარდაქმნებში, რაც მოპოვებულია ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოფლის ცხოვრების სოციალისტურ საწყისებზე გადაყვანას, საკოლმეურნეო წყობილების შექმნას. პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ ეს იყო ყველაზე უფრო რთული და ძნელი ამოცანა.

სკკ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისებში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“ აღნიშნულია: „აუცილებელი იყო დაგვეძლია წერილი მესაკუთრის საუკუნეობრივი ჩვეულების ძალა, შეგვეცვალა მისი ფსიქოლოგია, დაგვერწმუნებინა გლეხი ახალი ცხოვრების უპირატესობაში“.

ამ მსოფლიო ისტორიული ამოცანის გადასაწყვეტად პარტიას მოუხდა მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის განმტკიცებისა და გლეხთა მასების გარდაქმნისათვის წლობით დაძაბული ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება. მიუხედავად გამოუცდელობისა და პრაქტიკული მაგალითების უქონლობისა, პარტიამ ბრწყინვალედ უზრუნველყო სოფლის სოციალისტური რეორგანიზაციის განხორციელება.

ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმი და მოგვცა ღრმამეცნიერულად დამუშავებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გეგმა, საერთაშორისო ისტორიული მნიშვნელობის კოოპერაციული გეგმა, რომელშიც ყოველმხრივ გააშუქა სოციალისტურ საწყისებზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნის მეთოდები და საშუალებები. ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ნებაყოფლობისა და თანდათანობითი კოოპერირების პრინციპებს. სოფლად სოციალისტურ მშენებლობაზე მუშათა კლასის მხრივ მუდმივი ხელმძღვანელობის აუცილებლობას, მის კავშირს გლეხობასთან.

საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე—1921 წლის მარტიდან ზუსტად ლენინის მიერ განსაზღვრული პროგრამის მიხედვით.

საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის დაწყება დაემთხვა სამხედრო კომუნიზმის დამთავრებლად ქვეყნის მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის, ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების, 1921 წ. მოუსავლობის გა-



მო გამოწვეული სასურსათო სიძნელეების პერიოდს. რამაც ერთგვარად განაღვიძრა მავალი ხასიათის დაბრკოლებები შექმნა საკოლმეურნეო მშენებლობის ხელშეწყობის მიზნით. ჩვენში საკოლმეურნეო მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებისას წინ უძღოდა დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რუსეთის ფედერაციაში სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის, ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის პრაქტიკულად განხორციელების 3 წლის მეტად მდიდარი და საინტერესო გამოცდილება. რომლის შემოქმედებით გამოყენებას უძღვდა მნიშვნელობა ჰქონდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ მეფისა და მენშევიკური მთავრობებისაგან მიიღო მძიმე მემკვიდრეობა, განადგურებული სოფლის მეურნეობა ძლიერ სუსტად განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. ამიტომ ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის საფუძველზე სოფლის მეურნეობის აღდგენის, მისი განვითარებისა და სოციალისტურად გარდაქმნის ღონისძიებების განხორციელება გულისხმობდა ადგილობრივი ბუნებრივი, ეკონომიური, საყოფაცხოვრებო, ეროვნული და სხვა პირობების გათვალისწინებას.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი დეკრეტი შეეხებოდა მიწის ნაციონალიზაციას (6/IV 1921 წ.), რომლის ძალით მშრომელმა გლეხობამ მიიღო მიწა უსასყიდლოდ და დაადგა მუშათა კლასთან მტკიცე კავშირის გზას, მეურნეობის სოციალისტურ მეთოდებზე თანდათანობით გადასვლის გზას.

მიწის შესახებ მიღებული დეკრეტით, 1921 წ. მაისიდან საქართველოს მიწსახკომის საადგილმამულო პოლიტიკის განყოფილების და მასთან შექმნილ კოლმეურნეობათა ქვეგანყოფილების ერთ-ერთ ამოცანად მიჩნეული იყო კოლექტიური მეურნეობის მოწყობა და მათი რეგისტრაცია. შემუშავებულ იქნა მწარმოებელი კოლექტიური მეურნეობის ნორმალური წესდებებიც.

ჩვენში 1921 წლის 1 ოქტომბრისათვის უკვე დაარსებული იყო 35 კოლექტიური მეურნეობა, მათ შორის 2 სასოფლო-სამეურნეო კომუნა, 33 არტელი და მიწის საზოგადოებრივი შრომით დამამუშავებელი ამხანაგობა. მათში გაერთიანებული იყო 1338 კომლი 1775 დესეტინა განსაზოგადოებული მიწით. იმავე წლის ბოლომდე კოლმეურნეობათა რიცხვი გაიზარდა 47-მდე, მათ შორის კომუნებისა—3-მდე, მშრომელი მწარმოებელი ამხანაგობისა—38-მდე. 1922 წლიდან განუხრევლად იზრდებოდა კოლექტიური მეურნეობათა რიცხვი და მათ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობები და სხვა საწარმოო საშუალებები, ვითარდებოდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მალდებოდა კოლექტიური მეურნეობის ეკონომიური ეფექტიანობა და, მაშასადამე, მისი უპირატესობა, ავტორიტეტი. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში დაარსებული კოლექტიური მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის ფართოვანებას. სულ საქართველოში 1921—1922 წწ. და 1923 წლის იანვარში ჩამოყალიბებული იყო 87 სასოფლო-სამეურნეო კომუნა, არტელი და ამხანაგობა. მათ შორის 6 კომუნა იყო. ისინი არსებობდა გორის, თბილისის, ბორჯალოს, შორაპნის, ქუთაისის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის და ახალციხის მაზრებში. აქედან ქ. თბილისსა და მის მაზრაზე მოდიოდა 45 კოლექტიური მეურნეობა.



საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენის, განვითარებისა და სოციალისტურად გარდაქმნისათვის არსებითი, გადამწყვეტი მნიშვნელობის სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე, რესპუბლიკის მთავრობის და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემუშავებული დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის, მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა სისტემის თანმიმდევრულად განხორციელებას. სოფლის მეურნეობაში 1921—1925 წლების მანძილზე, რომლებიც მიმართული იყვნენ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, მიწათმოქმედებაში შრომის ნაყოფიერების ზრდისაყენ, სოფლად მეურნეობის სოციალისტური ფორმების დანერგვისა და განვითარებისაყენ.

1924 წლის შემოდგომისათვის საქართველოში ითვლებოდა 19 სასოფლო-სამეურნეო კომუნა. არტელი და ამხანაგობა. ვარდა ამისა, ამ დროისათვის ფაქტურად იყო სხვა კოლექტიური მეურნეობებიც, მაგრამ მათ შესახებ ცნობები არ იყო წარმოდგენილი, რადგან 1922 წლიდან საქართველოს მიწსახკომთან აღარ არსებობდა სასოფლო-სამეურნეო კომუნების ბიურო, რომელიც 1924 წლის აგვისტოში შეიქმნა, აღსდგა მიწსახკომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებასთან კოოპერაციული ბიუროს სახელწოდებით და რომელსაც კოოპერაციულ საქართველოსთან ერთად დავალებული ქონდა ხელმძღვანელობა გაეწია საკოლმეურნეო მშენებლობისათვის, უზრუნველყო კოლმეურნეობების დაარსების, რეგისტრაციის და მათი საქმიანობის აღრიცხვის საქმე.

1925 წლის ივნისისათვის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული აღრიცხვის არასრული მონაცემებით, საქართველოში სულ არსებობდა 46 კოლექტიური მეურნეობა 846 წევრით და 867 დესეტინა მიწით. ამავე დროისათვის ჩამოყალიბების პროცესში იყო რიგი კოლმეურნეობები გორის, თელავის, სიღნაღის, დუშეთის, ახალქალაქისა და სხვა მაზრებში.

საქართველოში პირველი სასოფლო-სამეურნეო არტელი „ახალი ცხოვრება“ დააარსეს გორის მაზრის სოფელ სამთავისის ღარიბმა კომუნისტმა გლეხებმა 1921 წლის მარტის პირველ რიცხვებში. მასში გაერთიანებული იყო 24 გლეხი. 1924 წელს მის ბაზაზე შეიქმნა სამთავისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო კომუნა. რომლის დაარსების საინიციატივო კომიტეტის, ხოლო შემდეგ კომუნის პირველ თავმჯდომარედ არჩეული იყო კომუნისტური პარტიის წევრი 1913 წლიდან გ. უზნაძე.

ერთ-ერთი პირველი კოლექტიური მეურნეობა, რომელიც 1921 წლის 22 მარტს დაარსდა, იყო ამავე მაზრის სოფ. მეჯვრისხევის სასოფლო-სამეურნეო კომუნა, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბდა მეორე კოლმეურნეობა—მიწის საზოგადოებრივი შრომით დამამუშავებელი ამხანაგობა. 1921 წლის ივნისში სასოფლო-სამეურნეო კომუნა შეიქმნა სოფ. მოხისში (გორის მაზრა), ხოლო 1921—1922 წწ. სასოფლო-სამეურნეო არტელი სიღნაღის მაზრის სოფ. ველისციხეში, რომელიც შემდეგ „შრომის სამეფოს“ სახელობის კომუნად გადაკეთდა. მის პირველ თავმჯდომარედ არჩეული იყო ი. ჩეკური-



შვილი. არტელში პირველად ითვლებოდა 10 გლეხი, ხოლო კომუნაში — 30  
 ოჯახი. 1921 წელს ამხანაგობები, კომუნები და არტელები დაარსდა სიღნაღის  
 სიღნაღის მაზრის სოფ. ნუკრიანში, გურჯაანში, შირაქში, კოტაილის მაზრაში და სხვ.  
 1921 წ. აგვისტოში ამხანაგობები დაარსდა სოფ. კიკეთში (თბილისის მაზრა),  
 ქ. თბილისში, მის გარეუბნებსა და მაზრაში და ითვლიდა 45-ზე მეტ  
 მეტ სხვადასხვა საწარმოო მიმართულების კოლმეურნეობებს.

მაგრამ აღდგენით პერიოდში დაარსებული კოლექტიური მეურნეობები  
 საკმაოდ ვერ განვითარდნენ. სრულყოფილი არ იყო მაზრების მიხედვით კოლ-  
 მეურნეობების გეოგრაფიული განაწილება. ისინი ძირითადად წარმოდგენილი  
 იყო კახეთსა და ქართლში.

1925 წლის ბოლოსათვის საქართველოში სულ არსებობდა 58 კოლმეურ-  
 ნეობა 880 გლეხური კომლით.

სოციალისტური მშენებლობისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეო-  
 ბის განუხრელად ზრდის ინტერესები მოითხოვდნენ მრეწველობისაგან სოფ-  
 ლის მეურნეობის ჩამორჩენის დაძლევას, მისი საქონლიანობის დონის ამაღლე-  
 ბას, ინტენსიფიკაციას, საკოლმეურნეო მშენებლობის მასობრივად გაშლას,  
 რისთვისაც უკვე ყველა პირობა არსებობდა.

კოლექტივიზაციის ყრილობის წინა პერიოდის საკოლმეურნეო მშენებლო-  
 ბაში, უდავოდ, დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობათა  
 ყრილობის გადაწყვეტილებებმა (1925 წ. მარტი), სკკპ ც. კ-ის 1926 წლის 30  
 დეკემბრის დადგენილებამ საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობების მშე-  
 ნებლობის შედეგების შესახებ, სსრ კავშირის ცაკისა და სსრ კავშირის სახ-  
 კომსაბჭოს 1927 წლის 16 მარტის დადგენილებებმა კოლექტიური მეურნეობე-  
 ბისა და საბჭოთა მეურნეობების შესახებ და 1927 წლის 3 ოქტომბერს მიღე-  
 ბულმა დებულებამ — სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ და სხვ.

საქართველოში კოლექტიური მეურნეობების რეგულარული ზრდა-განვი-  
 თარება დაიწყო 1926—1927 წწ., ძირითადად კი 1928 წლიდან. ჩვენში 1926  
 წლისათვის იყო 58, ხოლო 1927 წელს — 108 კოლექტიური მეურნეობა, მათ  
 შორის 8 სასოფლო-სამეურნეო კომუნა, 70 არტელი და 30 მიწის საზოგადო-  
 ებრივი შრომით დამამუშავებელი ამხანაგობა. 1928 წლის ივლისისათვის კი  
 მათმა რიცხვმა შეადგინა 212, ხოლო წლის ბოლოსათვის — 239. მათ შორის  
 საწესდებო ფორმების მიხედვით იყო 11 სასოფლო-სამეურნეო კომუნა (4,6%),  
 135 არტელი (56,0%) და 98 მიწის საზოგადოებრივი შრომით დამამუშავებე-  
 ლი ამხანაგობა (38,9%).

1928 წლისათვის საქართველოში არსებობდა და ჯანსაღ ნიადაგზე წარმარ-  
 თავდა სამეურნეო საქმიანობას გორის მაზრის სოფ. სამთავისის ს. ორჯონიკი-  
 ძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო კომუნა, გორის მაზრის სოფ. ლამისყა-  
 ნის ფ. მახარაძის სახელობის კომუნა, სიღნაღის მაზრის სოფ. ველისციხის  
 „შრომის სამეფოს“ სახელობის კომუნა, სიღნაღის მაზრის სოფ. ზემოქედის.  
 მ. ორახელაშვილის სახელობის კომუნა, ბორჩალოს მაზრის სოფ. კოზრეთის  
 „კოზრეთის კომუნა“, ახალქალაქის მაზრის სოფ. სულდინის ა. მიასნიკოვის  
 სახელობის კომუნა, თბილისის მაზრის სოფ. აღბულახის ა. მიასნიკოვის სახე-



ლობის კომუნა, დუშეთის მაზრის სოფ. წილენის კომუნა, თელავის მაზრის სოფ. აკურის სასოფლო-სამეურნეო არტელი „ვაზი აშენე“, ოზურგეთის მაზრის სოფ. გულიანის „ლიმონი“ და სოფ. კანიეთის არტელის მკვლევარებმა გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო არტელები და მიწის საზოგადოებრივი შრომით დამამუშავებელი ამხანაგობები იყო დაარსებული შორაპნის, ზუგდიდის, სენაკის, ახალციხის, ახალქალაქის, ქუთაისის და სხვ. მაზრებში, აფხაზეთსა და აჭარაში.

საქართველოში მასობრივ საკოლმეურნეო მშენებლობას და მის აღმავლობას 1927—1928 წლებიდან დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა მეურნეობების რიცხოვნობა ზრდამ, სსრ კავშირში პირველი მტუ-ის დაარსებამ (1927 წ.), რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ცენტრის დაარსებამ (1928 წ.), სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემის რეორგანიზაციამ (1929 წ.), სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებამ, მტკიცე მიწათსარგებლობის შექმნის ღონისძიებების განხორციელებამ, არსებული კოლმეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების მიზნით სკკპ XV ყრილობის მიერ დასახული ღონისძიებების გატარებამ. პირველმა ხუთწლიანმა გეგმამ, რუსეთის ფედერაციის მესამე, ხოლო სსრ კავშირის პირველმა კოლმეურნეობათა ყრილობებმა (1928 წ. მაისსა და ივნისში) და საქართველოს კოლმეურნეთა ყრილობამ (1928 წ. იანვარი). უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ც. კ-ის 1928 წლის III სექტემბრის დადგენილებას, რომელშიც შეჯამებული იყო საქართველოში სოციალისტური მშენებლობის შედეგები. ამასთან პარტია იძლეოდა შემდგომი განვითარების ფართო პროგრამას.

საკოლმეურნეო მშენებლობის ფართოდ გაშლისა და წარმატებით განვითარების შედეგად, 1929 წლის მეორე ნახევრიდან სსრ კავშირსა და საქართველოში განხორციელდა მთლიანი კოლექტივიზაცია და მის საფუძველზე კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია.

ჭეყენის ინდუსტრიალიზაციის, სატრაქტორო და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მშენებლობის ფართოდ გაშლის შედეგად მომზადდა მყარი ნიადაგი მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელებისათვის.

1929 წლის გაზაფხულისათვის საქართველოში იყო 513 კოლექტიური მეურნეობა, ნაცვლად 1928 წლის 239-სა, ხოლო წლის ბოლოსათვის 839 კოლმეურნეობა. მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კომუნა იყო 21 (2,5%). არტელი 590 (70,3%) და ამხანაგობა—228 (27,2%). კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვის ზრდა 1928 წ. შედარებით 1929 წ. შეადგენდა 35,1%-ს. არსებული მონაცემები ნათლად მიუთითებს საკოლმეურნეო მშენებლობის ტემპის გაძლიერებაზე და იმ არსებით ცვლილებებზე, რაც მოხდა კოლექტიური მეურნეობების საწესდებო ფორმების ურთიერთშეფარდებაში. საკოლმეურნეო მშენებლობის 12 წლის პრაქტიკამ მთლიანად დაადასტურა, რომ კოლექტიური მეურნეობის სამი ძირითადი საორგანიზაციო-საწესდებო ფორმიდან მთავარია სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელშიც სწორადაა შეთანაწყობილი სახელმწიფოს, კოლმეურნეობისა და კოლმეურნის საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები. ამიტომაც, რომ ჩვენში არტელი მტკიცედ დამკვიდრდა და უკვე 50 წელს ითვლის.





მთლიანი კოლექტივიზაციის ლენინური პოლიტიკის განხორციელება მო-  
 აწავებდა დიდ რევოლუციას ეკონომიურ ურთიერთობაში, გარკვეულწი-  
 რების მთელ წყობაში. ამიტომ საკოლმეურნეო მშენებლობის **ბიზნეს-პროგრამა**  
 ნური პრინციპის—ნებაყოფლობითი პრინციპის მტკიცედ დაცვისა და თანმიმ-  
 დევრულად განხორციელებისათვის 1929—1934 წწ. შემდგომი პარტიული,  
 საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, კოლმეურნეული ორგანიზაციების მიერ მიღებული  
 იყო და თანმიმდევრულად განხორციელებული დიდი სახელმწიფოებრივი მნიშ-  
 ვნელობის, მეცნიერულად დასაბუთებული, საკანონმდებლო ხასიათის ღონის-  
 ძიებათა სისტემა. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია სკკპ ც. კ-ის 1929 წ.  
 ნოემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებები. სკკპ ც. კ-ის 1930 წლის  
 5 იანვრის დადგენილება კოლექტივიზაციის ტემპისა და საკოლმეურნეო მშე-  
 ნებლობისადმი სახელმწიფო დახმარების ღონისძიებათა შესახებ, რომლითაც  
 კოლექტივიზაციის დამთავრების ვადების მიხედვით სსრ კავშირი დაყოფილ  
 იქნა 3 ზონად. მთლიანი კოლექტივიზაციის შესახებ საკანონმდებლო ხასიათის  
 დადგენილებებს თუ დოკუმენტებს შორის ერთ-ერთი პირველთაგანია 1930 წ.  
 1 მარტს მიღებული სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება, რო-  
 მელიც რეორგანიზაციის პერიოდში საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითად  
 კანონს წარმოადგენდა.

1929—1933 წწ. საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითადი საკვანძო სა-  
 კითხების შესახებ ი. ბ. სტალინის გამოსვლებმა და სტატიებმა, პარტიისა და  
 მთავრობის მიერ მიღებულმა საკანონმდებლო ხასიათის გადაწყვეტილებებმა  
 და სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების განუხრავლად განხორ-  
 ცილებამ, არსებული დებულებების მოწინავეთა გამოცდილების გათვალისწი-  
 ნებით სრულყოფამ უზრუნველყვეს საკოლმეურნეო მშენებლობაში მემარცხე-  
 ნე თუ მემარჯვენე გადახრების, უხეში შეცდომებისა და ნაკლოვანებების აღ-  
 მოფხვრა, საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი განვითარება და განმტკიცება.

1930 წლის მაისისათვის რესპუბლიკაში უკვე არაებობდა 1985 კოლმეურ-  
 ნეობა, ხოლო წლის ბოლოსათვის 2024 კოლმეურნეობა, 1931 წლისათვის—  
 2552 და 1932 წ. 3425 კოლექტიური მეურნეობა 166 ათასამდე კოლმეურნით.

საქართველოში მთლიანი კოლექტივიზაციის პოლიტიკის განხორციელე-  
 ბაში დიდი როლი შეასრულეს საბჭოთა მეურნეობებმა, მტს-ებმა, პროფკავში-  
 რებმა და 1933—1934 წწ. მტს-ებთან და საბჭოთა მეურნეობებთან შექმნილ  
 პოლიტგანყოფილებებში გაგზავნილმა 25.000 გამოცდილმა პარტიულმა, საბ-  
 ჭოთა, კომკავშირულმა მუშაკებმა. კოლექტიური მეურნეობის ორგანიზაცი-  
 ულ-სამეურნეო განმტკიცების საკითხებს მიეძღვნა სსრ კავშირის საბჭოების  
 VI ყრილობის (1931 წ. მარტი), დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ ყრილო-  
 ბის (1933 წ. თებერვალი) და საქართველოს კოლმეურნეთა მეორე ყრილობის  
 (1931 წ. მარტი) გადაწყვეტილებები. ამ წლებში სკკპ ც. კ-ისა და მთავრობის  
 ხელმძღვანელი მუშაკები სისტემატურად ხვდებოდნენ სოფლის მეურნეობის  
 მოწინავეებს და განიხილავდნენ საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებს.

1928 წლიდან სსრ კავშირში და მათ შორის საქართველოშიც მთლიანი კო-  
 ლექტივიზაციის განხორციელება უზრუნველყო სოფლის მეურნეობის ხელ-



მძღვანელი ახალი ორგანოების შექმნამ და მათი მუშაობის მიმდინარე ეკონომიური პოლიტიკის შესაბამისად წარმართვამ. ასეთი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები იყო: კოლმეურნეობათა ცენტრალური კავშირი—კოლმეურნეობათა ცენტრი (1928 წ.), სატრაქტორო ცენტრი, სსრ კავშირის მიწსახეობის (1929 წ.) და ცალკეული დარგების მიხედვით რესპუბლიკური და საკავშირო სპეციალური გაერთიანებების შექმნა.

საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის დამახასიათებელი თავისებურება მთლიანი კოლექტივიზაციის პერიოდში (1928—1933 წწ.) ისაა, რომ ძირითადად ამ წლებში განხორციელდა ბარისა და მთის მშრომელი გლეხების ნებაყოფლობითი გაერთიანება კოლმეურნეობებში, რის შედეგად სრულიად შეიცვალა საკოლმეურნეო მშენებლობის გეოგრაფია. ამ წლებში თავისებურად მიმდინარეობდა საკოლმეურნეო მშენებლობა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროფილის მიმკემ ისეთ დარგებში, როგორიცაა მევენახეობა, მებაღეობა, ტექნიკური კულტურები, მეჩაიეობა, მარცვლეულის მეურნეობა და მეცხოველეობა.

მთლიანი კოლექტივიზაციის პერიოდის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ ამ წლებში განხორციელდა კოლექტიური მეურნეობის დაბალი ფორმიდან—მიწის საზოგადოებრივი შრომის დამამუშავებელი ამხანაგობიდან უფრო მაღალ ფორმაზე—არტელზე გადასვლა, რაც უდიდესი მოვლენა იყო საკოლმეურნეო მოძრაობის ისტორიაში. ამის შედეგად სოციალისტური სოფლის მეურნეობის სისტემა წარმოდგენილი იყო კოლექტიური მეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების სახით და კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და მათი მრავალდარგობრივად განვითარების, სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა აღმავლობის და საწარმოო ურთიერთობათა სრულყოფისათვის უკვე საჭირო იყო ადარ იყო 1930 წლის მარტში მიღებული სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება. ამიტომ სკკპ ც. კ-ის 1934 წ. ივნისის პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების შემუშავება.

1935 წლის თებერვალში გაიმართა დამკვირვებელი კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო მეორე ყრილობა, რომელმაც მიიღო სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდება. იგი უკვე 32 წელია წარმოადგენს საკოლმეურნეო წყობილების კონსტიტუციას, საერთაშორისო მნიშვნელობის საკანონმდებლო ხასიათის აქტს. ამ წესდებაში სრული ასახვა პპოვა ვ. ი. ლენინის პირდაპირმა მითითებებმა. მასში განსაკუთრებული მნიშვნელოვანი სიღრმით არის განსაზღვრული კოლექტიური მეურნეობის მიზნები და ამოცანები.

1935 წლიდან—კოლექტიური მეურნეობის მთელი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა, მათი საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების, საწარმოო ძალთა განვითარებისა და საწარმოო ურთიერთობის—კოლმეურნე გლეხთა ფორმირების მრავალმხრივი სამუშაოები ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო არტელის ამ ახალი სანიმუშო წესდების საფუძველზე და მისი დაცვის, განუხრელი განხორციელების და ცალკეული დებულებების შემოკმედებითად განვითარება-სრულყოფის მიზნით ზემდგომი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-



სამეურნეო ორგანოების მიერ მიღებული საკანონმდებლო დადგენილებები შესაბამისად.


პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად ჩვენს მიწაზე ნებულ იქნა სოციალისტური ეკონომიკის ურყევი საძირკველი—პირველხარისხოვანი მძიმე ინდუსტრია და კოლექტიური მექანიზებული მიწათმოქმედება.

1940 წლის ბოლოსათვის საქართველოში ითვლებოდა 4256 კოლმეურნეობა, 76 საბჭოთა მეურნეობა და 58 მტს-ი.

1930—1940 წწ. კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების მშენებლობის დამთავრებისა და მათი პოლიტიკურ-საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა თანმიმდევრულად განხორციელების შედეგად უზრუნველყოფილ იქნა საზოგადოებრივი მეურნეობის მრავალდარგობრივი განვითარება და განმტკიცება. 1941 წ. კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო 476.1 ათასი კომლი, ხოლო განსაზოგადოებული ნათესების ფართობი 781000 ჰა-ს შეადგენდა, მსხვილფეხარქოსანი პირუტყვის სულადობა კი 570.000 სულს, ცხვრის და თხისა—970.000 სულს. მსხვილი კოლექტიური მეურნეობის ყველა უპირატესობათა მაქსიმალურად გამოყენების შედეგად, საერთო ფულადი შემოსავალი 1940 წ. უდრიდა 52,4 მლნ. მანეთს, ნაცვლად 4,6 მლნ. მანეთისა 1932 წ. 1940 წ. ბოლოსათვის განუყოფელი ფონდები შეადგენდა 69,9 მლნ. მანეთს, ნაცვლად 5,3 მლნ. მანეთისა 1932 წ.

საზოგადოებრივ მეურნეობათა საწარმოო ფონდების ზრდასა და სრულყოფასთან ერთად საკოლმეურნეო წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესის კანონზომიერად განვითარების შედეგად საქართველოს რესპუბლიკაში ერთ კოლმეურნეობაზე მოდიოდა 113 კომლი, მაშინ, როდესაც 1928 წ. არ აღემატებოდა 15, ხოლო 1932 წ. 48 კომლს. თუ ყოველ 100 კოლმეურნე კომლზე მოდიოდა 1928 წელს 13 ჰა, 1932 წ.—89 ჰა, 1940 წელს მან შეადგინა 184 ჰა. 1940 წ. 100 საკოლმეურნეო კომლზე მოდიოდა 134 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 228 ცხვარი და თხა, 12,3 ათასი მანეთი ფულადი შემოსავალი ნაცვლად 1,3 ათასი მანეთისა 1932 წელს; განუყოფელი ფონდი შეადგენდა 16,4 ათას მანეთს წინააღმდეგ 1932 წლის 1,5 ათასი მანეთისა. კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იყო 1928 წ. გლეხურ კომლთა 0,9, 1932 წ.—36,4, 1937 წ.—76,5 და 1940 წ.—94,1%, ხოლო ნათესი ფართობები შესაბამისად 0,9; 36,6; 82,8 და 99,0%.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სოფლის მეურნეობის ძირითადი, წამყვანი, მამროფილებელი, ინტენსიური დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიური პირობების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით არსებითი ცვლილებები მოხდა მათს გეოგრაფიულ განაწილებაში, სპეციალიზაციის, გაადგილებისა და დარგთა შეთანაწყობის საქმეში. ამ მიმართულებით დასახულ და განხორციელებულ იქნა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებები. შეიქმნა და მძლავრად გან-



ვითარდა სამრეწველო მეხილეობა, მეჩაიეობა და სოფლის მეურნეობის დარგები. სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნამ განაპირობა საქართველოში მძლავრი სუბტროპიკული მეურნეობის შექმნა, რესპუბლიკის მეურნეობის ინტენსიფიკაცია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოფლის მეურნეობაში წარმატებები მოპოვებულია მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გამოყენების, წარმოებაში დანერგვის შედეგად. ამ დარგების მუშაკთა მატერიალურ დაინტერესებასთან ერთად მორალური წახალისების ღონისძიებების განხორციელებით.

სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 15 მარტის ბრძანებულებით საქართველო წლების მანძილზე სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით, რამაც, როგორც ცნობილია, უდიდესი შრომითი აღმაშენებელი გამოიწვია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკთა შორის.

საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევები ფართოდ იყო წარმოდგენილი 1939—1940 წწ. სრულიად საქავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

მძლავრი მრავალდარგობრივი საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნამ, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლებამ უზრუნველყო საერთო და სასაქონლო პროდუქტების წარმოების, ფულადი შემოსავლის გადიდება, ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდა. 1930 წლიდან განუხრელად იზრდება საქართველოში მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი. 1938 წ. მათი რაოდენობა იყო 19, ხოლო 1939 წ.—37.

1941 წლის ივნისში ფაშისტური გერმანიის ვერაგულად თავდასხმასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მთელი ეკონომიკა გარდაიქმნა სამხედრო ყაიდაზე და სახალხო მეურნეობის ყველა დარგი წარმატებით ასრულებდა სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალებებს, შეუფერხებლად ამარაგებდა წითელ არმიას და მოსახლეობას სურსათით, ხოლო მრეწველობას— ნედლეულით.

ჩვენმა საკოლმეურნეო სოფელმა ღირსეულად გაუძლო ომის მძიმე განსაცდელს. სოფლის მეურნეობის მუშაკები დიდ დაბრკოლებებს სძლევენ და ყველაფერს აკეთებდნენ ვერაგ მტერზე გამარჯვებისათვის. როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საქართველოს სოფლებში ამ პერიოდში მთავარ ძალას წარმოადგენდნენ ქალები და ახალგაზრდობა.

ომის წლებში არა თუ შემცირდა სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურების ნათესი ფართობები, მოსავლიანობა, არამედ გაიზარდა კიდეც. გარკვეული წარმატებები აღინიშნა საზოგადოებრივი მეცხოველეობის დარგშიც. საქართველოში 1945 წ. ყველა ძირითადი კულტურის ნათესი ფართობი შეადგენდა 945,3 ათას ჰა-ს, რაც 49,6 ათასი ჰა-ით აღემატებოდა 1940 წ. დონეს. აქედან მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ფართობი უდრიდა 827,6 ათას ჰა-ს, ნაცვლად 1940 წლის 749,4 ათასი ჰა-ისა. ანალოგიური სურათი იყო სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც. ყოველივე ამის შედეგად 1943 წ.



მარცვლეულის მთლიანმა მოსავალმა ომამდელ დონეს გადააჭარბა 216 ათასი ტონით. ომის წლებში საქართველოს კოლმეურნეობებმა სახელმწიფო სარეზერვუარო 115 მლნ. ფუთამდე სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს წარმოადგინეს.

გარდა ამისა, 1944 წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა დახმარების სახით, გათავისუფლებული რაიონების მოძინე კოლმეურნეობებს გაუგზავნეს 26 ათას სულზე მეტი მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი.

სამამულო ომით გამოწვეული დიდი სიძნელეების მიუხედავად ომის წლებში კიდევ უფრო ამაღლდა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების მატერიალური დაინტერესება. გაძლიერდა, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მტკიცედ დაცვის საფუძველზე, ზრუნვა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის, რის შედეგად გაძლიერდა კოლმეურნეობების ეკონომიკა, გადიდა ფულადი შემოსავალი, მილიონერ კოლმეურნეობათა რაოდენობა, კოლმეურნეობების ძირითად საწარმოო საშუალებათა ღრუბულება, განუყოფელი ფონდის სახსრები.

საერთო და სასაქონლო პროდუქტების წარმოების გადიდება, ფრონტისა და მოსახლეობის მრეწველობის შეუფერხებლად მომარაგებამ, კოლმეურნეობათა შემოსავლის გადიდება, კოლმეურნეთა მატერიალური პირობების გაუმჯობესებამ შესაძლებელი გააადა საქართველოს კოლმეურნეები პირადი დანაზოგებიდან დახმარებოდნენ ფრონტს როგორც ფულით, ისე ნატურით.

ქართველ კოლმეურნეთა უდიდესი პატრიოტული თაოსნობა იყო სატანკო კოლონის „ქართველი კოლმეურნის“ და თვითმფრინავთა ესკადრილების „საბჭოთა საქართველო“ ასაგებ ფონდში თანაების, სხვადასხვა ფაქტობათა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შეტანა. საქართველოს მშრომელებმა ნებაყოფლობით ომიანობის წლებში სესხებისა და თავდაცვის სხვადასხვა ფონდების სახით სახელმწიფოს მისცეს 3.173 მლნ. მანეთი.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ მამაკური შრომით ჯერ კიდევ 1942 წ. დაიმსახურა მთავრობის მადლობა. სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ბრძანებით სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების პირობების მიხედვით სოფლის მეურნეობაში საუკეთესო მუშაობისათვის „სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ ნიშნით დაჯილდოებულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდი ჯგუფი. ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით ორდენები და მედლები დაიმსახურა სოფლის მეურნეობის 525 მუშაკმა.

ის მატერიალური შესაძლებლობანი, რაც გააჩნდა საბჭოთა კავშირს მსოფლიო ომის წინ და რამაც განაპირობა ვერაგ მტერზე გამარჯვება, შექმნილი იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის ვატარებით.

ომის შემდგომ წლებში სოფლის მეურნეობის აღდგენა წარმოადგენდა განსაკუთრებულ რთულ ამოცანას. ამიტომ, პარტიამ და მთავრობამ მიიღეს და თანმიმდევრულად ვატარეს ცხოვრებაში მთელი რიგი დიდი სახელმწიფოებ-



რეგი მნიშვნელობას მეცნიერთა და დასახლებული ღონისძიებები. ომის შემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარება წარმოადგინა მნიშვნელოვან როლს. კაპიტალური დაბადებების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მოყვანების გაუმჯობესებისა, მაშინვე მოხდა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლებაც, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი ეკონომიკური. ორგანიზაციული და სამეურნეო განმტკიცებისა, საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და ყოველმხრივი განმტკიცებისა.

ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენისა და მძლავრი აღმავლობით განვითარების ფართო ღონისძიებებს ითვალისწინებდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობის გეგმის კანონი. სკკ ც. კ-ის 1947 წ. თებერვლის პლენუმის იატორული დადგენილება—ომის შემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ, სკკ ც. კ-ისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წ. აპრილის დადგენილება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი (1949—1951 წწ.) გეგმის შესახებ და სხვ.

კოლექტიური მეურნეობების ეკონომიკური და ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისა და მთელი საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების მიზნით 1946—1952 წწ. პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული და განხორციელებული იყო სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების დარღვევითა სალიკვიდაციო და მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის ღონისძიებები. ვარდა ამისა, შეიქმნა და 1946—1954 წწ. მუშაობდა საკავშირო მთავრობასთან არსებული კოლმეურნეობების საქმეთა საბჭო და სხვ.

საქართველოს მშრომლები საბჭოთა ხალხთან ერთად ერთსულოვნად შეუდგნენ სოფლის მეურნეობის წინაშე მყოფ ხელშეწყობის გეგმით დასახლებული ამოცანების გადაწყვეტას და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს. რამაც განაპირობა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცება, შემდგომი განვითარება, საერთო და სასაქონლო პროდუქციის წარმოების გადიდება, საზოგადოებრივი ფონდების ზრდა და სხვ.

საკოლმეურნეო მშენებლობის პროცესში მთლიანი კოლექტივიზაციის დამთავრებისა და კოლმეურნეობათა განმტკიცების ღონისძიებათა სისტემაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ზომას წარმოადგენდა 1950—1951 წწ. განხორციელებული წეროლ კოლმეურნეობათა გამსხვილება.

საქართველოში 1946 წ. არსებობდა 4064 კოლმეურნეობა, ხოლო 1950 წ. ბოლოსათვის 2530 კოლმეურნეობა, 1951 წ. ბოლოსათვის კი 2107 კოლმეურნეობა. მათში გაერთიანებული იყო 1945 წ. 456.9 და 1951 წელს—473.1 ათასი კომლი. მთელი საზოგადოებრივი წათესები შეადგენდა: 1945 წელს 791.9 ათას ჰა-ს და 1951 წელს—819 ათას ჰა-ს. საზოგადოებრივი პროდუქტიული პირუტყვის სულადობა უდრიდა 1945 წელს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი—638 ათას სულს, ცხვარი და თხა—1355 ათას სულს. ხოლო 1951 წელს შესაბამისად 794 და 1997 ათას სულს. სატვირთო ავტომანქანების რაოდენობა 1945 წ. იყო 332 ცალი, ხოლო 1951 წელს—4118 ცალი, კოლმეურნეობათა



მთლიანი ფულადი შემოსავალი შეადგენდა: 1945 წელს—111,3 მლნ. მანეთს; ხოლო 1951 წელს—163,4 მლნ. მანეთს; განუყოფელი ფონდის შემოსავალი 1945 წელს—183,0 მლნ. მანეთს და 1951 წელს—290 მლნ. მანეთს. ერთ კოლმეურნეობაზე მოდიოდა 1940 წელს 112 კომლი, 1950 წელს—183 კომლი, საზოგადოებრივი ნათესები შესაბამისად 183 და 307 ჰა, ფულადი შემოსავალი 12 და 56 ათასი მანეთი, ხოლო განუყოფელი ფონდები 17 და 105 ათასი მანეთი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დიდი შეფასება მისცეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა კეთილსინდისიერ, თავდადებულ შრომას, ამის შემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის ბრძოლაში მოპოვებულ დიდ მიღწევებს და მრავალი კოლმეურნე, საბჭოთა მეურნეობის მუშა, მექანიზატორი, პარტიული, საბჭოთა სამეურნეო მუშაკი დააჯილდოვეს საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, ხოლო 1000-ზე მეტს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში მოპოვებული დიდი მიღწევების მიუხედავად, ჯერ კიდევ არასაკმარისად იყო გამოყენებული შესაძლებლობანი. ამიტომ აუცილებელი შეიქნა ისეთი ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, რომლებიც შეეხებოდა სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებს, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, კაღრების მომზადებას, კომპლექსური მექანიზაციის, მშენებლობის, შიგასაკოლმეურნეო დაგეგმვის, მატერიალური დაინტერესების და სხვ. საკითხებს, რამაც, ცხადია, თავისი დიდი შედეგი გამოიღო.

მაგრამ ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის შემდგომ წინსვლას ხელი შეუშალა სუბიექტივიზმმა და ვოლუნტარიზმმა, ეკონომიური კანონების უხეშად დარღვევამ და სხვ., რასაც ბოლო მოუღო სკკპ ც. კ-ის 1964 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმების ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებისა და ფართოდ განვითარების ეკონომიურ ღონისძიებათა სისტემა დასახა სკკპ ც. კ-ის მარტის პლენუმმა (1965 წ.), რამაც დადებითი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაზე. საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა დიდი მიღწევები მოიპოვეს სკკპ ც. კ-ის 1965 წ. მარტის პლენუმისა და სკკპ XXIII ყრილობის მიერ მიღებული ახალი ხუთწლიანი გეგმის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში და ყველაფერს აკეთებენ საიუბილეო წლის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენის, განვითარების, სოციალისტურად გარდაქმნისა და მძლავრი, მექანიზებული საკოლმეურნეო წყობილების შექმნა-განმტკიცების დიდ საქმეში თავიანთი ფასდაუღებელი წვლილი შეიტანეს 1921—1927 წწ. დაარსებულმა სამთავისის, მეჯვრისხევის, ველისციხის, ზემოქედის, მოხისის, კოზრეთის, სულდინის, ლამისყანის, წილენის, ოძისის, დიდმის, სვირის, ქვედა საქარის, წინანდლის, ჭაფარიძის, აყურის, ვარდისუბნის, ჭიმიტის, კისისხევის, შაშინის, თამარიანის, კურდღელაურის, წითელ-



წყაროს, ჩხოროწყუს, ჯოდჯიანის, კობნარის, ჰანიეთის, გულიანის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა, ესენი იყვნენ საქართველოს საკოლმეურნეო მშენებლობის პიონერები, რომელთაც წელს შეუსრულდათ 40 წელიწადი.

საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის მასობრივად გაშლის, მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელებისა და დამთავრების წლებში დაარსებული მრავალდარგობრივი, ეკონომიურად მძლავრი არხილოსკალოს, ზემო ლაჩხანის, სადმელის, ოქუშის, ნატანების, შრომის, ორსანტიას, ქვემოკალის, ვალეს, ბობოყვათის, გამარჯვების, ჩუმლაყის, ძიმიტის, ლესის, სანიორეს, დიდი გომარეთის, ზემომარღვის, ხუცუბნის, ჯავარიძის, იყალთოს, ალვანის, სორის, რუხის, ინგილის, ტყვიავის, წინაგარის, ტიბაანის, ხელთუბნის, ვარციხის, დიშის და მრავალი სხვა კოლმეურნეობა.

25 წელზე მეტია რაც კოლმეურნეობას წარმატებით ხელმძღვანელობენ თამარ თავაძე (სამტრედიის რაიონი), სოციალისტური შრომის გმირი იულია თავაძე (ჩოხატაურის რაიონი).

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებდნენ ვ. ი. ლენინის მითითებებს მოწინავე მეურნეობებისა და ნოვატორთა ყოველმხრივ წახალისების შესახებ. 1921 წლიდან შედავათები და უბრატესობები ეძლეოდათ კოოპერაციასა და კოლმეურნეობებში გაერთიანებულ გლეხებს. კიდევ უფრო გაძლიერდა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა მორალური წახალისება მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების შემდეგ 1940 წლისათვის. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1939—1940 წწ. გამართულ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენებს. 1939 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთაგან საპატიო ნიშნის ორდენით დააჯილდოვეს ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტიის ა. გეგეკორის სახ. კოლმეურნეობა, ოჩამჩირის რაიონის სოფ. ათარას კოლმეურნეობა, მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ს. ორჭონიკიძის სახ. კოლმეურნეობა და სხვ.

1946 წელს მარცვლეულისა და შაქრის ჭარბლის მაღალი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა წითელწყაროს რაიონის სოფ. არხილოსკალოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ი. ა. ქავთარაძეს, სოფ. ზემოქედის კოლმეურნეობის წევრებს სტ. კობაიძეს და გ. მელიქიშვილს, კასპის რაიონის სოფ. ქვემო გომის კოლმეურნეობის მექარხლეს ს. მარიდაშვილს. 1948 — 1950 წწ. საქართველოს ათასობით კოლმეურნე იქნა დაჯილდოებული ორდენებითა და მედლებით, ხოლო რამდენიმე ათეულმა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება დაიმსახურა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 2 აპრილის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მეცნიერების 70-მდე მუშაკს, მათ შორის საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანებს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს ნ. პ. მამიაშვილს, ს. ი. კაკაიშვილს, ლ. ს. მამისაშვილს, ი. კ. თავაძეს, ვ. ა. ლაკოიას, დ. გოგობერიშვილს, ლ. კ. დობრონეცკის და ნ. ს. ყოჩიაშვილს, ხოლო 1967 წლის მაისის ბრძანებულებით სოფლის





მეურნეობის წარმოების განვითარებაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დამზადების გეგმების შესრულებაში, სამელიორაციო სარწყობო-საპროდუქციო ხორციელებაში და ნაყოფიერი კვლევითი მუშაობისა და მკვლევარ-მეურნეობის წევრთა პრაქტიკაში დანერგვით მოპოვებული წარმატებებისათვის ლენინის ორდენი გადაეცათ: წითელწყაროს რაიონის სოფ. ზემო მაჩხანის კოლმეურნეობას, აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის სოფ. დუბოვსკის კოლმეურნეობას და აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფ. ხუტუნის კოლმეურნეობას, შრომის წითელი დროშის ორდენი—მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების კოლმეურნეობას, გორის რაიონის სოფ. ფლავის კოლმეურნეობას და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფ. ორქოსანის კოლმეურნეობას.

1965-1966 წწ. დაუვიწყარია საქართველოს მშრომელებისათვის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში მოპოვებული დიდი მიღწევებისათვის რესპუბლიკა დაჯილდოებულ იქნა მეორე ლენინის ორდენით, ხოლო სოფლის მეურნეობაში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველო პირველად დაჯილდოვდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევთა გამოფენის პირველი ხარაჯი და დიპლომით, რესპუბლიკას, 5 კოლმეურნეობას და 1 საბჭოთა მეურნეობას მიენიჭა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, 12 მეურნეობა დაჯილდოებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით.

მთავრობის ეს მაღალი ჯილდოები საქართველოს სახელოვანი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის და სახალხო ინტელიგენციის თავდადებული ნაყოფიერი შრომითაა მოპოვებული.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში არსებითად იცვალა სახე საქართველოს სოფლის მეურნეობამ. ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის საფუძველზე გლეხური მეურნეობის მსხვილი საკოლმეურნეო წარმოებით შეცვლით უზრუნველყოფილია საწარმოო ძალთა განვითარება, საწარმოო ურთიერთობათა გაუმჯობესება-სრულყოფა. ძირითადად გაუმჯობესდა საუკუნეებით ჩამორჩენილი გლეხური ცხოვრება, რასაც ადასტურებს შემდეგი.

პირველად 1921 წლის მარტში სამთავისის არტელში გაერთიანებული იყო 17 კომლი, ხოლო 1924 წელს—24 კომლი. მისი მიწის ფონდი შეადგენდა 160 ჰა-ს. ყავდათ 10 ცხენი, 8 ხარ-კამეჩი, 13 ფური, 10 მოზარდი, 20 დედაღორი, ფრინველი და სხვ. 34 წლის წინათ სასოფლო-სამეურნეო კომუნა გადაკეთდა სასოფლო-სამეურნეო არტელად. სოფ. სამთავისის კოლმეურნეობა არსებობის 47 წლისთავეზე ერთ-ერთი მსხვილი მიწინავე, მრავალდარგობრივი მექანიზებული მეურნეობაა. სრულიად შეცვლილია სოფ. სამთავისის სახე, გლეხთა ყოფა-ცხოვრება. კოლმეურნეობას დიდი ხანია უნარიანად ხელმძღვანელობს ლენინის ორდენოსანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აგრონომი ალექს ბუღაღაშვილი.

გურჯაანის რაიონის სოფ. ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძს“ (ყოფილი „შრომის სამეფო“) მიმდინარე წელს უსრულდება 46 წელი.



თავდაპირველად კომუნაში გაერთიანებული იყო 10 კომლი, ხოლო მიწის ფონდი შეადგენდა 24 დესეტინას. მათ შორის 7 დესეტინა ვენახი და 17 დესეტინა ნის უძრავ-მოდრავი ქონების ღირებულება არ აღემატებოდა 345 ლარს. ყავდათ 2 ცხენი და 16 ღორი. ყურძნის მოსავალი პირველ წელს შეადგენდა 5 ტ-ს, ხოლო 1966 წელს 5000 ტ-ს. ამჟამად კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე მრავალდარგობრივი, მევენახეობის საწარმოო მიმართულების, მსხვილი მექანიზებული მეურნეობაა, რომელსაც 20 წელია უნარიანად ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, აგრონომი დ. მამისაშვილი. ველისციხე ამჟამად მოწინავე, კულტურული, ყოველმხრივ კარგად მოწყობილი ერთ-ერთი სოფელია რესპუბლიკაში და სსრ კავშირში.

სოფ. ზემოქედის კოლმეურნეობა 41 წელია რაც არსებობს. 1926 — 1948 წწ. მას ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობის დაარსების ინიციატორი და საკოლმეურნეო წყობილების ერთ-ერთი პირველი ვეტერანი კობა ჩოხელი, ხოლო 1948 წლიდან არტელს სათავეში უდგას აგრონომი არსენ კობაიძე. სოფელი სულ 67 წელია რაც არსებობს და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა მისი სოციალისტური გარდაქმნა და შირაქის ზეგანზე ახალი, კულტურულად მოწყობილი საკოლმეურნეო სოფლის შექმნა. ახლა სოფ. ზემოქედში ცხოვრობს 1200 კომლი, ნაცვლად 1926 წლის 20 კომლისა. კოლმეურნეობის მიწის ფონდი შეადგენს 20.000-მდე ჰა-ს, აქედან ნათესი ფართობია 2000-მდე ჰა, ვენახი 300 ჰა. კოლმეურნეობას ყავს 3000 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 20.000-მდე სული ცხვარი, 15000 ფრთა ქათამი, 1000 სული ღორი. 1966 წ. ფულადი შემოსავალი უდრიდა 2 მლნ. მანეთს. კოლმეურნეობის განკარგულებაშია მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა — 58 ფიზიკური ტრაქტორი, 65 ავტომანქანა, ათობით კომბაინი და სხვა სა-სოფლო-სამეურნეო მანქანები. 1966 წ. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მი-ყიდა 2000 ტ ხორბალი, 975 ტ მზესუმზირა, 1233 ტ ყურძენი, 2431 ც ხორცი, 7364 ც რძე, 857 ათასი ცალი კვერცხი, 384 ც მატყლი და სხვ.

სოფ. ზემო მანხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა, რომლის თავმჯდომარეა სოციალისტური შრომის გმირი ნ. პ. მამიაშვილი, ერთ-ერთი მსხვილი, მექანიზებული, ეკონომიურად მძლავრი არტელია საბჭოთა კავშირში. კოლმეურნეობის მიწის ფონდი შეადგენს 31.773 ჰა-ს, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულია 22.192 ჰა, აქედან სახნავი 7632 ჰა, ხოლო მრავალწლოვანი ნარგავები გაშენებულია 390 ჰაზე. 1967 წ. 1 იანვრისათვის კოლმეურნეობას ყავდა 3488 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მათ შორის 1150 სული ფური და ფურკამეჩი, 30. 334 სული ცხვარი და თხა, 2610 სული ღორი, 17.000 ფრთა ქათამი და სხვ. კოლმეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა — 56 ტრაქტორი, 30 კომბაინი, 77 ავტომანქანა და სხვ. სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღი. კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდი შეადგენს 4.713.007 მანეთს. აქ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 1965 წელს — 2.682.696 მანეთს და 1966 წელს — 3.405.648 მანეთს.



ასეთივე დიდი მიღწევები გააჩნია არხილოსკალოს, გამარჯვემის, აგორას, ნატანების, შრომის, ასურეთის, ძიძითის, ვალეს, გვიშტიბის, რევიციხის, ოქუმის, დურიფშის, ფლავის, სადმელის და რესპუბლიკის სხვა მუნიციპალიტეტებში. მათი მოწინავე კოლმეურნეობას. მაგრამ ამ ჰეშმარითად საამაყო მიღწევებთან ერთად ჭერ კიდევ ყველა კოლმეურნეობაში სრულყოფილად არ არის გამოყენებული მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის დამაბასიათებელი უპირატესობანი და ამის გამო არსებობენ ჩამორჩენილებიც, რომელთა გამოსწორებას უახლოეს ხანში უზრუნველყოფს სკკ XXIII ყრილობისა და სკკ ც-კის 1965 წლის მარტის, სექტემბრისა და 1966 წ. მაისის პლენუმების მიერ დასახული ეკონომიურ ღონისძიებათა. სისტემის თანმიმდევრულად განხორციელება. სახელმწიფოებრივი და შრომის დისციპლინის განმტკიცება. სოციალისტური საკუთრების გამდიდრება და დაცვა, თავიანთი შრომის შედეგებით მშრომელთა მატერიალური დაინტერესების ლენინური პრინციპის თანმიმდევრულად განხორციელება.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-წლისთავის დიად დღესასწაულთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება შემდეგზე.

საქართველოში დღეისათვის არსებული თითქმის ყველა კოლმეურნეობა ითვის არსებობის 30-დან 45 და მეტი წლის ისტორიას. ამ ხნის მანძილზე მათ უდიდესი მიღწევები გააჩნიათ საზოგადოებრივი მეურნეობის მრავალდარგობრივად განვითარების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლების, სოფლად საწარმოო ურთიერთობის სრულყოფის, სოციალური გარდაქმნის, ახალი ყოფისა და კულტურის შექმნის საქმეში.

ჩვენში დიდი ხანია დასმულია საკითხი ძველ სამრეწველო საწარმოთა ისტორიის დაწერის შესახებ. ამ დიდი საქმის პირველი ინიციატორი იყო მ. გორკი, ხოლო კოლმეურნეობების ისტორიის შესწავლისა და გაშუქების წინადადების ავტორია ს. ბუდიონი. დღემდე საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, მოწინავე ვეტერანი კოლმეურნეობების ისტორიის დაწერის საქმეში ჩატარებული მუშაობა, ცხადია საქმარისი არაა. საჭიროდ მიგვაჩნია სათანადო ორგანოების ხელმძღვანელობით ეკონომიკის, ისტორიის, ეთნოგრაფიის ინსტიტუტების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, ვეტერანი კოლმეურნეების, სახელმწიფო არქივის მუშაკთა უშუალო მონაწილეობით შეიქმნას ავტორიტეტული კომისია, შედგეს პროგრამა და გაიშალოს მუშაობა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, კოლმეურნეობების ისტორიის, სოფლად მომხდარის სოციალური ცვლილებების შესწავლა-დაწერისათვის. რათა სათანადო მიღწევებით შევხვდეთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50-წლისთავს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და ვეტერანი კოლმეურნეობების მეცნიერულად დამუშავებულმა ისტორიამ უნდა მოიცავს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და თითოეული სოფლის წარსული (1921



წლამდე), აწმყოსა და მომავლის განვითარების საკითხები. ეს უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის საქმეა.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული მეტად მდიდარი და სიღრმისეული მასალები ფართოდ ასახავს ქართველი ერის გამორჩეულ შრომითა და ბრძოლით მოპოვებულ მიღწევებს ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების დარგში.

დიდ მუშაობას ეწევიან ამ მხრივ ადმინისტრაციულ რაიონებში არსებული მხარეთმცოდნეობის მუზეუმები.

წერილი კოლმეურნეობების გამსხვილების შემდეგ კიდევ უფრო მწვავედ დაისვა თითოეულ კოლმეურნეობაში მუზეუმის მოწყობის საკითხი. მისი მოწყობისათვის საჭირო მასალები, კადრები და სხვ. ყველა კოლმეურნეობას გააჩნია. ჩვენი აზრით, ესეც დიდი ეროვნული და აღმზრდელი მნიშვნელობის საქმეა. ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგნენ რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, სოფლის საბჭოების და კოლმეურნეობების ხელმძღვანელები, ადგილობრივი სასწავლებლების პედაგოგური მუშაკები.

კოლმეურნეობების პირველი დამფუძნებლები მუსახებ ყველა მასალა დიდი ხანია გადაცემულია რაიონისა და საქართველოს ცენტრალური არქივებისათვის და დღემდე ვერ მოხერხდა მისი წესრიგში მოყვანა. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი ვეტერანი, მოწინავე კოლმეურნეების გამოცდილებათა გათვალისწინებით შემოღებულ იქნას ყველა კოლმეურნეობაში, საერთო კრების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული დებულების შესაბამისად, „საპატიო კოლმეურნის“ წოდების აღმნიშვნელი აღსარიცხავი ზონარგაყრილი წიგნი, რომელიც სხვა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების მსგავსად სათანადოდ უნდა ინახებოდეს და მასში ყოველწლიურად იქნეს შეტანილი ყველა საჭირო ცვლილება, დამატება-შესწორება, რასაც ადგილი აქვს ვეტერანი კოლმეურნის საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.

საქართველოს მრავალი მოწინავე კოლმეურნეობა სოციალისტურ შევიბრებაშია ჩაბმული მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეების და ოლქების კოლმეურნეობებთან, რასაც 25—40-მდე წლის ისტორია აქვს. საჭიროა მოგვარდეს ამ ინტერნაციონალური ხასიათის ღონისძიების განხორციელების შედეგების დეტალური აღრიცხვა და დაცვა.

ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობებში ყოველწლიურად დიდი რაოდენობით მოდიან ექსკურსანტები, ტურისტები და სხვ. მეზობელი სოფლებიდან, რაიონებიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიდან, მხარეებიდან, ოლქებიდან და უცხოეთის ქვეყნებიდან, რათა გაეცნონ მოპოვებულ წარმატებებს, მუშაობის მეთოდებს და სხვ. ამასთან დაკავშირებით აუცილებლობად მიგვაჩნია თითოეულ კოლმეურნეობაში შთაბეჭდილებებისა და წინადადებათა სრულყოფილი აღრიცხვისათვის სათანადო წიგნის შემოღება, მისი საქმიანად წარმოებისა და შენახვის უზრუნველყოფა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემოაღნიშნული წინადადებები გათვალისწინებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალ სანიმუშო წესდებაში. რათა მან მიიღოს კანონის შინაარსი.



დოქ. დ. ძნელაძე

### დაზვის ოპტიმალური დაგეგმვის კომპლექსური მოდელის დამუშავების საკითხისათვის კვების მეცნიერებაში

უქანასენელი 5—6 წლის განმავლობაში წარმოების მართვასა და დაგეგმვაში ფართოდება ეკონომიური კიბერნეტიკისა და გამოთვლითი სამუშაოების ავტომატიზაციის საშუალებათა გამოყენება.

ელექტრონული გამოთვლელი მანქანების ფართოდ დაწერვა კი მოითხოვს მართვისა და დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანგარიშსწორების ოპერაციების წინასწარ ფორმალიზაციას, ალგორითმების შედგენას და ინფორმაციების სისტემის მომზადებას.

წარმოების მართვისა და დაგეგმვის სამუშაოთა გამარტივებისა და მეტი სიზუსტის მიღწევის მიზნით თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებას. ეს მეთოდები პირველ რიგში აუცილებელია იმისათვის, რომ ეკონომიური კატეგორიები და მოვლენები „გადათარგმნილ“ იქნას მათემატიკურ ფორმებში, ფორმულებასა და ციფრებში.

ეკონომიურ კვლევაში და პრაქტიკულ მუშაობაში მათემატიკური მეთოდების გამოყენება დაკავშირებულია ეკონომიური მოვლენების განსაკუთრებით გართულებასთან და ადამიანთა მოღვაწეობის სფეროში კიბერნეტიკის უფრო ფართოდ გამოყენებასთან.

ეკონომიკაში კიბერნეტიკული სისტემისა და ელექტრონული ტექნიკის ეფექტური გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ეკონომიური ამოცანის ისე დასმა და გაფორმება, რომ სწრაფად და ადვილად იქნას იგი გადაყვანილი მანქანებისათვის გასაგებ ენაზე.

საქართველოს კვების მრეწველობის დარგებში და კერძოდ „სამტრესტში“ გამოთვლითი სამუშაოების ავტომატიზაციის საშუალებათა უქონლობის გამო და თვით წარმოების თავისებურებებიდან გამომდინარე მართვისა და დაგეგმვის პრაქტიკაში ყველაზე მიზანშეწონილია ალგებრულ მატრიცაზე დამყარებული მეთოდის გამოყენება.

საერთოდ ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენება დაკავშირებულია რიგი პრობლემების გადაწყვეტასთან, რომელთაგან მთავარია: 1. ამოცანის დასმა, 2. საჭირო ამოსავალი მონაცემების მიღება, 3. ამოცანათა მათემატიკური ფორმულირება, 4. ამოცანის გადაწყვეტა და მიღებული შედეგების ანალიზი.



ამოცანის სწორად დასმაზე დიდად არის დამოკიდებული მისი წარმატებით გადაწყვეტა. დაგეგმვის ტიპური ამოცანა მდგომარეობს **რამდენი** გეგმის რამდენიმე ვარიანტიდან არჩეულ იქნას ყველაზე უკეთესი **როგორ** საჭიროა რაღაც კრიტერიუმის მიღება, მაგალითად, ჩვენი შემთხვევისათვის. როდესაც დარჯი რამდენიმე მსხვილი საწარმოსაგან შედგება, საწარმოო პროგრამათა განაწილების დროს შეიძლება რამდენიმე ვარიანტი გამოიძებნოს. მაგრამ საჭიროა მათგან ყველაზე უკეთესის შერჩევა. ამ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ნიშნით შევაფასებთ შედეგს, ე. ი. რას მივიჩნევთ კრიტერიუმად. ჩვენს ამოცანაში ძირითად კრიტერიუმად მიღებული გვაქვს დანახარჯების მინიმიზაცია როგორც წარმოების, ისე შენახვისა და ტრანსპორტირების დროს.

საჭირო ამოსავალი მონაცემების მიღებისა და მომზადებისათვის აუცილებელია ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებელთა სისტემის არსებობა, რომელიც რეალური სინამდვილის რაოდენობრივი კანონზომიერების ამსახველი იქნება. ასეთი მაჩვენებლების მიღებისათვის საჭიროა სტატისტიკური მასალის გულდასმით შესწავლა და მაჩვენებელთა შორის ურთიერთკავშირის კანონზომიერებათა ახსნა.

ამოცანის მათემატიკური ფორმულირების მთავარი მიზანია ამოსავალი მონაცემები და უცნობი სიდიდეები წარმოვიდგინოთ იმ სახით, რომ შესაძლებელი იქნეს გამოთვლის გზით მივიღოთ უცნობი სიდიდის მნიშვნელობა. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გამოგვეყენებია მათემატიკური განტოლებების სისტემა.

მათემატიკური განტოლებების გამოყენება შეიძლება ბევრი ეკონომიური ამოცანის ფორმულირებისათვის, რადგან შესაძლებელია ეკონომიური კატეგორიების რაოდენობრივად გამოსახვა. ამასთან მათი ცვლილებები დაკავშირებულია გარკვეულ კანონზომიერებასთან.

ეკონომიური სიდიდეები ხშირ შემთხვევაში ყალიბდება რამდენიმე ფაქტორის გავლენით და ყველა მათგანის მათემატიკური ფორმულირება ძნელია. ამიტომ საჭირო ხდება მთავარის გამოყოფა. რიგ შემთხვევაში ეს ფაქტორები იმდენად ბევრია, რომ იძულებული ვართ მივმართოთ განტოლებათა ან უტოლობათა მთელი სისტემის გამოყენებას ან კიდევ სპეციალურ მათემატიკურ ტაბულებს, სადაც მთელი რიგი ამოსავალი მონაცემები და უცნობი სიდიდეები უნდა განისაზღვროს. ეკონომიურ სიდიდეთა ასეთ ურთიერთდაკავშირებულ სისტემას ეწოდება ეკონომიურ-მათემატიკური მოდელი.

ჩვენს შემთხვევაში მოდელის შედგენის დროს მივმართეთ აბსტრაგირებას, ე. ი. გამოვრიცხეთ მეორეხარისხოვანი კავშირები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ შესასწავლი მაჩვენებლის შინაარსზე. ამრიგად, მოდელის მათემატიკური მეთოდების შესწავლით შეიძლება მივიღოთ ამოცანის ყველაზე ხელსაყრელი გადაწყვეტა. პრაქტიკულად ეს საშუალო არ მოითხოვს განსაკუთრებულ ცოდნასა და დახელოვნებას, რადგან იგი დაკავშირებულია ძირითადად არითმეტიკული მოქმედებების გამოყენებასთან. აქ სიძნელე მხოლოდ გამოთვლების მოცულობაშია, რაც მარტივი მოდელის პირობებში რამდენიმე ასეული,



ხოლო რთულ მოდელეებში მილიონობით არითმეტიკული მოქმედების შედეგ-  
 ელებას მოითხოვს. ასეთი გამოთვლების წარმოება ჩვეულებრივი მანქანების  
 კვირველია, დიდ დროს მოითხოვს და პრაქტიკულად გაუმართლებელია. ამიტომ  
 ტომ იყენებენ ელექტრონულ გამოთვლელ მანქანებს, რომლებიც ერთ წამში  
 ათასობით ოპერაციას ასრულებენ და „იმასსოვრებენ“ უამრავ ციფრობრივ მა-  
 სალას. ამასთან დაზღვეული ვართ შეცდომებისაგან.

წარმოების ეკონომიკის მოდელირება მოითხოვს საწარმოო პირობების  
 სპეციფიკის გათვალისწინებას და საგეგმო-ეკონომიური ინფორმაციის სისტე-  
 მაში მაჩვენებელთა ერთგვაროვნების ორგანიზაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ კვების მრეწველობის რიგ დარგებში ტექნიკურ-  
 ეკონომიურა დაგეგმვის ძირითადი მაჩვენებლების კავშირების წრფივი ხასია-  
 თი საშუალებას იძლევა ამ მიზნით გამოვიყენოთ გეგმის მატრიცული მოდელი.

ღვინის მრეწველობა მრავალდარგოვანი მეურნეობაა შიგადარგობრივი და  
 დარგთშორისი სპეციალიზაციისა და კოოპერირების ნაირფეროვანი ფორმე-  
 ბით. ასეთი მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის სირთულე მდგომარეობს მი-  
 სი ცალკეული ქვედანაყოფის განვითარებაში, შიგადარგობრივი ოპტიმალური  
 პროპორციების სისტემატურ უზრუნველყოფაში.

დარგის საგეგმო ორგანოები იძლებული არიან თავიანთ მუშაობაში სისტე-  
 მატურად გათვალისწინონ საწარმოო პროცესების სპეციფიკური პირობები,  
 რაც მნიშვნელოვნად ადიდებს ინფორმაციების მოცულობას. ინფორმაციების  
 მოცულობის ზრდა კი თავის მხრივ იწვევს საგეგმო გაანგარიშების რაოდე-  
 ნობრივ გაფართოებას, მაშინ როდესაც მათი შესრულების მეთოდები ჯერ კი-  
 დევ რჩება, ძველი, თანამედროვე ეპოქისათვის პრიმიტიული და შრომატევადი.

თანამედროვე პირობებში ღვინის მრეწველობაში შეიმჩნევა დისპროპორ-  
 ცია პროდუქციის წარმოებასა და მასზე მოთხოვნილებას შორის. გეგმა, რო-  
 მელიც ნაწილდება ჩამოსასხმელი ქარხნების მიხედვით, უმეტესად არ გამოძლი-  
 ნარეობს რეალური საწარმოო შესაძლებლობიდან და რიგი სპეციფიკური თა-  
 ვისებურების გამო ადგილი აქვს ღვინის ქარხნების არარიტმულად მუშაობას.

ღვინის მრეწველობაში დაგეგმვის არსებული პრაქტიკა ჯერ კიდევ ვერ  
 უზრუნველყოფს მეცნიერულად დასაბუთებული გეგმების შედგენას. დაგეგმ-  
 ვის დროს წარმოების ვაადგილების ეფექტურობა სანედლეულო ბაზის სეზო-  
 ნურობისა და სხვა განსაკუთრებულ თავისებურებათა გათვალისწინებით იშვი-  
 ათად ღვინდება გეგმის რამდენიმე ვარიანტის ურთიერთშედარებით, რადგან  
 ეს საქმე მოითხოვს დიდი მოცულობის გაანგარიშებათა წარმოებას. ასეთი სა-  
 მუშაოები თანამედროვე პირობებში სრულდება ხელით ან უმარტივესი გა-  
 მოთვლითი ტექნიკის გამოყენებით. ამიტომ, ასეთ პირობებში გეგმის რამდე-  
 ნიმე ვარიანტის დამუშავებაზე, რასაკვირველია, ლაპარაკი ზედმეტია.

საქართველოს კვების მრეწველობის დარგებასა და განსაკუთრებით ღვი-  
 ნის მრეწველობის განვითარების ტემპები ბუნებრივად მოითხოვს დაგეგმვის  
 პროცესების რაციონალიზაციას, რაც შეუძლებელია ეკონომიურ-მათემატიკუ-  
 რი მეთოდების, ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის გამოყენებისა და



მთელი დარგისათვის, დაგეგმვის და მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნის გარეშე.

საქართველოს ღვინის მრეწველობის ობტიმალური დაგეგმვის შედეგად წარმოდგენილი გვაქვს ღვინის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მახედვით ქ. თბილისის მაგალითზე, რაც სრულიად რეალურია და საშუალებას იძლევა ამოცანა გამარტივდეს ისე, რომ გადაწყვეტილ იქნას რთული გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების გარეშე. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დარგისათვის. რადგან „სამტრესტის“ სისტემაში ჯერჯერობით გამოთვლითი სამუშაოების მექანიზაციის საშუალებები მეტად მცირეა, საგეგმო განგარიშებები წარმოებს დეცენტრალიზებული წესით და მოთხოვნების სეზონური მერყეობის გათვალისწინებით.

ღვინის წარმოება ამჟამად თბილისში ძირითადად თავმოყრილია სამ ქარხანაში და პროდუქციის რეალიზაცია წარმოებს დაახლოებით 350 სავაჭრო წერტის საშუალებით, რომელიც ჩვენ შესაძლებლად ჩავთვალეთ გავვევრობინებინა ქალაქის შვიდი ადმინისტრაციული რაიონის მიხედვით, რადგან ყოველ რაიონში სავაჭრო წერტების კომპაქტური განლაგება უზრუნველყოფს მათ შორის მანძილის უმნიშვნელო განსხვავებას.

საწარმო პროგრამისა და რეალიზაციის გეგმის განსაზღვრის გადამწყვეტი ფაქტორია სამომხმარებლო მოთხოვნილება. თანამედროვე პირობებში ღვინის პროდუქციაზე არ არსებობს ცენტრალიზებული მოთხოვნილება და იგი ხორციელდება სავაჭრო ქსელიდან მოთხოვნილების საფუძველზე.

ღვინის ქარხნების საწარმოო პროგრამა განისაზღვრება სავაჭრო ორგანიზაციებზე განაწილებული ფონდების შესაბამისად. პროდუქციაზე მოთხოვნილების ასეთი ინფორმაცია არ ეყრდნობა ზუსტ განგარიშებებს და არ ითვალისწინებს იმ სეზონურ რყევადობას, რაც საერთოდ დამახასიათებელია ამ პროდუქტების მიმართ. ასეთ პირობებში შედგენილი პროდუქციის რეალიზაციის გეგმა დიდ ნაწილში არ ასახავს მოთხოვნილების რეალურ სურათს დროის შედარებით მოკლე პერიოდისათვის.

იმისათვის, რომ მოგვეხდინა მოთხოვნილების მოკლე პერიოდის მიხედვით (თვე, დეკადა) დეტალიზაცია, მივმართეთ სავაჭრო წერტების სტატისტიკური მასალის შესწავლას და ცალკეულ სპეციალისტთა გამოცდილების გამოყენებით (ექსპერტის გზით) მივიღეთ შედარებით უფრო მყარი ინფორმაცია, რის მიხედვითაც შედგენილ იქნა მოთხოვნილების მერყეობის მრუდები, ღვინის პროდუქციის მოთხოვნილებაზე თვიური მრუდები გაწონასწორებისა და გასაშუალების მიზნით შემდგომ დამუშავებულ იქნა რეგრესიის მეთოდით.

ცალკეული ღვინის ქარხნის მიხედვით წარმოებაზე დანახარჯების ანალიზისათვის ღვინის მარკების შესაბამისად მასალები მიღებულ იქნა ამ ქარხნების ტექნიკურ საწარმოო-საფინანსო გეგმის მატრიცული მოდელირების საფუძველზე, ამ საშუალოს შესარულებლად გამოვიყენეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომიტეტის სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტის განყოფილების მუშაკთა მიერ შედგენილი № 1 ღვინის ქარხნის მატრიცული მოდელი.





მატრიცული მოდელის გამოყენებამ საშუალება მოგვცა შეგვედარებინა წარმოებაზე დანახარჯები სახარჯთაღრიხვო და საკალკულაციო მხარეებში ხედვით. მატრიცული ტექნიკურ საწარმო-საფინანსო გეგმების შედგენაში შევძლებდით მიგველო ვარიანტური მატრიცები ერთი მარკის ღვინის წარმოების დანახარჯებზე ყველა ქარხნის მიხედვით (ძირითადად ორდინარულ ღვინობებზე).

ამასთან ერთად, შესწავლილ იქნა ღვინის ქარხნებში ნედლეულისა და მზა პროდუქციის შენახვაზე დანახარჯები მსხვილი სავაჭრო წერტების საწყობებში. ხოლო ღვინის პროდუქციის ქარხნებიდან სავაჭრო ქსელში გადაზიდვაზე დანახარჯების შესახებ მასალები მივიღეთ ამავე ინსტიტუტში ჩატარებული გამოკვლევებიდან (ეს საშუალო ამჟამადაც გრძელდება და უფრო ზუსტი ცნობები მიღებული იქნება მისი დამთავრების შემდეგ).

ჩვენი ამოცანის მთავარი მიზანია ღვინის ქარხნების პროდუქციაზე ერთობლივი დანახარჯების (ე. ი. ყველა დანახარჯები: წარმოებაზე, აგრეთვე როგორც ნედლეულის, ისე მზაპროდუქციის შენახვაა და გადაზიდვაზე) მინიმიზაცია. ამასთან, ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ გამოგვეყენებინა მოდელის წრფივი ფორმა, რადგანაც ამ წარმოებაში არაწრფივი ხასიათის დანახარჯებს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მოდელირების ამ ვარიანტის განხორციელებას ძირითადად ხელი შეუწყობს შემდეგმა ფაქტორებმა:

1. წარმოების შეღარებით მოკლე ციკლი (იგულისხმება ღვინის პროდუქციის ჩამოსხმის პროცესი);
2. ტარის ბრუნვის მოკლე პერიოდი;
3. ღვინის პროდუქციაზე მოთხოვნილების წინმავალი რეალიზაციის ნაკლები გავლენა და სხვა.

ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელი გახდა დინამიკური პროგრამირების თავიდან აცილება და ამოცანის გადაწყვეტა წრფივი პროგრამირებით. ამოცანა გადაწყვეტილ იქნა ყოველთვიურ მონაკვეთში წინა და მომდევნო თვის გეგმებიდან დამოუკიდებლად.

ამრიგად, კომპლექსური მოდელი არსებითად აერთიანებს სამ მოდელს:

1. დანახარჯების მინიმიზაცია წარმოებაზე;
2. დანახარჯების მინიმიზაცია შენახვაზე;
3. დანახარჯების მინიმიზაცია გადაზიდვაზე.

ეს სამი მოდელი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ერთდროულად უნდა გადაწდეს. ასეთი გადაწყვეტის საშუალებას იძლევა მათი განზომილების სიმცირე (მატრიცა  $350 \times 350$  შემდგომ გამსხვილებულ იქნა  $3 \times 7$ -ზე).

შემოგვაქვს შემდეგი აღნიშვნები (განზომილება საერთოა—მანეთობით):

1.  $X_{ij}$ — $i$  ქარხნის საწარმოო პროგრამა  $j$  მარკის ღვინოზე;
2.  $a_{ij}$ —დანახარჯები ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე  $i$  ქარხნის მიხედვით  $j$  მარკის ღვინოზე;
3.  $y_{ij}$ —შესანახი  $j$  ღვინის მოცულობა  $i$  ქარხანაში;
4.  $Z_{ij}$ —შესანახი ღვინომასალების მოცულობა  $i$  ქარხანაში;



5.  $bi$ —დანახარჯები სასაქონლო პროდუქციის ერთეულის შენახვებზე  $i$  ქარხანაში;
6.  $Ci$ —დანახარჯები ნედლეულის ერთეულის შენახვებზე  $i$  ქარხანაში;
7.  $Wkj$ —თბილისის  $k$  რაიონის მაღაზიების საწყობებში შესანახი  $j$  ღვინის მოცულობა;
8.  $Dk$ —თბილისის  $k$  რაიონის მაღაზიების საწყობებში სასაქონლო პროდუქციის ერთეულის შენახვის დანახარჯები;
9.  $Mik$ —სასაქონლო პროდუქციის მოცულობა, რომელიც უნდა გადაიზიდოს  $i$  ქარხნიდან  $k$  რაიონში;
10.  $gik$ —დანახარჯები  $i$  ქარხნიდან  $k$  რაიონში გადასაზიდი სასაქონლო პროდუქციის ერთეულზე;
11.  $Pi$ — $i$  ქარხნის დღეღამური სიმწლავრე;
12.  $Qi$ — $i$  ქარხნის ნედლეულის საწყობის ტევადობა;
13.  $Ri$ — $i$  ქარხნის მზაპროდუქციის საწყობის ტევადობა;
14.  $Sk$ — $k$  რაიონის მაღაზიების საწყობების ტევადობა;
15.  $Tj$ — $j$  მარკის ღვინის მოთხოვნილება აღებულ თვეში.

შევიტანოთ შემდეგი განსაზღვრულობა:

$\sum X_{ij} < P_i$	$\sum W_{kj} < S_k$
$\sum Z_{ij} < A_i$	$\sum T_i < P_i$
$\sum Y_{ij} < R_i$	$\sum X_{ij} < T_i$

მაშინ მოდელი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგ გამოსახულებაში:

$$\sum \sum X_{ij} a_{ij} + \sum \sum Y_{ij} b_{ij} + \sum \sum Z_{ij} c_{ij} + \sum \sum W_{kj} d_{kj} + \sum \sum M_{ik} g_{ik} \rightarrow \min;$$

ამოცანის ჩამოყალიბების დროს შეგნებულად გამოტოვებულ იქნა მეტად მნიშვნელოვანი განსაზღვრა—ღვინის ქარხნის მუშაობის რეჟიმი (ე. ი. ერთ, ორ ან სამ ცვლად მუშაობა), რომელსაც ყოველი მათგანის საწარმოო პროგრამა განსაზღვრავს. ამ განსაზღვრულობის ამოცანაში შეტანა გამოიწვევდა მთლიან რიტეობრივ პროგრამირების გამოთვლითი პროცედურის ჩატარებას, რაც მნიშვნელოვნად გაართულებდა გამოთვლით პროცესს, ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად (და შესაძლებლად) ჩავთვალეთ მისი კორექტირება სხვა დამატებითი ფაქტორების გათვალისწინების დროს (რომლებიც აგრეთვე საჭიროდ არ ვცანით ამოცანაში ჩასართავად).

ამრიგად, ამოცანის გადაწყვეტისათვის ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელირებასთან ერთად უნდა მივმართოთ მათ შემდგომ კორექტირებას „ხელით“. ეს მიუთმეტეს საჭიროა ამ დარგის მიხედვით, სადაც ახლო მომავალში არ არის გათვალისწინებული, მონაცემების დამუშავების ავტომატური სისტემების დანერგვა ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების ბაზაზე.

## К ВОПРОСУ РАЗРАБОТКИ КОМПЛЕКСНОЙ МОДЕЛИ ОПТИМАЛЬНОГО ПЛАНИРОВАНИЯ В ПИЩЕВОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ

### Резюме

Методика отраслевого оптимального планирования в пищевой промышленности излагается на примере производства и реализации вина по городу Тбилиси. Пример является вполне реалистическим но позволяет упростить задачу настолько, чтобы она могла бы быть решена без применения сложной вычислительной техники.

Производство вин в Тбилиси осуществляется тремя заводами, через 350 крупных торговых точек, по семи районам города.

Данные межзаводского анализа затрат на производство в разрезе предприятий и сортов вин были получены на основе матричного моделирования техпромфинпланов винзаводов.

В качестве целевой функции выбрана минимизация совокупных затрат на производство, хранение и перевозку как сырья, так и готовой продукции.

Весьма короткий цикл производства, быстрый оборот тары и независимость спроса от предыдущей реализации позволил избежать динамическое программирование и решать задачу линейного программирования.

Общая модель состоит из трех моделей:

1. Минимизация затрат на производство;
2. Минимизация затрат на хранение;
3. Минимизация затрат на перевозку.

Далее вводится обозначение (размерность в рублях) и ограничения рядом неравенства и модель получает следующее выражение:

$$\sum \sum X_{ij} a_{ij} + \sum \sum Y_{ij} b_{ij} + \sum \sum Z_{ij} c_{ij} + \sum \sum W_{kldk} + M_{ikgik} \rightarrow \min$$

### დავითაშვილი ლიბერაბურა

1. დ. პ. ძნელაძე — კვების მრეწველობის საწარმოთა ორგანიზაცია და დავეგმვა, თბილისი, 1963 წ.
2. საქართველოს სსრ სსახლხო მეურნეობის დარგების ეკონომიკის და დავეგმვის ინსტიტუტის 1965 წლის ანგარიშები.
3. А. М. Дудкин — Модели оптимального планирования народного хозяйства, МГУ, 1965 г.
4. Проблемы оптимального планирования, проектирования и управления производством. Материалы конференции, МГУ, 1963 г.



დოც. ა. ნარჩოლაშვილი

**საქართველოს საზოგადოებრივი დიდი  
ოქტომბრის 50 წლისთავზე**

სოფლის მეურნეობის გარდაქმნა სოციალისტურ საწყისებზე ყველაზე რთული და ძნელი ამოცანა იყო პროლეტარიატის მიერ ძალუფლების მოპოვების შემდეგ.

ამ დიდშენიან ამოცანის გადაწყვეტას საფუძვლად დაედო ლენინური კოლექტიური გეგმა. პარტიას წლობით დაძაბული ორგანიზატორული და აღმზრდელი მუშაობის გაწევა მოუხდა, რომ გადაეწყვიტა ეს მსოფლიო-ისტორიული ამოცანა.

სოფლის სოციალისტურ გარდაქმნაში დიდი როლი შეასრულა საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანატრაქტორთა სადგურების — სოფლის მეურნეობის მსხვილი სახელმწიფო საწარმოების მშენებლობამ.

პირველი საბჭოთა მეურნეობები — მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე შეიქმნა ნაციონალიზებული მამულების ბაზაზე. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ საბჭოთა მეურნეობა თავის ამოცანად ისახავს თანდათან შეასწავლოს სოფლის მოსახლეობას დამოუკიდებლად შეიმუშაოს ახალი წესი, როცა შეუძლებელი იქნება ერთი მუჭა მდიდრების კვლავ წარმოშობა და ღარიბთა მასების ჩაგვრა.

საბჭოთა მეურნეობებმა დიდი როლი შეასრულეს წვრილგლეხური მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციისა და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკის მომზადებისა და გამარჯვების საქმეში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე, მიწის შესახებ დეკრეტის საფუძველზე, მშრომელთა მასების რევოლუციური შემოქმედების წესით, ადგილებზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და შემამუღეთა მამულების კონფისკაციის პარალელურად, წარმოებდა საბჭოთა მეურნეობის შექმნაც. პირველი საბჭოთა მეურნეობები ჩამოყალიბდნენ კონფისკაციაქმნილ კერძო ცხენაშენების ბაზაზე. მეკარხლეობის საბჭოთა მეურნეობები ჩამოყალიბდა სახკომსაბჭოს 1918 წლის 13 ივლისის დეკრეტის საფუძველზე, ხოლო იმავე წლის 19 ივლისის დეკრეტით შეიქმნა მეცხოველეობის მიმართულების საბჭოთა მეურნეობები. უფრო გვიან, 1919 წლის 14 თებერვალს სრულიად რუსეთის ცაქმა თავისი დეკრეტით დაამტკიცა „დებულება სოციალისტური მიწათმოქმედებისა და სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის ღონისძიებების შესახებ“.




სადაც გატარებული იყო ის აზრი, რომ სოციალისტური მიწათმოწყობა განსა-  
 რიყო სოციალისტურ მიწათმოწყობაზე გადასვლის წინა პირობაა. **დ. კ. კ. კ.**  
 რითად ფორმად მიჩნეული იყო საბჭოთა მეურნეობა. ცაკ-ის **დ. კ. კ. კ.**  
 ხორციელებლად სახკომსაბჭოს მიერ 15 თებერვალს—„სამრეწველო პროლეტა-  
 რიატის გაერთიანებათა და დაწესებულებათა მიერ საბჭოთა მეურნეობების  
 ორგანიზაციის შესახებ“—მიღებულ დეკრეტში კოხკრეტულად იყო ჩამოყალი-  
 ბებული საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციისა და დაფინანსების საკითხები.  
 დეკრეტის თანახმად, საბჭოთა მეურნეობების მოწყობა ეკისრებოდა მიწათმოქ-  
 მედების სახალხო კომისარიატთან ერთად სამრეწველო პროლეტარიატის დაწე-  
 სებულებებსა და გაერთიანებებს.

მეურნეობები მუშაობდნენ ამ უკანასკნელთა უშუალო ხელმძღვანელობით  
 და წარმოადგენდნენ ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მომარაგების  
 მნიშვნელოვან წყაროს.

სახკომსაბჭოს 1920 წლის 2 მარტის დეკრეტით დასაბამი მიეცა ქალა-  
 ქებისა და სამრეწველო ცენტრების საგარეუბნო მერძვეობა-მეზობტნეობის  
 საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ მიწის ნაციონალიზაციამ პროლეტარულ  
 სახელმწიფოს მისცა შესაძლებლობანი.—გადავიდეს სოციალიზმზე მიწათმოქ-  
 მელებაში. მაგრამ ამ შესაძლებლობის გამოყენება უზრუნველყოფილი იქნებ-  
 ნოლოდ იმ შემთხვევაში თუ შევძლებთ საქმით დავანახვით გლეხებს მიწის  
 საზოგადოებრივი, კოლექტიური, საამხანაგო, საარტელო დამუშავების უპირა-  
 ტესობანი. გლეხობისათვის პრაქტიკული მაგალითის საჩვენებელი საინიმუშო  
 მეურნეობის ფორმად სოფლის მეურნეობაში ვ. ი. ლენინმა წარმოების საბჭო-  
 თამეურნეობრივი ფორმის შექმნის ამოცანა დასახა, იგი მიუთითებდა, რომ  
 წარმოების ტექნიკის გაუმჯობესებისა და წარმოების ოდენობის გადიდების  
 მიზნით, აგრეთვე რაციონალური მსხვილი მეურნეობის განვითარებისა და მის  
 მიმართ საზოგადოებრივი კონტროლის დაწესების მიზნით, ჩვენ გლეხთა კომი-  
 ტეტების შიგნით უნდა ვეცადოთ. რომ შემამულეთა კონფისცირებულ ყველა  
 მამულში მოეწყოს მსხვილი საინიმუშო მეურნეობა. მოჯამაჯირეთა დეპუტატების  
 საბჭოების კონტროლით; რომ მსხვილ მეურნეობებში ყველაფერი კეთდებოდეს  
 უკეთესად, ვიდრე წინათ, უფრო იაფად და უფრო მეტი, ვიდრე წინათ.

პარტია და მთავრობა ქმნიდნენ რა საბჭოთა მეურნეობებს, მთელ მათს  
 ჩაქმიანობას წარმართავდნენ სოციალისტური მშენებლობის ამოცანების შესა-  
 ბამისად. საბჭოთა მეურნეობები მოვალენი იყვნენ შრომის რაციონალური ორ-  
 განიზაციის, მოწინავე ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევათა ფართოდ დანერ-  
 გვის საფუძველზე, საზოგადოებრივ შრომაზე დაყრდნობით მიეცათ ჩვენი  
 ქვეყნისათვის მაღალხარისხოვანი და იაფი სოფლის მეურნეობის პროდუქცია.  
 ამასთან მათ უნდა მოემზადებინათ პირობები სოფლის მეურნეობის სოციალის-  
 ტური გარდაქმნისათვის. ამისათვის პრაქტიკულად უნდა ეჩვენებინათ მრავალ-  
 მილიონიანი გადატაკებული გლეხობისათვის სოციალიზმის უპირატესობანი  
 სოფლის მეურნეობაში. გარდა ამისა, ისინი უნდა დახმარებოდნენ ახალშექ-  
 მნილ კოლმეურნეობებს სპეციალისტთა კადრებით, გაუმჯობესებული ჯიშისა  
 თესლით, პირუტყვით, ნერგით, ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების გა-



უმჯობესებაში, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების მოწესრიგებაში და სხვ.

1919 წლის 14 თებერვალს გამოქვეყნებულ დებულებაში—„საბჭოთა მიწათმოყვობისა და სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის ღონისძიებათა შესახებ, აღნიშნული იყო: „საბჭოთა მეურნეობები იქმნება შემდეგი მიზნებით: ა) რაც შეიძლება მეტად გაიზარდოს პროდუქტთა რაოდენობა, სოფლის მეურნეობის მწარმოებლობის ამაღლებისა და ნათესი ფართობების გადიდების გზით, ბ) შეიქმნას პირობები კომუნისტურ მიწათმოქმედებაზე მთლიანად გადასასვლელად, გ) კულტურულ-აგრონომიული ცენტრების შესაქმნელად და გასავითარებლად“.

თვალსაჩინო წარმატებები იქნა მოპოვებული საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების შშენებლობის საქმეში, 1930 წლისათვის საბჭოთა კავშირში იყო სულ 2832 საბჭოთა მეურნეობა. მათ შორის მარცვლეულის—370, მერძე-ვეობა-მეხორცეობის—434, მეღორეობის—350, მეცხვარეობის—115, მეცხენეობის—61, მეფრინველეობის—86, მეჭარხლეობის—185, მებაღეობის, მევენახეობისა და მებოსტნეობის—402. საბჭოთა მეურნეობებში 128 წლისათვის იყო ცხენი 0,12 მლნ. სული, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 0,18 მლნ., ღორი 0,05 მლნ. ცხვარი და თხა 0,75 მლნ. ამავე პერიოდში საბჭოთა მეურნეობებმა აწარმოეს ხორბალი 11,3 მლნ. ც. ბამბა 9,1 მლნ. ც. რძე 1,5 მლნ. ც და მატყლი 21,0 ათასი ც.

კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა მეურნეობებმა შემდგომ ხუთწლეულებში. მათ აწარმოეს 88 მლნ. ც მარცვლეული, 1,4 მლნ ც ბამბა, 20,7 მლნ. რძე და 186 ათასი ც მატყლი.

10 წლის განმავლობაში (1928—1938 წწ.) საბჭოთა მეურნეობებში მეწევის რიცხვი გაიზარდა 317 ათასიდან 1320 ათასამდე კაცით, ანუ 4,1-ჯერ. სათესი ფართობები ამავე პერიოდში 1,7 მლნ. ჰა-დან გადიდდა 12,4 მლნ. ჰა-მდე, ანუ 7,3-ჯერ, მათ შორის მარცვლეულის ნათესები 8-ჯერ. 1926—1927 წლების შესადარი ფასების მიხედვით საბჭოთა მეურნეობების მთლიანი პროდუქტის ღირებულება გაიზარდა 1928 წელს არსებული 230 მლნ. მანეთიდან 1631 მლნ. მანეთამდე, ანუ 7,1-ჯერ 1938 წელს.

სახელმწიფო ყოველმხრივ ეხმარებოდა საბჭოთა მეურნეობებს მათი ეკონომიკის შემდგომი განმტკიცების საქმეში. თუ 1920 წელს საბჭოთა მეურნეობების ძირითადი ფონდები შეადგენდა 382 მლნ. მანეთს, 1938 წლისათვის იგი უდრიდა 7253 მილიონ მანეთს. ტრაქტორების რიცხვი გაიზარდა 6,7 ათასიდან 85 ათასამდე. თუ 1928 წელს საბჭოთა მეურნეობებში არცერთი კომბაინი არ იყო, 1938 წელს საბჭოთა მეურნეობებში ირიცხებოდა 26,6 ათასი კომბაინი.—საბჭოთა მეურნეობები გაზდნენ ყველაზე უფრო მექანიზებული სას.-სამ. საწარმოები საბჭოთა კავშირში.

პირველი ხუთწლეულის ბოლოს საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს მათ წინაშე მდგარი ამოცანა და სახელმწიფოს მიყიდეს 100 მლნ. ფუთი სასაქონლო პური. მეორე ხუთწლეულის ბოლოს საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიყიდეს 250 მლნ. ფუთი პური, ანუ მთელი ცენტრალიზებული წესით დაპ-



ზადებული და შესყიდული პურის მერვედი ნაწილი, ასევე მეტროსადგომების  
დამზადებული პროდუქციის 25—39 პროცენტი.

დიდი სამამულო ომისწინა 1940 წელს საბჭოთა მეურნეობის მთლიანი  
ფონს წააბარეს 200 მლნ. ფუთზე მეტი მარცვლეული, 60 მლნ. ფუთზე მეტი  
რძე, 20 მლნ. ფუთზე მეტი ხორცი და 1.2 მლნ. ფუთზე მეტი მატყლი.

სამამულო ომის წლებში საბჭოთა მეურნეობებმა დაიღი როლი შეასრულეს  
მოსახლეობისა და არმიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგე-  
ბის საქმეში; მიუხედავად იმისა, რომ მეურნეობის დიდი ნაწილი მოექცა მტრის  
მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

ახორციელებდნენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრა-  
ლური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტი-  
ლებებს, საბჭოთა მეურნეობებმა აღადგინეს ომის დროს მიყენებული ზარალი  
და კიდევ უფრო განავითარეს თავიანთი მეურნეობები.

დიდი ამოცანები დააყენა საბჭოთა მეურნეობების წინაშე სკკპ ცენტრა-  
ლური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის და 1954 წლის თებერვალ-მარტის  
პლენუმებმა. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირში 4700-ზე მეტი სხვადასხვა მი-  
მართულების საბჭოთა მეურნეობა იყო. 1940 წელთან შედარებით 1953  
წელს საბჭოთა მეურნეობებში საერთო ნათესი ფართობები გაიზარდა 31%-ით  
ხოლო 1954 წელს ამოცანა დაისახა საბჭოთა მეურნეობებში მარცვლეულის ნა-  
თესი ფართობები უახლოეს ორ წელში გადიდებული იყო 4,3 მლნ ჰექტა-  
რით. ამავე პერიოდში გაუქმებულ იქნა საბჭოთა მეურნეობებისადმი სახელკ-  
წიფო დოტაციის მიცემა, რაც 1934 წელს იქნა შემოღებული. დაწესებულ იქნა  
დამზადების ახალი ფასები და დაისახა ღონისძიებები საბჭოთა მეურნეობების  
რენტაბელური მუშაობის უზრუნველსაყოფად.

პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებულმა რიგმა ეკონომიურმა, პოლი-  
ტიკურმა და ორგანიზაციულმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო შეუწყვეს ხელი  
საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას.

1956 წლისათვის საბჭოთა კავშირში 5099 საბჭოთა მეურნეობა იყო, და-  
ახლოებით 131,5 მლნ. ჰექტარი სათესი ფართობებით. საბჭოთა მეურნეო-  
ბებში ითვლებოდა 316 ათასი პირობითი ტრაქტორი, 83 ათასი მარცვლეულის  
კომბაინი, 87 ათასი სატვირთო ავტომანქანა, 4 მლნ. მსხვილფეხა რქიანი  
პირუტყვი, 6 მლნ. ღორი და 12 მლნ. ცხვარი. მეხუთე ხუთწლეულში შე-  
იქმნა თითქმის 918 ახალი საბჭოთა მეურნეობა, ამავე პერიოდში 515 პატარა  
საბჭოთა მეურნეობა შეერთებულ იქნა სხვა მეურნეობებთან, ხოლო 65 საბ-  
ჭოთა მეურნეობა ლიკვიდირებულ იქნა. საბჭოთა მეურნეობების სისტემიდან  
სხვადასხვა მიზეზებით გამოაკლდა 772 საბჭოთა მეურნეობა. ამგვარად, მეხუ-  
თე ხუთწლეულში საბჭოთა მეურნეობების საერთო რიცხვი გაიზარდა 146 მეურ-  
ნეობით. ამ პერიოდში საბჭოთა მეურნეობების რაოდენობის მიხედვით პირვე-  
ლი ადგილი ეჭირა რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკას, სადაც 1955 წლისათ-  
ვის იყო 2825 საბჭოთა მეურნეობა, შემდეგ უკრაინის სსრ—812, ყაზახეთის  
სსრ — 691, ბელორუსიის სსრ — 113, საქართველოს სსრ—101 საბჭოთა მეურ-  
ნეობა.



ყამირი და ნასვენე მიწების ათვისების ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ მეურნეობებს გამოუყო და მისცა პირობითი ტრაქტორი, 55 ათასი კომბაინი, 89 ათასი სათესი, 28 ათასი სატვირთო ავტომანქანა და სხვ.

1955 წლისათვის საბჭოთა კავშირში იყო მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობები 857, ბამბის 44, მებოსტნეობა-მერძევეობის 247, მერძევეობის 1203, მეხორცეობა-მერძევეობის 64, მელორეობის 647, მეცხვარეობის 356, კარაკულის 95, მეცხენეობის 76, მეფრინველეობის 167, მეჭარხლეობის 216 და სხვა. ამავე პერიოდში საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმებში იყო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 3042 ათასი სული, მათ შორის ფური 1164 ათასი. ღორი 3039 ათასი და ცხვარი 19230 ათასი სული.

კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა მეურნეობებმა პარტიის მეოცე ყრილობის შემდეგ. 1958 წლისათვის საბჭოთა კავშირში 6002 საბჭოთა მეურნეობა იყო. მათ შორის: მარცვლეულის 1036, მეჭარხლეობის 208, მებამბეობის 106, სპეციალური ტექნიკური კულტურების (თამბაქოს, მახორკა, ეთერზეთების, ჩაის) 92, მეხილეობა-მევენახეობის, მეხილეობა-მებოსტნეობის, მეკარტოფილეობა-მებოსტნეობის 816, მერძევეობისა და მეხორცეობა-მერძევეობის 1739, მელორეობის 622, მეცხვარეობის 610, მეცხენეობის 72, მეირმეობის 43, მეფრინველეობის 202. და მეშხეცეობის 53. ამ პერიოდში საქართველოს რესპუბლიკაში 117 საბჭოთა მეურნეობა იყო. საბჭოთა მეურნეობების ძირითადი მაჩვენებლები ასეთ სურათს იძლეოდა. მუშების საშუალო წლიური რიცხვი უდრიდა 3835 ათას კაცს, ტრაქტორების 536 ათასს. კომბაინების 153 ათასს. სატვირთო ავტომანქანების 140 ათასს, სათესი ფართობების 52451 ათას ჰექტარს. საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიყიდეს მარცვლეული 21720 ათასი ტონა, ბამბა 584 ათასი ტონა, რძე და რძის პროდუქტები 5024 ათასი ტონა, პირუტყვისა და ფრინველის ხორცი 1526 ათასი ტონა, მატყლი 88 ათასი ტონა და კვერცხი 1095 მლნ. ცალი.

ატარებდნენ რა ცხოვრებაში პარტიის მეოცე და ოცდამეერთე ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ჩვენი ქვეყნის საბჭოთა მეურნეობები ახალ და ახალ წარმატებებს აღწევდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გაფართოებისა და მიწათმოქმედების კულტურის გაუმჯობესების საქმეში.

1963 წლისათვის საბჭოთა კავშირში სულ 9176 საბჭოთა მეურნეობა იყო, რომლის სათესი მიწის ფართობი შეადგენდა 89724 ათას ჰექტარს. საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიყიდეს მარცვლეულის კულტურები 18501 ათასი ტონა, ბამბა 1005 ათასი ტონა, პირუტყვისა და ფრინველის ხორცი 3851 ათასი ტონა, რძე და რძის პროდუქტები 10885 ათასი ტონა, მატყლი 149 ათასი ტონა და კვერცხი 3143 მლნ. ცალი. ამავე პერიოდში საბჭოთა მეურნეობებში მუშაობდა 7109 ათასი მუშა და მათ განკარგულებაში იყო 1131 ათასი პირობითი ტრაქტორი, 252 ათასი კომბაინი და 314 ათასი სატვირთო ავტომანქანა.

დიდი ამოცანები დააყენა ჩვენი ქვეყნის საბჭოთა მეურნეობების წინაშე პარტიის ოცდამეორე ყრილობამ და აქედან გამომდინარე სკკპ ცვ-ის 1965 წლის მარტის და 1966 წლის სექტემბრის პლენუმებმა. ეკვი არ არის, რომ საბჭოთა





მეტრნეობები ღირსეულად გაართმევენ თავს მათ წინაშე მდგომ დინარე ხეობებშიც.

საბჭოთა მეტრნეობების მშენებლობა საქართველოში, ისევე როგორც სხვა სხვა სახის მეტრნეობების დაწყების პირველი დღეებიდანვე დაიწყო. პირველი საბჭოთა მეტრნეობები საქართველოში მოეწყო ნაციონალიზებული მსხვილი საფელისწელო ან კერძო მამულების ბაზაზე.

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ 1921 წლის 6 აპრილს გამოცემულ დეკრეტში მიწის შენახებ ნათქვამი იყო, რომ მსხვილი მამულები, სადაც გაშენებულია სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობისა და მაღალი კულტურის პლანტაციები, სანერგეები, ბაღები, ორანჟერეები, და სხვ. არ იქნება განაწილებული და გადაიქცევა კულტურულ-საჩვენებელ სახალხო მამულებად და გადაეცემათ თავისი სიდიდისა და მნიშვნელობის მიხედვით, სახელმწიფოს ან ადგილობრივი საბჭოების განკარგულებაში.

1921 წელს საბჭოთა ხელისუფლებაზე გადაცემულ ასეთ მეტრნეობათა შორის მნიშვნელოვანი იყო ჩაქვის (დაარსდა 1895 წ.) და სალიბაურის (დაარსდა 1893 წ.) ჩაის მამულები, ვარციხის (დაარსდა 1889 წ.), მუკუზანის (დაარსდა 1888 წ.), ნაფარეულის (დაარსდა 1888 წ.), წინანდლის (დაარსდა 1889 წ.), კარდანახის (დაარსდა 1921 წ.), ალაიანის (დაარსდა 1890 წ.), გიაურ-არხის (დაარსდა 1921 წ.), მანავის (დაარსდა 1921 წ.) და მუხრანის (დაარსდა 1861 წ.) მევენახეობა-მეღვინეობის და სკრის მეხილეობის მამულები (დაარსდა 1921 წ.) და მრავალი სხვა, რომელთა საფუძველზეც 1921—1922 წწ. საქართველოს მიწსახკომის სისტემაში მოეწყო პირველი საბჭოთა მეტრნეობები.

მაშინდელი მეტრნეობების სრული სურათის დადგენა გაძნელებულია, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ მეტი ნაწილი დიდად დაზიანებული და ხშირ შემთხვევაში გაძარცვული იყო. ამიტომ პარტიას და მთავრობას დიდი ღონისძიებების გატარება დასჭირდათ მათი აღდგენისა და სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებისათვის. ამ დროისათვის აღნიშნული მამულები დანიშნულების მიხედვით ძირითადად ორ ჯგუფად იყო დაყოფილი. პირველში შედიოდნენ საცდელი მეტრნეობები სამეცნიერო-კვლევითი, საჩვენებელი და აგროკულტურულ ღირებულებათა მწარმოებელი დანიშნულებით (სათესლე, ჭიშინი პირუტყვის, ხილის ნამყენების და სხვა), ხოლო მეორეში ძირითადად სასურსათო ხასიათის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მომცემი მეტრნეობები. ამავე დროს ამ მამულების დანიშნულება იყო სხვადასხვა დარგის ტექნიკურად უმაღლეს დონეზე დაყენება და მეტრნეობის რაციონალურად მოწყობა. საცდელი საქმის გაუმჯობესება, აგროზოოვეტწმყესების ფართოდ დანერგვა, აგროზოოვეტკოლების მოწყობა და კადრების აღზრდა, მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდა და სხვ.

მთავრობამ 1921—1929 წწ. სხვა სახელმწიფო საწარმოების მსგავსად, საბჭოთა მეტრნეობებიც მოხსნა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან და სამეურნეო ანგარიშზე გადაიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის მეტრნეობებს არ გააჩნდათ სამეურნეო ანგარიშისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამ ღონისძიებამ მაინც გარკვეული პროგრესული როლი შეას-



რულა და შეიძლება ითქვას, რომ დასაწყისი მისცა საბჭოთა მეურნეობებისადმი გეგმიანი გაძღოლის შემოღებას.

საბჭოთა მეურნეობებისადმი გეგმიანი ხელმძღვანელობის მიზნით ეწყობა სხვადასხვა ტრესტი და სინდიკატი. ხდება მეურნეობათა ერთგვარი სპეციალიზაცია და დანიშნულების მიხედვით შესაბამის ტრესტებში მათი გაერთიანება. ხელმძღვანელობის ფორმების ძიების პერიოდში იქმნება საკავშირო მასშტაბით „გლავსოვზოზი“ მიწსახკომთან და „გუბსოვზოზი“ ადგილობრივ ორგანოებთან. შემდგომ წლებში პირველი იცვლება „გოსსელსინდიკატი“. ხოლო მეორე „გუბსოვზოზი“. ამგვარად, თანდათან საბჭოთა მეურნეობები ჯგუფდება საკავშირო დაქვემდებარების „ოგსსელსინდიკატის“ და ადგილობრივი დაქვემდებარების „გუბსელტრესტის“ გარშემო 1922 წლის ბოლოსათვის საკავშირო დაქვემდებარების საბჭოთა მეურნეობები მნიშვნელოვანი ძალა ხდება და საბჭოთა მეურნეობების სისტემაში მისი ხვედრითი წილია 44,9%.

საბჭოთა კავშირის მასშტაბით გატარებულ ამ ღონისძიებების შესაბამისად საქართველოს მთავრობის დადგენილებით მიწსახკომში არსებული სახალხო მამულების განყოფილება 1923 წელს გადაკეთდა სახალხო მამულების სამმართველოდ, ხოლო 1924 წლის ივნისიდან ყველა სახალხო მამული გაერთიანებულ იქნა სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სახალხო მამულების ტრესტებში. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისათვის ტრესტების სისტემაში შემავალ სახალხო მამულებიდან ყველაზე ძლიერი იყო მევენახეობა-მებაღეობის მამულები, რომელთა რაოდენობა 1921 წელს 7-ს აღემატებოდა (მუკუნის, მანავის, ნაფარეულის, მუხრანის, წინანდლის, კარდანახის, ვაქევის, ვარციხის და სხვა). რომლებშიც ვენახის ფართობი უდრიდა 394,5 დესეტინას და ამერიკული ვახის სადედე 62 დესეტინას.

საბჭოთა მთავრობამ, მიწსახკომმა და შესაბამისმა ტრესტებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, რამაც მალე იჩინა თავი მათ სამეურნეო შედეგებში. ამ პერიოდში მარტო „სამტრესტის“ სისტემის საბჭოთა მეურნეობებში მთავრობამ დააბანდა 434,9 ათასი მანეთი, აქედან 45,3 ათასი მანეთი ახალი მეურნეობების მშენებლობაზე. გატარებული ღონისძიებების შედეგად 1920 წელს წარმოებული 48,395 ვედრო ღვინის ნაცვლად 1925 წელს წარმოებული იქნა 60.000 ვედრო ღვინო. 1914 წლის დონესთან შედარებით 1925 წელს ერთ მომუშავეზე შრომის ნაყოფიერება გაიზარდა წინანდლის მამულში დაახლოებით—3-ჯერ, ნაფარეულში—2,8-ჯერ, მუკუნანში—38,9-ჯერ, ვარციხეში—90,8-ჯერ და სხვ.

1925 წლისათვის სახალხო მამულების ტრესტი 28 სოფლის მეურნეობის წამოწყებას აერთიანებდა, აქედან 25 რაიონებში იყო და 3—ქალაქ თბილისში. ეს წამოწყებები ძირითადად 6 ჯგუფად იყოფოდა. I—მევენახეობა-მებაღეობის მამულები და ამერიკული ვახის სანერგეები, II—ჩაის სახალხო მამულები, III—მებაღეობის სახალხო მამულები, IV—მეხილეობის სახალხო მამულები და სანერგეები, V—მეცხოველეობის მამულები და VI—სოფლის მეურნეობის პროდუქციის მომპარაგებელ-გამსალეველი ორგანიზაციები. 1926 წლისათვის



საქართველოში უკვე 27 საბჭოთა მეურნეობა იყო. 21.000 ჰექტარი ფართობით.

საბჭოთა მეურნეობების შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით და მნიშვნელობა ჰქონდა საკ. კ. პ. (ბ) ცკ.-ის 1926 წლის 30 დეკემბრის კავშირის ცაკ.-ისა და სახკომსაბჭოს 1967 წლის 16 მარტის დადგენილებებს „საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მშენებლობის შესახებ“— ახორციელებდნენ რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, 1928 წლისათვის რესპუბლიკაში 53 საბჭოთა მეურნეობა იყო, რომელთა ნათესი ფართობები 1093 ჰექტარს აღემატებოდა, მეურნეობათა ძირითადი ფონდების ღირებულება 9919,0 ათას მანეთს აღემატებოდა; მეურნეობების ფერმებში იყო 4253 ზული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. ამავე პერიოდში მეურნეობებში კაპიტალური მშენებლობის სახით დაბანდებული იქნა 1101,3 ათასი მანეთი. 1925—1928 წლებში საქართველოში შემოვიდნენ იქნა ტრაქტორი 258. გუთანი—6719, კულტივატორი—2732 და სხვა.

საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საკ. კ. პ. (ბ). ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის 11 აპრილის დადგენილებამ „ძველი საბჭოთა მეურნეობების განმტკიცების შესახებ“ და საქართველოს კომპარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებებმა. ამავე წლებში საქართველოს სსრ მიწსახკომთან არსებული სახალხო მაჟლებს ტრესტი რეორგანიზებულ იქნა საბჭოთა მეურნეობების ტრესტად, რომლის ძირითადი ამოცანა იყო: I—საწარმოო ამოცანები, ე. ი. უშუალოდ საბჭოთა მეურნეობებში წარმოების განვითარება და რაციონალური მოწყობა, რომლის მაგალითზე მშრომელ გლეხობას უნდა ესწავლა განსაზოგადებული მეურნეობის გაძლოა და II—აგროკულტურულ ფასეულობათა წარმოება და გლეხური მეურნეობების აგროკულტურული მომსახურება განსაზოგადების პროცესში მათი მასობრივად ჩაბმის მიზნით.

1929 წლის პირველ ნახევარში პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა შეისწავლა საბჭოთა მეურნეობების მუშაობა და მათი როლი მაშინდელ ეტაპზე შემდგენიარად განსაზღვრა: ა) მსხვილი ინდუსტრირებული სოფლის მეურნეობის საწარმოებისა, ბ) გარშემო გლეხურ მეურნეობებზე ენერგეტიკული, ტექნიკური და აგროკულტურული ზემოქმედების ცენტრებისა, გ) საწარმოო ცენტრებისა, რომლებიც ხელს უწყობენ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებას საწარმოო კავშირებში, დ) კვალიფიცირებული სოფლის მეურნეობის კადრების ცენტრებისა. ამ ამოცანების შესრულებას სათავეში ედგა საქართველოს მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობის ტრესტი, „საქართველოს ჩაი“, „სკოტოვოდი“, „საქკომპმეურნეობა“, აფხაზეთისა და აჭარის მიწსახკომები, შესაბამისი სამმართველოები და სხვა.

1930 წლისათვის საქართველოს საბჭოთა მეურნეობები ტრესტების დაქვემდებარების მიხედვით შემდგენიარად ნაწილდებოდა.

საქართველოს მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში შედიოდა 24 მეურნეობა. აფხაზეთის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში—4, აჭარის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში—4, სამხარეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტრესტში—5, „ზაკლოდოვოზმის“ სისტემაში—6, მებაამეობის ამიერკავკასიის ტრესტში—1, საქართველოს ჩაის ტრესტში—9, გა-



ერთიანება „სკოტოვოდის“ ამიერკავკასიის განყოფილებაში—1, „ნოვოტურ-ტრესტის“ ამიერკავკასიის რწმუნებულის სამმართველოში—2, „სვინფოდის“ ამიერკავკასიის განყოფილებაში—7, საბჭოთა მშენებლობის მელთაც ეკუთვნოდა სულ 54603 ჰექტარი მიწა.

საქართველოში ჩაის განვითარების, და კერძოდ, ჩაის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სპ. კ. პ. (ბ). ცვ.-ის 1931 წლის ოქტომბრის დადგენილებას. დაწყებული 1929 წლიდან 1938 წლის ჩათვლით. საქართველოში გაშენებულ იქნა 21711 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, აქედან საბჭოთა მეურნეობებში 5807 ჰექტარი. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1931 წელს—„ლ. მანტრესტის“ შექმნას ციტრუსოვანი კულტურების განვითარების საქმეში. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1933 წლისათვის უკვე ციტრუსების 8 საბჭოთა მეურნეობა იყო 1157 ჰექტარი ფართობით.

ამ წლებში დიდი მუშაობა გაიშალა სხვა სისტემის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის დარგშიც. 1928—1933 წლებში რესპუბლიკაში მოეწყობა 35-მდე ახალი საბჭოთა მეურნეობა. აქედან „მასლოტრესტის“ ხაზით—5, „სვინფოდის“—9, სამტრესტის—10, კომპმეურნეობის—5, მთავარბოლიტსამმართველოს 3 და სხვა. ამ პერიოდში დაახლოებით საბჭოთა მეურნეობებზე ჰოდნოდა მეურნეობის ყველა კატეგორიაში არსებული პირუტყვის სულადობიდან: ცხვარი და თაი 10,6%, ღორი 4,4%, ცხენი 3,2%, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 1,2%. 1933 წლის ბოლოსათვის რესპუბლიკაში საბჭოთა მეურნეობების რაოდენობამ 254 მიაღწია და მათ ეკავათ 47.907 ჰექტარი მიწა, მაგრამ შემდგომ სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების მიზნით, ისინი გამსხვილებულნი იქნენ, რის შედეგადაც მათი რაოდენობა შემცირდა.

შესამჩნევად იზრდებოდა საბჭოთა მეურნეობების ენერგოშეიარაღებაც. 1934 წლისათვის საბჭოთა მეურნეობებში ირიცხებოდა ტრაქტორი ყველა მარკის 641, კომბაინი 126, სატვირთო ავტომობილი 199 ცალი.

საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისა და ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეაარულა სპ. კ. პ. (ბ) ცვ.-ის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1933 წლის იანვრის გაერთიანებული პლენუმის დადგენილებამ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში და საბჭოთა მეურნეობებში პოლიტგანყოფილებების შექმნის შესახებ, რაც თითქმის 1940 წლის მარტამდე არსებობდა.

მეორე ხუთწლეულში საბჭოთა მეურნეობის მშენებლობაში განისაზღვრა ძირითადად ახალი ეტაპი. თუ მანამდე უფრო მეტი ყურადღება საბჭოთა მეურნეობების რაოდენობრივ ზრდას ექცეოდა, რაც უზრუნველყოფდა მეურნეობის უმთავრესად მეურნეობის ექსტენსიურ გადიდებას, ახლა ამოცანა იმაში იყო, რომ მეტი ყურადღება დაგვეთმო თვისობრივი მაჩვენებლებისათვის, გაგვენტკიცებინა მეურნეობები და წარმოება ინტენსიფიკაციის გზით წაგვემართა; ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თუ პირველი ხუთწლეუდი იყო საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ინეთი პერიოდი, როცა მშენებლობა „სივანით“ მიდიოდა, მეორე ხუთწლეუდი იყო პერიოდი, როცა განვითარება „სიღრმით“ მიდიოდა. ამიტომ იყო, რომ ამ პერიოდში რიგი არარენტაბელური საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე მოეწყო კოლმეურნეობები, ან მეზობელ კოლმეურნეობებ-



სა და საბჭოთა მეურნეობებს შეუერთდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით 1936 წელს გაუქმებულ იქნა მის 163 საბჭოთა მეურნეობა; მათ შორის 8 საკავშირო დაქვემდებარებაში გალითად: ალაზნის, ზუგდიდის, გიაურ-არხის, ნორიოს, ბოგდანოვიკის, ახალქალაქის და მრავალი სხვა. რის შედეგად საქართველოში დარჩა 121 საბჭოთა მეურნეობა 161.268 ჰექტარი ფართობით: მათ შორის ჩაის—15, ციტრუსების—16, მევენახეობა-მეღვინეობის — 16, მებეღვინეობის—5, რამის—3, ტექნიკური ტყის კულტურების—4, მარცვლეულის—1, მეცხვარეობის—4, მეცხოველეობის—5, სხვა სუბტროპიკული კულტურების—8, მეცხენეობის—1. სხვადასხვა ორგანიზაციების დამხმარე მეურნეობები—43 და სხვა. გატარებული ღონისძიებების შედეგად 1937 წელს საბჭოთა მეურნეობებში 1935 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 22,3%-ით.

1940 წლისათვის საქართველოში 76 სხვადასხვა სისტემის საბჭოთა მეურნეობა იყო. საბჭოთა მეურნეობებში სათესი ფართობები შეადგენდა 52 ათას ჰექტარს, მათ შორის მარცვლეული კულტურების—3,1, ბოსტნეულის—0,1, საკვები კულტურების—1,9 ათასს ჰექტარს. მეცხოველეობის ფერმებში ირიცხებოდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 2,4 ათასი სული, ღორი, 1,3, თხა და ცხვარი 49,1, ცხენი 3,3. ფრინველი ყოველგვარი 0,1 ათასი. ერთ ფერზე საშუალოდ ჩამოწველად იქნა რძე 1524 კგ. ხოლო ერთ ცხვარზე საშუალოდ მიიღეს 2,8 კგ. მატყლი. საბჭოთა მეურნეობებში ირიცხებოდა 204 ტრაქტორი, და 20 კომბაინი. ამ პერიოდში საბჭოთა მეურნეობებში მუშაობდა 18.215 კაცი. წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულებამ 239,7 მლნ. მანეთს მიაღწია.

დიდი სამაშულო ომის წლებში რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების მშრომელენი ისე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი შეუსვენებლად შრომობდნენ, და უზრუნველყოფდნენ ფრონტისა და ზურგის ინტერესებს.

სამაშულო ომის გმირულად დამთავრების შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ახალი მეურნეობების მშენებლობასთან ერთად არსებული მეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებას, მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის აღმავლობას, წარმოების, ინტენსიფიკაციასა და რენტაბელობას. გატარებული დიდი ღონისძიებების შედეგად 1950 წელს რესპუბლიკაში 80 მსხვილი საბჭოთა მეურნეობა იყო. მათ შორის (მერძეული და მეხორცული მიმართულებით): მერძეეობის—4, მელორეობის—1, მეცხვარეობის—1, მეფრინველეობის—1, ნადირთ-მოსაშენებელი—1, მევენახეობის—19, ციტრუსების—20, ჩაის—21, მებეღვინეობის—5, ტუნგოს — 2, ეთერზეთოვანი—4, საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო მუშების საშუალო წლიური რიცხვი აღემატებოდა 216 ათასს, ტრაქტორები 15 ძალიანზე გადაანგარიშებით 516,2, კომბაინები 23, სატვირთო ავტომობილები 865. ნათესი ფართობი 6,3 ათასი ჰექტარი, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 3,8 ათასი სული, ღორი 1,9, ცხვარი და თხა 44,0 ათასი სული და ფრინველი 25,1 ათასი ფრთას. ამავე წელს საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარა: მარცვლი 0,4 ათასი ტონა, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი 19,0, ციტრუსი 1,3, ტუნგო 1,5, ხილი კურკოვანი და თესლოვანი 4,8; ყურძენი 6,5, ხორცი ცოცხალი წონით 0,4; რძე 1,3 და მატყლი 0,1 ათასი ტონა.



დიდი წარმატებები მოიპოვა რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებმა სსრკ-ის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებების დღემ პერიოდში. 1955 წლისათვის საბჭოთა მეურნეობების რიცხვი შეადგინა 101, ხოლო 1958 წლისათვის 117. მათ შორის: მერძეობის 14, მებოსტნეობა-მერძეეობის — 4, მელორეობის—9, მეცხვარეობის—1; მეფრინველეობის—4, ნადირთმოსამზენებელი—1, მევენახეობის—29, ციტრუსების—18. ჩაის—21, მენილეობის—4. მებილეობა-მებოსტნეობის—3, ტუხვოს—1; ეთერზეთოვანთა—4, ხეილ-სანერგეების—3 და მეჭარხლეობის 1 მეურნეობა.

1958 წელს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო მუშების საშუალო წლიური რიცხვი 36,8 ათასს აღემატებოდა; მეურნეობებში ირიცხებოდა 1224 ტრაქტორი 15-ძალიანზე გაანგარიშებით, 105 მარცვლეულის კომბაინი, 1210 სატვირთო ავტომანქანა, ნათესი ფართობები 39,1 ათასს ჰექტარს აღემატებოდა. მეცხოველეობის ფერმებში იყო: მსხვილფეხა რქაიანი ძირუტყვი 20,6 ათასი სული, ღორი 11,9 ათასი, ცხვარი და თხა 43,2 ათასი სული და ფრინველი 364,4 ათასი ფრთა. საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს მარცვალი 0,5 ათასი ტონა, ჩაი 28,3 ათასი. ციტრუსი 8,6, ბილი 11,3, ყურძენი 14,1, რძე 11,2, ხორცი 2,8 და მატყლი 0,2 ათასი ტონა.

როგორც ვხედავთ, 1950 წლის დონესთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა მეურნეობების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. მიწითმოქმედებისა და მეცხოველეობის წარმოების კულტურა და გადიდდა მათი ხვედრითი წილი სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების საქმეში.

კიდევ უფრო დიდი ამოცანები დაისაბა რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების წინაშე 1958 წლის შედეგად პერიოდში. განსაკუთრებით მას შეეძგა, რაც პარტიის მიერ აღებულ იქნა კერძო ნაბიჯი ქალაქების გარშემო სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების მოწყობის შესახებ. ამას თან ერთოდა ისიც, რომ რიგი ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების ბაზაზე ნებაყოფლობის პრინციპზე მოეწყო საბჭოთა მეურნეობები. პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებების შედეგად 1963 წლისათვის რესპუბლიკაში უკვე 164 საბჭოთა მეურნეობა იყო შემდეგი საწარმოო მიმართულების: ჩაის 21, ციტრუსების 18, დაფნის 1, ტუხვოს 1, ეთერზეთოვანების 5. მევენახეობის და მენილეობა-მევენახეობის 39, მებოსტნეობის 4, მეჭარხლეობის 2, მებილეობა-მებოსტნეობის 6, საბჭოთა მეურნეობა სანერგე 6, მერძეეობისა და მეხორცეობა-მერძეეობის 47, მელორეობის 8, მეცხვარეობის 1, მეკამეჩეობის 1, მეფრინველეობის 8. ნადირთმოსვენების 1. ამავე პერიოდში 1957 წლიდან 1961 წლამდე კოლმეურნეობათა ბაზაზე ორგანიზებულ იქნა 55-ზე მეტი საბჭოთა მეურნეობა, აქედან ძირითადად საგარეუბნო ზონაში მერძეეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობები. კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა მეურნეობებმა, ისე როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგმა, სსრკ-ის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილების შედეგად გამოიღო იქნა რა სუბიექტივიზმი ხელმძღვანელობაში და აღდგენილ იქნა ხელმძღვანელობის ლენინური ნორმები, რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების მშრომელები ყველა ხალხთან ერთად, ახორციელებენ რა ჩვენი პარტიის

XXIII ყრილობის დირექტივებს და სკვპ ცკ-ის 1965 წლის მარტის სესიის გადაწყვეტილებას, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში.



\* \* \*

ძველი საბჭოთა მეურნეობების გაფართოება და ეკონომიურ განმტკიცებასთან ერთად ხალი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა მკაცრი კლასობრივი ბრძოლის პირობებში—განსაკუთრებით მის პირველ ეტაპზე. როგორც პარტიის XVI ყრილობაზე იყო აღნიშნული, ამ ღონისძიებების გატარებას ეწინააღმდეგებოდა პარტიის ოპორტუნისტული ნაწილი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ საბჭოთა მეურნეობებში დაბანდებული ფული „წყალში“ გადაყრილია, ადგილი ჰქონდა აგრეთვე კრიტიკას „მეცნიერთა“ მხრივ, რომელსაც მხარი დაუჭირეს პარტიის ოპორტუნისტულმა ელემენტებმა იმ ნაწილში, რომ თითქოს შეუძლებელი და უაზრო იყოს მსხვილი საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაცია.

პარტიამ, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა რა ყველა ასეთ შეხედულებებსა და „თეორიებს“, პრაქტიკით დაამტკიცა, რომ საბჭოთა წყობილების პირობებში არსებობს ყოველგვარი შესაძლებლობანი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მშენებლობისათვის.

საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის პირველ წლებში ადგილი ჰქონდა მსხვილი ვიწროსპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობების მოწყობას, სადაც ჩქარი ტემპით იზრდებოდა ნათესი ფართობები და პირუტყვის სულადობა. მაგრამ როგორც კი დაიწყო ასეთ მეურნეობებში დამხმარე დარგების განვითარება, სწორი თესლბრუნვების შემოღება, მეცხოველეობის სხვა დარგების წარმოება და ა. შ. უკვე ცნობილი გახდა, რომ ასეთი მეტისმეტად მსხვილი ვიწროსპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობა და რაციონალური ორგანიზაცია ძნელი იყო.

გაკეთდა რა განვლილი მუშაობის ანალიზი პარტიის XXII ყრილობამ აღნიშნა, რომ მიუხედავად საბჭოთა მეურნეობების დიდი რევოლუციური მნიშვნელობისა სოფლის მეურნეობაში, მათი მუშაობა ჯერ კიდევ ვერ ანახლავს სახელმწიფოს მიერ გაწეულ დიდ კაპიტალურ დაბანდებებს. ამ შეუფარდებლობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მარცვლეულის ჩვენი საბჭოთა მეურნეობები მეტისმეტად მსხვილია, დირექტორები თავს ვერ ართმევენ ვეებერთელა საბჭოთა მეურნეობებს, თვით საბჭოთა მეურნეობები ძალიან სპეციალიზებულია, მათ არა აქვთ თესლბრუნვა და საანეულო ფართობი, წარმოდგენილი არაა მეცხოველეობის დარგები, როგორც ჩანს. საჭიროა საბჭოთა მეურნეობების გაწვრილერთეულება და მათი გადაქარბებული სპეციალიზაციის ლიკვიდაცია.

საკ. კ (ბ) ცკ-მა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 1932 წლის 31 მარტს მიიღეს დადგენილება მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების გაწვრილერთეულების შესახებ. ამავე დადგენილებით განსაზღვრული იყო მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების საშუალო სიდიდე შემდეგი მოცულობით: ნეხორცეობის საბჭოთა მეურნეობები—3-დან 8 ათასი სული მსხვილფეხა



რქიანი პირუტყვით; მერძევეობის საბჭოთა მეურნეობები არაუმეტეს 1000 ძროხისა. მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობები უხეშმატყლიანი მშენებლობით არაუმეტეს 50.000 და სანაშენო არა უმეტეს 10.000 სული ცხვარეობის საბჭოთა მეურნეობები ბელორუსიის სსრ-ში არა უმეტეს 400, უკრაინის სსრ-ში და ცენტრალურ შავნიადაგების ოლქში არა უმეტეს 700, ხოლო დანარჩენ რაიონებში არა უმეტეს 1000 დედაღორისა. ამავე დადგენილებით განსაზღვრული იყო, რომ მეცხოველეობის ფერმების სიდიდე საბჭოთა მეურნეობებში საშუალოდ მერყეობდეს 100-დან 200 ძროხამდე და 100-დან 150-მდე დედაღორამდე. საბალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით დაწესდა, რომ მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში განყოფილების ასაღები ფართობი არ აღემატებოდეს 2,25 ათას ჰა-ს.

საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზაციის შემდგომი სრულყოფის საქმეში დიდი როლი შეასრულა საქ. კ. (ბ) ცკ-ის 1947 წლის თებერვლის პლენუმის ისტორიულმა დადგენილებამ, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს მეტისმეტად ვიწრო-სპეციალიზაცია და ცალმხრივი მიმართულება, ამიტომ პლენუმმა დაავალა საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, რომ ძირითად წამყვან დარგებთან ერთად ფართოდ განეცითარებინათ დამხმარე დარგები, რაც საშუალებას მისცემდა უფრო სრულად გამოეყენებინათ ბუნებრივი და ეკონომიური პირობები. დადგენილებაში მტკიცედ იყო განსაზღვრული, რომ ამ მიზნისათვის საჭიროა მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში მოეწყოს ძირითადად (მეცხოველეობა) მეხორცეობის მიმართულების მეცხვარეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა, ხოლო ქალაქების ახლოს მეურნეობებში კი ძირითადად მერძევეობის მიმართულების მეცხოველეობა. ტექნიკური კულტურებისა და სხვა მრავალწლიანი კულტურების საბჭოთა მეურნეობებში შესაძლებლობის მიხედვით მოეწყოს მერძეული მიმართულების მეცხოველეობა. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში ჯოგის ძირითად სახესთან ერთად განეცითარებული იქნას, შესაძლებლობის მიხედვით, პირუტყვის სხვა სახეებიც. მარცვლეულის წარმოება და საკვებმომპოვება.

საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზაციის სრულყოფისა და შემდეგი განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომპარტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილებამ და პარტიის XXII და XXIII ყრილობების ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა. მეურნეობების წინაშე განსაკუთრებით დიდი შესაძლებლობანი გადაიშალა სკკპ ცკ-ის 1965 წლის მარტის პლენუმის ისტორიული დადგენილებების შემდეგ. პარტიისა და მთავრობის 1967 წლის დადგენილება საბჭოთა მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შესახებ კიდევ უფრო ახალ პერსპექტივებს უსახავს საბჭოთა მეურნეობებს სპეციალიზაციისა და დარგთა სწორი შეთანაწყობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

როგორც ცნობილია, პარტიის პროგრამა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის დარგში სხვა ამოცანებთან ერთად გულისხმობდა სოფლის მეურნეობის დარგთა და კულტურათა ისეთ სწორ გაადგილებას, ისეთ სპეციალიზაციას, რაც უზრუნველყოფდა თვითეული ოლქის, მხარისა და რესპუბ-



ლიკის ბუნებრივ-ეკონომიური პირობების მთლიანად გამოყენებას, მარცხენა-  
ულსა და მეცხოველეობასთან ერთად შრომატევადი სპეციალურ ტექნიკური  
კულტურის ფართოდ განვითარებას და ამის საფუძველზე სოფლის მეურნეობის  
საერთო აღმავლობას.

საერთოდ სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციალიზაცია ისტორიულად  
განპირობებული პროცესია—აღნიშნავს ს. გ. კოლესნევი,—რომელიც ვითარდებ-  
და საზოგადოების მწარმოებლური ძალების განვითარებასთან ერთად, ამა თუ  
იმ ქვეყანაში, რაიონში, ოლქში, მხარეში, რესპუბლიკაში, ჩამოყალიბებული  
სასოფლო-სამეურნეო საწარმოო სპეციალიზაცია და გაადგილება ასახავს  
ეკონომიური და ბუნებრივი პირობების ზეგავლენას, ამასთან ცალკეული ფაქ-  
ტორების ზემოქმედება ამა თუ იმ ისტორიულ ეტაპზე უცვლელი როდი რჩება.

ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს საქართველო, სადაც რევოლუციამდე  
მიუხედავად ხელსაყრელი პირობებისა წარმოდგენილი არ იყო ძვირფასი სუბ-  
ტროპიკული და ტექნიკური კულტურების წარმოება, რაც ფართოდ განვითარ-  
და მხოლოდ დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როგორც დიდ ქართვე-  
ლი მწერალი ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, — მტერთაგან და უგზობისაგან შინ  
ჩაკეტილი ქართველობა იძულებული იყო ის მოეყვანა, ის ემუშავნა სხვის მი-  
წაზე, რასაც დღეს უფრო იაფად სხვაგან ვიყიდით, სხვიდან მოვიტანთ. იგი  
ძვირფასი ჭირნახული, რომლის მოყვანასაც, ასე ხელს უწყობს ჩვენებური და-  
ლოცვილი ჰავა და მიწა, მაშინ ფიქრადაც მოსასვლელი არ იყო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის რაციონალურ სპეციალიზაციას  
მხოლოდდამხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეძევა  
ჭედიანი ყურადღება, რამაც საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაშიც პოვა  
თავისი გამოხატულება. რესპუბლიკაში ამჟამად არსებული საბჭოთა მეურნეო-  
ბები თავისი მიმართულებისა და სპეციალიზაციის მიხედვით შემდეგნაირად შე-  
იძლება დაეაჯგუფოთ:

I. მეცხოველეობის მიმართულების საბჭოთა მეურნეობები, რომელიც და-  
ახლოებით მთელი საბჭოთა მეურნეობების 25,8 ც-ს შეადგენს. აქ ძირითადად  
წარმოდგენილია: 1. მერძეეობის, 2. მენორცეობა-მერძეეობის, 3. მერძეეო-  
ბა-მებოსტნეობის, 4. მებოსტნეობა-მერძეეობის, 5. მელორეობის, 6. მეცხვა-  
რეობის, 7. მეფრინველეობის, 8. მეცხენეობის, და 9. ნადირთმოშენების.

II. მევენახეობის, მებაღეობის, მებაღეობა-მევენახეობის და მევენახეობა-  
მებაღეობის საბჭოთა მეურნეობები. მათი ხვედრითი წილი მთელი საბჭოთა მე-  
ურნეობების 17,7%-ს უდრის.

III. მეჩაიეობის, მეჩაიეობა-მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობები, რომ-  
ლებზეც მოდის 13,9%.

IV. სუბტროპიკული კულტურების, ტუნგოსა და ციტრუსების, დაფნისა  
და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობები, რაც მთელი საბჭოთა მეურნეობების  
თითქმის 11,4-ს შეადგენს.

V. ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობები, რომელთა ხვედ-  
რითი წილი უმნიშვნელოა.

VI. მეპარბლეობის საბჭოთა მეურნეობები.

VII. ხეხილისა და ვაზის სანერგე საბჭოთა მეურნეობები.



როგორც ვხედავთ, რესპუბლიკაში ძირითადად წარმოდგენილია მეურნეობის საბჭოთა მეურნეობები და მრავალწლოვან კულტურათა საბჭოთა მეურნეობები, რაც ძირითადად რესპუბლიკის სოფლის საწარმოო მიმართულებით არის გაპრობებული.

საბჭოთა მეურნეობების მთელ წარმოებაში სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობის ხვედრითი წილი ასეთ სურათს იძლევა: ყურძენი და ხილი—77.1%, ბოსტნეული—49.0%, რძე—54.4%, ღორის ხორცი —44.3%, ძროხეულის ხორცი—64.7%, ფრინველის 90%. მათზე მოდიოდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მთელი სულადობის 69.5%, ღორის 40.5%, ცხვრის 22.2%, ფრინველის 92.8%.

1963 წლისათვის რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში წარმოების ძირითადი ფონდების ღირებულება უდრიდა 249,4 მლნ. მანეთს. მათ შორის შენობა-ნაგებობაზე მოდიოდა, 69.1, მანქანა-იარაღებზე 10.6, ტრანსპორტზე 4.5, მუშა-პირუტყვზე 1,8 და პროდუქტიულ პირუტყვზე 17,2 მლნ. მანეთი.

რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების დაჯგუფება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის მიხედვით, ასეთია: 1—99 სულამდე ყავდა მეურნეობების 28,6%-ს, 100—299 სულამდე 7,5%-ს, 300—599 სულამდე 14,9%-ს, 600—999 სულამდე—9,8%-ს, 1000—3000 სულამდე 24,2%-ს და 3000 სულს ზევით 3,7%-ს.

ფურცების სულადობის მიხედვით 1964 წლის პირველი იანვრისათვის მთელ საბჭოთა მეურნეობებში 1—49 სულამდე ფური ყავდა მეურნეობათა მხოლოდ 11,2%-ს, 50—99 სულამდე—8,7%-ს, 100—299 სულამდე—21,7%-ს, 200—499 სულამდე—6,2%-ს, 500—1000 სულამდე—19,2%-ს და 1000 სულს ზევით მხოლოდ 1,2%-ს. ღორების სულადობის მხრივ კი ამავე პერიოდში სურათი ასეთი იყო: 1—99 სულამდე ყავდა მეურნეობათა 6,8%-ს, 100—199 სულამდე 11,2%-ს, 200—499 სულამდე 12,6%-ს, 500—999 სულამდე 8,1%-ს, 1000 — 3000 სულამდე 6,8%-ს და 3000 სულს ზევით 1,3%-ს.

ცხვრისა და თხის სულადობის მიხედვით სურათი ასეთი იყო: 1—99 სულამდე ყავდა საბჭოთა მეურნეობების 1,9%-ს, 100—499 სულამდე 1,2%-ს, 500—999 სულამდე 2,5%-ს, 1000—2999 სულამდე 9,9%-ს, 3000—9999 სულამდე 14,8%-ს, 10.000—20000 სულამდე 2,5%-ს და 20000 სულს ზევით 1,2%-ს.

1962 წლისათვის საშუალოდ ერთ საბჭოთა მეურნეობაზე მოდიოდა 543 მომუშავე, 3321 ჰა სოფლის მეურნეობაში სისმარი მიწა, 1921 ჰა ნათესი ფართობი, 27,30 ტრაქტორი 15-ძალიანზე გადაყვანით, 737 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის ფური 211, ღორი 304 და ცხვარი 2021 სული.

გადიდებული ამოცანები ისახება რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების წინაშე მიმდინარე ხუთწლედში, რაც მოითხოვს მათი საწარმოო სპეციალიზაციის შემდგომ გაუმჯობესებასა და სრულყოფას.

**დასკვნები**

1. საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე დაიწყო და იგი მიმდინარეობ-



და იმავე პრინციპით, როგორც საერთოდ საბჭოთა კავშირში, ოღონდ აღდგენა-  
რივი თავისებურებისა და პირობების გათვალისწინებით.

2. საბჭოთა მეურნეობებმა უაღრესად დიდი როლი შეასრულეს საქართვეპო-  
ლოში წვრილგლეხური მეურნეობების სოციალისტური წარმოების წესზე გა-  
დაყვანის საქმეში.

3. საქართველოში საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საქმეში შეიქ-  
ლება გამოვყოთ შემდეგი პერიოდები:

ა) 1921—1933 წწ., როცა მეურნეობები იზრდებოდა რიცხობრივად, მეტი  
ყურადღება ექცეოდა მის რაოდენობრივ მხარეს, ხოლო მატერიალურ-ტექნიკურ  
ბაზას ნაკლები. ამასთან ჩამორჩებოდა ხარისხობრივი და თვისობრივი მხა-  
რე

ბ) 1933—1940 წწ., როცა მთავარ ამოცანად დაისახა საბჭოთა მეურნეო-  
ბების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, ხარისხობრივი და თვისობ-  
რივი მაჩვენებლების გაუმჯობესება; მეურნეობის კონცენტრაცია და ინტენსი-  
ფიკაცია.

გ) 1941—1945 წწ., როცა ყველაფერი ჩაყენებული იყო გერმანელ დამ-  
პყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურში.

დ) 1945—1950 წწ., როცა მიმდინარეობდა აღდგენითი სამუშაოები და სა-  
მეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცება.

ე) 1951—1958 წწ., როცა უმთავრესი ყურადღება ექცევა საბჭოთა მეურ-  
ნეობის ეკონომიკის მძლავრ აღმავლობას, მოსავლიანობისა და პროდუქტიუ-  
ლობის გაზიარებას, შრომის ნაყოფიერების, რენტაბელობის, თვითღირებულე-  
ბის, მატერიალური დაინტერესების საკითხების სწორ გადაწყვეტას.

ვ) 1958—1963 წწ., როცა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ახალი საბჭოთა  
მეურნეობების მშენებლობა და თავს იჩენს სუბიექტივიზმი, რის გამოც ნა-  
წილობრივ მოისუსტებს ბრძოლა საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო-ორგა-  
ნიზაციული განმტკიცებისათვის.

ზ) 1964 წლის შემდგომი პერიოდი, როცა ძირითად ამოცანად ისახება არ-  
სებელი საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის ყოველმხრივი განმტკიცება, ხო-  
ლო ახალი მეურნეობების მოწყობა წარმოებს მხოლოდდამხოლოდ წინასწარ  
შესწავლისა და მეცნიერული დასკვნების საფუძველზე.

4. რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზაცია ძირითადად  
სწორადაა გადაწყვეტილი, მაგრამ მოითხოვს ზოგიერთი კორექტივის შეტანას  
და გაუმჯობესებას.

5. საქიროა რესპუბლიკაში დადგინდეს საბჭოთა მეურნეობების რაციონა-  
ლურ-ობტიმალური სიდიდე, რადგან ჯერ კიდევ არის მეტისმეტად პატარა ან  
დიდი საბჭოთა მეურნეობები, რაც გავლენას ახდენს მათ რენტაბელურ მუშაო-  
ბაზე.

6. აუცილებელია ყველა მეურნეობისათვის საორგანიზაციო მოწყობის  
პერსპექტიული გეგმის შედგენა.

(Резюме)

В Грузинской ССР продукцию растениеводства и животноводства производят 175 совхозов.

В последние десять лет в Грузии было создано 93 совхоза, в том числе 70 совхозов созданы на базе колхозов. В этих совхозах значительно повысился уровень производства продукции сельского хозяйства. Им руководит четыре специализированных треста и управление производства птицеводства Грузии, которые входят в систему Министерства сельского хозяйства Грузинской ССР.

В совхозах производство стоит на современном уровне. Они обеспечены техникой, семенами, удобрениями, химикатами и агрохимическими картографами. Здесь работают специалисты высшего и среднего образования.

Из года в год все новые и новые совхозы становятся на рентабельный путь. 49 совхозов треста чая и субтропических культур, работают с большой прибылью, рентабельны почти все совхозы виноградарства и плодоводства.

Достаточно отметить, что в настоящее время на долю совхозов республики приходится из общего производства чая 18,6%, винограда—20,6%, цитрусов—33,7%, зерна—32,9%, сахарной свеклы—25,1% и овощей—47%.

Совхозы представляют хозяйства социалистического типа, которые исходят и имеют основу научных данных классиков марксизма-ленинизма, о строительстве социалистического общества.

Строительство совхозов есть обязательное условие для того, чтобы победившая диктатура пролетариата смогла мелкое крестьянское хозяйство перевести на рельсы социалистического производства и таким образом заставить его последовать за промышленным социалистическим хозяйством в деле коммунистического строительства.

Строительство совхозов началось в первые дни после победы великой социалистической революции и этому большое значение придавал В. И. Ленин и Коммунистическая партия Советского Союза.

Перед совхозами стояли следующие главные задачи:

1. убедить крестьянство в преимуществе крупного социалистического производства сельского хозяйства, сравнительно перед мелким, крестьянским индивидуальным хозяйством;

2. на базе увеличения плодотворного труда достигнуть резкого увеличения производства сельскохозяйственных продуктов;



3. широко используя новейшие достижения науки и техники оказывать серьезную помощь крестьянским хозяйствам;

4. в сельском хозяйстве внедрить передовые методы и способы, оказывать помощь крестьянским хозяйствам и показывать преимущества крупного социалистического хозяйства;

5. шире проводить культурно-просветительную и политическую работу, как в совхозах, так и среди крестьянских масс. Подготовка сельскохозяйственных кадров и т. д.;

6. рациональная эксплуатация средств производства, умственная организация всех отраслей хозяйства, производства высококачественной и дешевой продукции населения и сырья для производства, достигнуть рентабельности и прочие;

7. производить сортовые семена, посадочного материала, скота и других производителей и передачи крестьянским хозяйствам. Проведение агрозооветеринарных мероприятий и повышение уровня агротехники крестьянских хозяйств;

8. устроить прокат машин-оборудования и использования техники, организации базы индустриальной переработки продукции как собственного, так и крестьянского хозяйства;

9. совхозы большую роль сыграли в деле ликвидации кулаков, как класса, на основе сплошной коллективизации крестьянских хозяйств;

10. совхозы вместе с колхозами имеют большое значение в деле дальнейшего увеличения с.-х. продуктов в нашей стране.

Строительство совхозов в Грузии началось с первых дней после установления Советской власти и продолжалось таким принципом как по всему Советскому Союзу, учитывая местные особенности и условия.

Совхозы Грузии решили большую задачу в деле мелкого крестьянского хозяйства и перехода на рельсы социалистического производства.

В строительстве совхозов Грузии можно выделить следующие периоды:

1. 1921—1933 годы, когда совхозы увеличивались численностью, большое значение придавалось количеству совхозов и сравнительно менее материально-технической базе, отставала качественная сторона;

2. 1933—1940 годы, когда главной задачей было укрепление материально-технической базы совхозов, укрепление качественных показателей-концентрация и интенсификация хозяйства;

3. 1941—1945 годы, период когда вся работа совхозов была направлена на службу против немецких захватчиков;

4. 1945—1950 годы, проведение восстановительной работы и хозяйственно-организационной укрепительный период;

5. 1951—1958 годы, период когда на первом плане стоит усиление и подъем экономики совхозов, увеличение урожая и продуктивности. Исключительное внимание уделяются плодотворности труда, рентабельности,



себестоимости и правильному решению материальной заинтересованности:

6. 1958—1963 годы, период когда большим темпом идет строительство новых совхозов, показывает себя субъективизм и частичная борьба за укрепление совхозов, хозяйственно-организационного устройства:

7. период после 1964 года, когда в основном намечается укрепление экономики существующих совхозов и строительство новых совхозов производится только по предварительному изучению и научной основе.

Специализация совхозов Грузии в основном решена правильно, но требуется внести некоторые коррективы и улучшения.

В совхозах Грузии должны установить рационально-оптимальные величины хозяйств, так как еще имеются очень мелкие и очень большие совхозы, влияющие на их рентабельность.

Обязательным является составление для всех хозяйств, перспективного плана организационного устройства.

---



დოკ. მ. მებრძოლი

### გეომეტრიული კონფიგურაციების გამოყენება პრესკეპტივაში

არქიტექტურული პრესკეპტივების აგებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათზე ჩრდილების დატანას, რადგან ჩრდილი მოცულობას უფრო ნათელს, რელიეფურს და სივრცეში ადვილად წარმოსადგენს ხდის. დაცემული ჩრდილების აგება კი პრაქტიკული სინელებით ხასიათდება, რადგან ხშირად საჭირო ხდება საკმაოდ გრძელი სახაზავის ან სპეციალური კონსტრუქციის რეისინის გამოყენება ნახაზის საზღვრებიდან შორს მდებარე წერტილებში გამავალი წრფეების ასაგებად. ამასთან დაკავშირებით ისმება საკითხი: გატარდეს დაცემული ჩრდილების აგებისათვის საჭირო წრფეები ისე, რომ არ დაგვირდეს სპეციალური ხელსაწყოების გამოყენება და ზედმეტი სამუშაო ფართობი; ამავე დროს, — აგება მოსახერხებელი იყოს ნახაზის თავისუფალ მონაკვეთზე, არქიტექტორი — პროექტანტი შეზღუდული არ იყოს აგების თავისებურებებით.

პრესკეპტივაში ჩრდილების აგებისას, ზემოთ მოყვანილ პრაქტიკულ სინელებს ძირითადად წარმოშობს სინათლის სხივების თავმოყრის წერტილისა და, ზოგ შემთხვევაში, მისი ფუძის დიდი დაშორება ნახაზის ფარგლებიდან. ამიტომ, ჩვენი ძირითადი მიზანია იქნება ამ წერტილებში გამავალი წრფეების აგება, თვით ამ წერტილების დაუხმარებლად. დასმული ამოცანის გადასაწყვეტად ვისარგებლოთ ზოგიერთი გეომეტრიული კონფიგურაციის ცნობილი თვისებებით.

როგორც ვიცით, განსაზღვრული რაოდენობის წერტილებითა და წრფეებით შედგენილ სისტემაში, რომელსაც კონფიგურაციას უწოდებენ, ერთი წერტილი ან ერთ-ერთი წრფე ავტომატურად მიიღება. კონფიგურაციის ეს თვისება ჩვენი ამოცანის ამოხსნის საშუალებებს იძლევა: საჭიროა, მხოლოდ ჩრდილების აგების დროს შერჩეულ იქნას სისტემა შესაფერ ადგილზე, ისე, რომ აგებას არ დასჭირდეს დიდი ადგილი და რაც მთავარია, დიდი დრო; აგების დროის მინიმუმამდე შემცირება დამოკიდებულია საჭირო კონფიგურაციების ცოდნასა და მოხერხებულ შერჩევაზე, რაც როგორც შემდეგ დავინახავთ, პრაქტიკულად დიდ სინელებთან არ არის დაკავშირებული.

განვიხილოთ კონფიგურაცია (7<sub>ა</sub>), რაც ნიშნავს, რომ სისტემა შედგენილია შვიდი წრფისა და შვიდი წერტილისაგან; მათგან თვითუფ წრფეზე

ძვეს სამი წერტილი და თვითველ წერტილზე გადაის სამი წრფე. შეიძლება  
 ნოთ კონფიგურაციის სქემა სამი პირობის დაცვით:

1. თვითველი წრფე უნდა შეიცავდეს სხვადასხვა ნუმერაციის წერტილებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთ წრფეზე გამოვა ნაკლები წერტილები.


2. ორი წრფე არ შეიძლება შეიცავდეს ერთსა და იმავე ნუმერაციის ორ წერტილს, წინააღმდეგ შემთხვევაში წრფეები ერთმანეთს დაემთხვევა.

3. სქემაში ყოველი რიცხვი მოცემული უნდა იყოს მხოლოდ სამჯერ, რადგან ყოველ წერტილზე უნდა გაიაროს სამმა წრფემ [2].


სქემა შეიძლება წარმოვადგინოთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის სახით, სადაც სვეტების რიცხვი წრფეა რაოდენობის ტოლია და თვითველ სვეტში სამი წერტილის შესაბამისი რიცხვი ჩაიწერება.

(1)	(2)	(3)	(4)	(5)	(6)	(7)
1	1	1	2	3	2	3
2	4	6	4	4	5	5
3	5	7	6	7	7	6

თუ ამ სქემის საშუალებით ავაგებთ კონფიგურაციას (ნახ. 1) დავრწმუნდებით, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ( $7_a$ ) კონფიგურაციის აგება, რადგანაც მე-(3) სვეტში ჩაწერილი 1, 6 და 7 წერტილები ერთ წრფეზე აღარ მდებარეობს. (7) წრფეზე წარმოიშვა დამატებითი 6' წერტილი. აღნიშნული 6' წერტილი (7) წრფეზე მდებარე 3, 5 და 6 წერტილების მიმართ მეოთხე პარამონიული წერტილია და ამიტომ ( $7_b$ ) კონფიგურაცია, როგორც აღინიშნა, განუხორციელებელია, რადგან ოთხი პარამონიული წერტილიდან არ შეიძლება დაემთხვეს ერთი რომელიმე მეორეს.



ნახ. 1.



ნახ. 2.

გვემიღური გეომეტრიიდან ცნობილია, რომ ერთ წრფეზე მდებარე ყოველ სამ წერტილს შეიძლება მოენახოს მხოლოდ ერთი მეოთხე პარამონიული წერტილი, ე. ი. თუ (7) წრფეზე 3, 5 და 6 წერტილები თავიდანვე შერჩე-





ლია, როგორც არ უნდა წარმართოთ აგება, რ' წერტილს ყოველთფეხ-გვერთ-  
სა და იმავე ადგილზე მივიღებთ. პარმონიული წერტილების ასრუბ-  
ჩენი ამოცანის ამოხსნისათვის გამოვიყენოთ. სახელდობრ, სინათლის სხივე-  
ბი ავაგოთ მათი თავმოყრის  $S$  წერტილის გამოუყენებლად.

ამისათვის შეგვიძლია შემდეგი თანმიმდევრობა ავირჩიოთ: გავატაროთ  
 $S_0$  წერტილზე ვერტიკალური წრფე (ნახ. 2), ავიღოთ მასზე კიდევ ორი  
 $F$  და  $C$  წერტილი და მოვინახოთ  $F, S_0$  და  $C$  წერტილებისათვის ზეოთხე პარ-  
მონიული წერტილი, რისთვისაც  $C$  წერტილზე გავატაროთ ორი ნებისმიერი  
მიმართულების  $CD$  და  $CA$  სხივი; ერთერთზე ავიღოთ  $B$  წერტილი და შე-  
ვუერთოთ  $F$  წერტილს.  $BF$  წრფისა და  $CA$  წრფის გადაკვეთის  $A$  წერტილი  
 $S_0$ -თან შევეერთოთ  $CB$  სხივის  $D$  წერტილში გადაკვეთამდე.  $DF$  და  $CA$   
წრფეები  $E$  წერტილში იკვეთება.  $ABDE$  ოთხკუთხედის  $BE$  დიაგონალი  $S_0C$   
წრფესთან გადაკვეთაში მოგვცემს  $C, S_0$  და  $F$  წერტილების პარმონიულ  $S$   
წერტილს.

ვთქვათ, საჭიროა გატარდეს 1 და  $S$  წერტილებზე გამავალი სხივი. ამი-  
სათვის 1 და  $C$  წერტილზე გავატაროთ სხივი  $1C$ ;  $C$  წერტილზე გავატაროთ  
კიდევ ერთი ნებისმიერი მიმართულების  $C2$  სხივი (სასურველია გატარებული  
სხივები ერთმანეთთან ადგენდნენ მცირე კუთხეს). შევეერთოთ 1 წერტილი  
 $F$ -თან და  $C2$  სხივის გადაკვეთაზე მივიღებთ 2 წერტილს.  $S_02$  წრფე  $C1$   
სხივს 7 წერტილში კვეთს. მიღებული წერტილი  $F$  წერტილს შევუერთოთ.  
 $F3$  წრფე  $C2$  სხივს მე-4 წერტილში კვეთს. 1—4 წრფე აუცილებლად მე-  
ოთხე პარმონიულ წერტილში გაივლის.

აგების გამართებების მიზნით შესაძლებელია  $C$  წერტილი  $S_0F$  წრფეზე  
გადავადგილოთ უსასრულობამდე; მაშინ მასზე გამავალი სხივები  $SS_0$ -ის პა-  
რალელური იქნება, რაც შედარებით მოხერხებულს გახდის გრაფიკულ აგებას  
(ნახ. 3). ამ შემთხვევაში  $SS_0$  წრფეზე აღებულია მხოლოდ ორი  $F$  და  $S_0$   
წერტილი. აგება კი ანალოგიურად შესრულდება, ე. ი. ნებისმიერ 1 წერ-  
ტილზე გავატაროთ ვერტიკალური 1—7 წრფე და ავიღოთ მასზე ნებისმიერი  
მე-7 წერტილი, რომელიც  $S_0$ -თან შევეერთოთ. ამავე დროს, 1 და მე-7  
წერტილები შევეერთოთ  $F$  წერტილს. მე-2 წერტილზე ( $7, S_0$ -ისა და  $1F$ -ის  
თანკვეთა) გავატაროთ ვერტიკალური 2—4 წრფე  $7F$ -ის გადაკვეთამდე მე-4  
წერტილში. 1—4 წრფე საძიებელია. ასეთივე წესით შეგვიძლია გავატაროთ  
 $S$  წერტილში გამავალი სხივები ნებისმიერი წერტილიდან, თუმცა პრაქტიკუ-  
ლად ეს წესი ბევრი ხაზების გატარებისას ჰკარგავს ეფექტურობას.

განვიხილოთ შემდეგი კონფიგურაცია, რომელიც ლიტერატურაში ცნო-  
ბილია ბრიანშონ-პასკალის კონფიგურაციის სახელით. კონფიგურაცია (9ა)  
პრაქტიკულად ადვილი განსახორციელებელია სქემის საშუალებით, რომელსაც  
აქვე მოვიყვანთ. მისი შემადგენელი ნებისმიერი წერტილი ყოველთვის ერთსა  
და იმავე ადგილზე მოთავსდება, თუ რასაკვირველია, სისტემის დანარჩენი  
წერტილები ერთ განსაზღვრულ ადგილზე მდებარეობენ.


როგორც ცნობილია, ბრიანშონის თეორემა ასეთი შინაარსისაა:  
„ყოველ ექვსგვერდაში, რომლის გვერდები წრფეთა მეორე რიგის კონას ეკუ-  
თვნიან, მოპირდაპირე წვეროთა წვეილების შემაერთებელი სამი წრფე გადის




ერთსა და იმავე წერტილზე (ბრიანშონის წერტილი) [1]; ხოლო მეორე მხრივ დიდი თეორემა, რომელიც პასკალს ეკუთვნის, ასეთ შინაარსს შეიცავს: თუ ორე რიგის მრუდში ჩახაზული ყოველი ექვსკუთხედის მოპირდაპირე გვერდების თანკვეთის სამი წერტილი ერთსა და იმავე წრფეზე მდებარეობს (პასკალის წრფე) [1]. ორივე თეორემის შემთხვევაში სისტემა შეიცავს 9 წერტილსა და 9 წრფეს. მათგან თვითეული წერტილზე გადის სამი წრფე და თვითეულ წრფეზე სამი წერტილი მდებარეობს. რათა ნათელი გახდეს (9<sub>ა</sub>) კონფიგურაციის ეს თვისებები — ბრიანშონისა და პასკალის თეორემების თავისებურებანი, შევადგინოთ სქემა ამ კონფიგურაციისათვის და ავავოთ იგი ცხრილის სახით იმავე პირობების დაცვით, რომლებიც მხედველობაში იყო მიღებული (7<sub>ა</sub>) კონფიგურაციის სქემის შედგენისას.

(1)	(2)	(3)	(4)	(5)	(6)	(7)	(8)	(9)
1	1	1	2	2	3	3	4	5
2	4	6	4	7	6	5	6	7
3	5	7	8	9	8	9	9	8

ამ კონფიგურაციის ასაგებად ავიღოთ ნებისმიერი მე-8 წერტილი სხივებით (4), (6) და (9) და მე-9 წერტილი სხივებით: (5), (7) და (8); (ნახ. 4) გატარებული სხივების ურთიერთგადაკვეთა გვაძლევს 2, 3, 4, 5, 6, 7, წერტილებს, რომელთა გამოყენებით გავატაროთ დანარჩენი სამი სხივი: შევავროთ მე-2 წერტილი მე-3-თან, მე-4 წერტილი მე-5-თან და მე-7 წერტილი მე-6-თან. როგორც კონფიგურაცია (9<sub>ა</sub>)-ის სქემაშია მოცემული,



ნახ. 3.



ნახ. 4.


მე-7 და მე-6 წერტილებს შემაერთებელ (3) წრფეზე უნდა მოხდეს 1 წერტილი. ამ შემთხვევაში 1 წერტილის მოსანახად საკმარისი იყო 2—3 ან 4—5 წრფის გატარება და 7—6 წრფე მასთან გადაკვეთაში მოგვეცემა საძიებელ წერტილს.

განხილული (9<sub>ა</sub>) კონფიგურაცია საშუალებას გვაძლევს ნებისმიერი წერტილიდან გავატაროთ წრფე, თუ მოცემულია S წერტილში გამავალი ორი სხივი; პირველი ორი სხივის გატარება კი შესაძლებელია ჰარმონიული წერტილების საშუალებით, ან უფრო მარტივი გზით, დეზარგის კონფიგურაციის საფუძველზე, რომელზედაც შემდეგ გვექნება მსჯელობა.




მოცემულია ორი  $A$  და  $B$  სხივი და შევთანხმდეთ, რომ ისინი 1 წერტილში იკვეთებიან (ნახ. 5). მოითხოვება გატარდეს ამ წერტილშიდან კონის წრფეთა კონა იმ პირობით, რომ 1 წერტილი პრაქტიკულად მოხერხდეს.  $A$  და  $B$  სხივებს გარეთ ავიღოთ ნებისმიერი მდებარეობის მე-8 და მე-9 წერტილები. თუ გვინდა, რომ ნებისმიერ 3 წერტილზე გადაიდეს საძიებელი კონის ერთ-ერთი სხივი, ამისათვის მე-3 წერტილი მე-8-თან და მე-9-თან შევავერთოთ. 3—9 წრფის  $B$  სხივთან გადაკვეთის მე-5 წერტილი შევავერთოთ მე-8-თან; ასევე 3—8 წრფის  $A$  სხივთან გადაკვეთის მე-6 წერტილი შევავერთოთ მე-9 წერტილთან. 5—8 წრფისა და  $A$  სხივის გადაკვეთის მე-7 წერტილი შევავერთოთ მე-9-თან და 6—9 წრფის  $B$  სხივთან გადაკვეთის მე-4 წერტილი მე-8-თან. 7—9 და 8—4 წრფეების გადაკვეთის მე-2 წერტილის 3 წერტილთან შემაერთებელი წრფე გაივლის 1 წერტილში, რომელიც ჩვენს მიერ წინასწარ იყო მიღებული  $A$  და  $B$  სხივების გადაკვეთის წერტილად.

ახლა განვიხილოთ ისეთი ამოცანა, როდესაც მოცემული მე-4 წერტილი მოთავსებულია მოცემული სხივების გარეთ (ნახ. 6). მე-4 წერტილზე



ნახ. 5.



ნახ. 6.

ნებისმიერი 4—6 წრფე გავატაროთ, რომლის ნებისმიერ მე-9 წერტილზე კიდევ ორი, 9—3 და 9—2 წრფე გავატაროთ (შევნიშნოთ, რომ მე-9 წერტილი განსხვავებული უნდა იყოს მე-4, მე-6-ე და 4—6 და  $A$  წრფეთა გადაკვეთის წერტილებიდან). 4—2 და 3—6 წრფეთა გადაკვეთის მე-8 წერტილზე და მე-7 წერტილზე 7—8 წრფე გავატაროთ 3—9 წრფის მე-5 წერტილში გადაკვეთამდე. 4—5 წრფე გაივლის 1 წერტილში (ბრიანშონის წერტილი), რაც ჩვენი ამოცანის ძირითად პირობას შეადგენდა.

დებარავის ცნობილი დებულების თანახმად, თუ ორი სამკუთხედი პერსპექტიულია წერტილის მიმართ, მაშინ ეს სამკუთხედეები პერსპექტიულია ერთი გარკვეული წრფის მიმართაც, და შებრუნებით. ამ დებულების შენაარსი მე-7 ნახაზზეა წარმოდგენილი ე. წ. დებარავის კონფიგურაციის სახით. როგორც ვიცი, ამ კონფიგურაციას შეესაბამება სიმბოლო (10<sub>3</sub>). [1].

განვიხილოთ აღნიშნული კონფიგურაციის ზოგიერთი თვისება: იგი შეიცავს ათ წერტილს: ორი თანადი სამკუთხედის ექვს წვეროს, სამკუთხე-




დების პერსპექტივის ცენტრს და სამკუთხედების თანადი გვერდების გადაკვეთის სამ წერტილს. ამავე დროს, იგი შეიცავს ათ წრფეს, რომლებსაც ვხვდებით დის გვერდებს, სამკუთხედების თანადი წვეროების შემაერთებებისას და პერსპექტივის ღერს. როგორც ამ კონფიგურაციის სიმბოლო (10<sub>3</sub>) გვიჩვენებს თვითნებულ წერტილზე გადის სამი წრფე და თვითნებულ წრფეზე ივს სამი წერტილი. დეზარგის კონფიგურაციის თვისებებიდან გამომდინარე, მისი ნებისმიერი წერტილის მდებარეობა ზუსტად განისაზღვრება, თუ რასაკვირველია, სისტემის დანარჩენი 9 წერტილი მოცემულია.


ვისარგებლოთ (7<sub>3</sub>) და (9<sub>3</sub>) კონფიგურაციების აგების დროს მიღებული პირობებით და შევადგინოთ (10<sub>3</sub>) კონფიგურაციის სქემა.

(1)	(2)	(3)	(4)	(5)	(6)	(7)	(8)	(9)	(10)
1	1	1	2	2	3	3	4	9	5
2	4	6	5	7	10	8	6	8	9
3	5	7	10	8	4	6	9	10	7

დავუკავშიროთ შერჩეული კონფიგურაცია ჩრდილების აგებას არქიტექტურულ პერსპექტივებზე. კონფიგურაციის საძიებელ წერტილად ჩავთვალოთ სინათლის სხივთა თავმოყრის წერტილი და მასში გამავალი სხივები ავაგოთ განხილული კონფიგურაციის საფუძველზე. მოცემულია ორი ვერტიკალური ღერო  $aa_0$  და  $bb_0$  და საჭიროა აიგოს მათგან დაცემული ჩრდილები სასაგნე საბრ-



ნახ. 7.



ნახ. 8.

ტყვეზე. მოცემულია აგრეთვე სინათლის სხივთა თავმოყრის წერტილის  $S_0$  ფუფე. გავატაროთ  $S_0a_0$  და  $S_0b_0$  წრფეები (ნახ. 8).

$a$  და  $b$  წერტილებზე წრფე გავატაროთ  $a_0b_0$  წრფის გადაკვეთამდე  $L$  წერტილში. თუ  $S_0a_0$  წრფეზე  $a$  წერტილის  $A$  ჩრდილს ნებისმიერად ავიღებთ. მაშინ  $b$  წერტილის  $B$  ჩრდილი ცალსახად განისაზღვრება. მართლაც, თუ  $LA$  წრფეს  $S_0b_0$  წრფესთან გადავკვეთთ, საძიებელ  $B$  წერტილს მივიღებთ. როგორც ნახაზიდან ჩანს,  $aA$  და  $bB$  სხივები გადაიკვეთებიან სინათლის სხივთა თავმოყრის წერტილში, რადგანაც  $Aa_0$  და  $Bb_0$  სამკუთხედების თანად




წვერობებზე გამავალი სხივები ერთსა და იმავე  $L$  წერტილში იკვეთება. ჩვენს შემთხვევაში  $L$  წერტილი დეზარგის წერტილად მივიღეთ.

ხშირ შემთხვევაში დამხმარე  $L$  წერტილი შესაძლებელია ნახაზის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდეს, რაც ზემოთ მოყვანილ გრაფიკულ აგებას გაართულებს. ეს შეიძლება მოხდეს, მოცემულ  $aa_0$  და  $bb_0$  მონაკვეთების სიგრძეთა შორის მცირე განსხვავების შედეგად. ასეთ პირობებში  $L$  წერტილი ადვილად შეგვიძლია  $AB$  წრფის სხვა  $L_1$  წერტილით შევცვალოთ, რომელიც ნახაზის ფარგლებში მდებარეობს.  $aa_0$  წრფის პარალელურად  $ax_0$  წრფე გავატაროთ, რომელიც  $AA$  და  $a_0A$  წრფეებს შესაბამისად  $x$  და  $x_0$  წერტილებში კვეთს.

$bx$  და  $bx_0$  წრფეების გადაკვეთის  $L_1$  წერტილი ცხადია  $AB$  წრფეზე უნდა აღმოჩნდეს. მართლაც, დეზარგის კონფიგურაციაში, სადაც  $L$  წერტილი პერსპექტივის ცენტრად მივიღეთ,  $S_0$  და  $S$  წერტილების შემაერთებელი წრფე კი პერსპექტივის ღერძად,  $aa_0$  წრფე მისი პარალელური  $ax_0$  წრფით შევცვალოთ; ამგვარად, მივიღეთ დეზარგის ისეთი კონფიგურაცია, სადაც ყოველ შემთხვევაში, ჰომოლოგიური სამკუთხედების  $A$  და  $B$  წვეროების შემაერთებელი წრფე უცვლელად დარჩა და, მაშასადამე, ჰომოლოგიის ცენტრით ისევ  $AB$  წრფეზე უნდა მდებარეობდეს.

შესაძლებელია აგებიდან  $L_1$ -ის გამორთვაც (ნახ. 9). გავატაროთ ნებისმიერი დახრის წრფე, რომლის  $ab$  სხივთან გადაკვეთის  $a$  წერტილიდან აღმართოთ მართობი  $a_0b_0$  სხივის გადაკვეთამდე  $\alpha_0$  წერტილში. ასევე,  $aA$  წრფის გადაკვეთის  $\beta$  წერტილზე აღმართოთ მართობი  $S_0a_0$  სხივის  $\beta_0$  წერტილში გადაკვეთამდე. შევაერთოთ  $\alpha_0$  და  $\beta_0$  წერტილები  $a$  გავაგრძელოთ  $S_0b_0$  სხივის გადაკვეთამდე  $\gamma_0$  წერტილში, რომელზედაც  $bb_0$  წრფის პარალელური  $\gamma\gamma_0$  წრფე გავატაროთ. ეს უკანასკნელი  $a\beta$  სხივს  $\gamma$  წერტილში კვეთს.

$\gamma$  და  $b$  წერტილები ცალსახად განსაზღვრავენ  $b$  წერტილზე გამავალ სხივს და ამიტომ  $b\gamma$  და  $S_0b_0$  წრფეების გადაკვეთის წერტილი  $b$  წერტილის საძიებელ  $B$  ჩრდილს მოგვცემს.




ნახ. 9.

აგების სამართლიანობა იქიდან ჩანს, რომ  $a\gamma$ ,  $\alpha_0\gamma_0$  და  $AB$  წრფეები გადაიკვეთებიან  $L_1$  წერტილში, როგორც თანადი სამკუთხედების წვეროებზე გამავალი წრფეები, ხოლო სამკუთხედების გვერდები გადაიკვეთებიან  $SS_0$  წრფეზე.

განხილული ამოცანები შესაძლებელს ხდიან დაცემული ჩრდილები აიგოს სინათლის სხივთა თავმოყრის წერტილის გამოყენების გარეშე, რომე-

ლიც ორი წრფით იქნება განსაზღვრული: ერთი წრფე იგულისხმება  $S_1$  წერტილზე, პორიზონტის მართობულად გატარებული, მეორე კი სივრცულ ცემულ ერთ-ერთ წერტილზე გამავალ სინათლის სხივს წარმოადგენს. ამ სხივის ნებისმიერად შერჩევა ფაქტიურად სინათლის  $S$  წყაროს ფიქსირებას ნიშნავს, როდესაც  $S$  წერტილის  $S_0$  ფუძეც მოცემულია.

ხშირად, არქიტექტურული დეტალების პერსპექტივაზე სინათლის სხივების დიდი რაოდენობით გატარებაა საჭირო, რისთვისაც რეკომენდებული



ნახ. 10.

ხერხი შეიძლება რამდენადმე მოუხერხებელი იყოს. იგი შეიძლება გამოვიყენოთ ორი ან რამდენიმე სხივის ასაგებად, ხოლო მათ შორის ან მათ გარეთ მოთავსებულ წერტილებზე სხივები გავატაროთ იმავე კონფიგურაციის შემდეგი სქემის მიხედვით.

მოცემულია  $S$  წერტილში გამავალი ორი  $A$  და  $B$  სხივი (ნახ. 10) და საჭიროა ნებისმიერ  $1_1$  წერტილზეც გატარდეს სინათლის სხივი, როდესაც  $S$  წერტილი მიუწვდომელია.  $B$  სხივი დეზარგის წრფედ მივიღოთ,  $1_1$  და  $S$  წერტილები კონფიგურაციის ნებისმიერ ორ წერტილად.  $A$  წრფე კი კონფიგურაციის ერთ-ერთ წრფედ. ნებისმიერი  $f$  წერტილი დეზარგის წერტილად მივიღოთ და მასზე სამი სხივი გავატაროთ; ერთი მათგანი  $1_1$  წერტილზე გადიოდეს, დანარჩენი ორი კი ( $f_2$  და  $f_3$ ) ნებისმიერად.  $f_1$  და  $A$  წრფეთა გადაკვეთის  $1$  და  $1_1$  წერტილებზე  $B$  წრფის პარალელურად გავატაროთ, შესაბამისად,  $1-2$  და  $1_1-2_1$  წრფეები.

$f_3$  წრფეზე  $A$  სხივის გადაკვეთით მიღებული მე-3 წერტილი შევეერთოთ  $B$  სხივზე ნებისმიერად აღებულ  $K$  წერტილთან.  $K-3$  სხივი  $1-2$  წრფეს გადაკვეთს  $2$  წერტილში, რომელიც შევეერთოთ  $f$  წერტილთან.  $1_1-2_1$



წრფის  $f_2$  სხივთან გადაკვეთის  $2_1$  წერტილი კი შევადროთ  $K$ -თან და გავა-  
 გრძელოთ  $f_2$  წრფის გადაკვეთამდე. გავატაროთ  $3_1-1_1$  წრფე  $3_1-1_1$  წრფე  
 ჩვენ მივიღეთ დეზარგის კონფიგურაცია;  $1-2-3$  და  $2_1-3_1-1_1$  წრფე  
 კუთხედები  $f$  წერტილისადმი პერსპექტიულია, რადგანაც სამკუთხედების  
 თანადი გვერდების ორი წყვილი  $2-3$  და  $2_1-3_1$ ,  $1-2$  და  $1_1-2_1$ ,  $B$  წრფე-  
 ზე იკვეთება შესაბამისად  $K$  წერტილსა და არასაკუთრივ წერტილში, ამიტომ  
 $1_1-3_1$ , გვერდი  $A$  წერტილში გაივლის, რაც მოითხოვებოდა.

ამავე ნახაზზე შესრულებულია ორი ამოცანა, რომლებშიც ნაჩვენებია,  
 ერთის მხრივ ის, რომ შეიძლება პრაქტიკულად დეზარგის წერტილად გამო-  
 ვიყენოთ პერსპექტივის საერთო თავმოყრის წერტილი და, მეორე მხრივ ის,  
 რომ ამ წესით სხივების გატარება შესაძლებელია ნახაზის ნებისმიერ მონაკ-  
 ვეთზე, მინიმალური სამუშაო ადგილის გამოყენებით. აგების თანმიმდევრობა  
 ანალოგიურია.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ  
 გეომეტრიული კონფიგურაციების გამოყენებით შესაძლებელია პერსპექტივის  
 აგების დროს მინიმუმამდე დავიყვანოთ ნებისმიერ შორეულ წერტილში გამა-  
 ვალი სხივის აგების მოუხერხებლობა. ეს საკითხი საერთოდ უფრო მეტ და-  
 მუშავებას მოითხოვს მით უფრო, რომ არქიტექტურულ პერსპექტივებზე და-  
 ცემული ჩრდილების აგების არსებული მეთოდები, რომლებიც ჩვენთვის ცნო-  
 ბილია ჩვენი და ნაწილობრივ უცხოური ლიტერატურიდან, პრაქტიკულად  
 არც ერთი არ ეყრდნობა გეომეტრიულ კონფიგურაციებს, მიუხედავად მისი  
 ეფექტურობისა არსებული მეთოდებისაგან განსხვავებით.

დავითიშვილი ლიტერატურა

1. Н. Ф. Четверухин—Проективная геометрия. 1961.
2. Д. Гильберт и С. Кон-фоссеи—Наглядная геометрия. 1951.



სარჩევანი

1. დოქ. უ. ხოფერიია—ოქტომბრის რევოლუცია და მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმოშობა და განვითარება	3
2. Проф. Кулиев Х. К.—Разработка научно-методической основы создания учебника «Тракторы и автомобили» на азербайджанском языке для студентов факультета механизации высшей школы	17
3. Дოქ. Алиев Д. М.—Культура граната и перспективы его развития в Азербайджане	24
4. Дოქ. З. А. Мелконян—Шлифование изношенных деталей машины алмазными брусками	29
5. პროფ. ლ. კალანდაძე, ნ. ნადირაძე, ნ. ცინცაძე, ნ. დვალისიმინდის კიბინობელას (Zygina coacta Ribaut) შესწავლის შედეგები საქართველოში Проф. Каландадзе А. П., Надирадзе Н. В., Цинцაძე Н. К. и Двали Н. К.—Результаты изучения кукурузной цикады (Zygina coacta Ribaut) в Грузинской ССР	37 53
6. დოქ. ლ. კიზირია, ლ. აბაშიძე—ბლისა და აღუბლის ნაყოფების შესწავლა ფენების წარმოებისათვის Доц. Кизирия К. П., Абашидзе А. Я. — Испытание плодов черешни для производства соков	57 66
7. Александрян В. В.—К вопросу определения оптимальной скорости движения почвообрабатывающих машин	67
8. ტვეტ. მეცნ. კანდ. ფ. შავკავარიანი—შუა ქართლის ღვინოების ასორტიმენტის გადიდების საკითხისათვის Канд. техн. наук Мачавариани Ф. Д. — К вопросу увеличения ассортимента вин Средней Картли	79 93
9. პროფ. ი. აბაშიძე, ბიოლ. მეცნ. კანდ. გ. ჯავახიშვილი — ამინდთან დაკავშირებით რკოს გამონასკვის თავისებურება Проф. Я. А. Абашидзе, канд. биол. наук Г. Г. Гавашели—Особенности запыливания желудей в связи с погодой	95 99
10. სოფლ. მეურნ. მეცნ. კანდ. თ. რობაქიძე—საქართველოში გავრცელებული რკანის ჭიშკრი ფორმები Канд. с.-х. наук Робакидзе Т. В.—Базилек огородный (ocimum basilicum L.)	103 112
11. ი. გ. გაფრინდაშვილი, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. გ. ჩიჩუა—მუხრანის ველის ნიადაგებში სითბური ნაკადის განაწილება Гапридашвили И. С., докт. физ.-мат. наук Чичуа Г. С.—Распределение теплового потока в почву по глубине в условиях Мухранской долины	115 127
12. დოქ. Есаян М. А.—К оценке влияния качества станка на его виброустойчивость	129
13. სოფ. მეურნ. მეცნ. კანდ. ქ. გუბელაძე—მუხრანის ველის პირობებში თესვისთანავე მორწყვის მნიშვნელობა ზორბლის საშემოდგომო განვითარებაზე	141





Канд. с.-х. наук Губеладзе Д. И.—Влияние полива в след за посевом на рост и развитие озимой пшеницы в условиях Мухранской долины

14. სოფ. მეურნ. მეცნ. კანდ. მ. ვახტანგი—ერთწლოვანი პარკოსანი და მარცვლოვანი ბალახების წარებისათვის კომპონენტების შერჩევა სანაწევროლო თესვაში მუსხრანის ველის სარწყავებში  
156
15. П. А. Гандиани — Материалы по генофонду колосовых культур и их дикорастущих сородичей в Арм. ССР  
159
16. ქ. გვარამაძე—კაქლის ავადმყოფობათა შესწავლის მასალები საქართველოში  
167
- Гварамадзе К. Д.—Материалы по изучению болезней грецкого ореха в Грузии  
176
17. მ. დალაქიშვილი—ზოგიერთი მიკრო-და მიკროელემენტის დინამიკა სხვადასხვა ჯიშის თეთის ფოთოლში დილომა და ქეთათის რაიონში  
179
- Далакишвили М.—Динамика некоторых макро- и микроэлементов в листьях разных сортов шелковицы из Дигомского и Кутаисского районов  
185
18. მ. წერეთელი—ტებოლგულიანი ნეშების ტექნიკური-ქიმიური მანკვებლები და მათი კლასიფიკაცია  
191
- Церетели М. Д.—Техно-химические показатели сладко-ядерного миндаля и их классификация  
201
19. სოფ. მეურნ. მეცნ. კანდ. მ. ქარდავა—მიკროელემენტები და ამიდიორის დაავადება-მანკვებლები სათბურში  
205
20. სოფ. მეურნ. მეცნ. კანდ. ე. კახანაძე—ამიდიორის წარვადობის სიხშირის გავლენა მონსელთანობზე  
213
- Канд. с.-х. наук Капанадзе Э. А.—Влияние загущенной посадки на урожайность томатов  
218
21. ი. ვოგელი—თუთის თესვისა და ამონაყენის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი  
219
- Гогели И. Ф.—Борьба с заболеваниями семян и всходов шелковицы  
221
22. დოც. შ. ხატიაშვილი, უმც. მეც. მუშაკი ა. ცხომარია—კონსერვებში შიშველითონების გადასვლის დინამიკა თერმული და რადიაციული სტერილიზაციის დროს  
231
- Доц. Хаташвили Ш. М., ма. науч. сот. Цхомария А. Д.—Переход олова в продукт при радиационной стерилизации консервов  
235
23. ვ. ბაღრიშვილი—მყალოს და პანტის საძირებების დანქარებით აღზრდა, თესვის სიხშირე, ნორმები და წესები  
237
24. დოც. მ. ქველიძე—საქართველოში საკოლმურნეო მშენებლობის ზოგიერთი საკითხი  
243
25. დოც. დ. ძნელიძე—დარგის ოპტიმალური დაგეგმვის კომპლექსური მოდელის დამუშავების საკითხისათვის კვების პრევენციაში  
261
- Доц. Дзиеладзе Д. П.—К вопросу разработки комплексных моделей оптимального планирования в пищевой промышленности  
267
27. დოც. ა. ნარჩომაშვილი — საქართველოს საბჭოთა მეურნეობები დიდი ოქტომბრის 50 წლისთავზე  
269
- Нарчомашвили А. Н.—Совхозы Грузинской ССР в канун годовщины 50-летия Октябрьской социалистической революции  
283
28. დოც. მ. მეტრეველი—გეომეტრიული კონფიგურაციების გამოყენება პერსპექტივაში  
289

რედაქტორი გ. ვანანაძე  
სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების  
რედაქტორები { გ. ბობოხიძე  
რ. ვანანაძე

№ 10926

შეკვ. 1356

ტ. 500

---

გადაცე წარმოებას 1/IX-67წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/IX-67 წ.  
ანაწყოების ზომა 7×11, სასტამბო თაბახთა რაოდენობა 18,75.  
საილრ.-საგამომცემლო თაბახთა რაოდენობა 19,5.  
ფასი 1 მან. 30 კპ.

---

შრომის წიადელი დროშის ორდენის საქართველოს  
სახელგანთავსებელი ინსტიტუტის სტამბა  
თბილისი, ი. ჭავჭავაძის ქროსი. 33.

Типография Грузинского ордена Трудового  
Красного Знамени сельскохозяйственного института  
Тбилиси, просп. И. Чавчавадзе, 33.

